ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ, ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲣ... A8
ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲐᲓ B6
ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ C

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 31 იანვარი, 2004 წელი. №25 (574) ფასი 50 თეთრი

მომავალი ხელისუფლების სტრუქტურა

დღეს საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბარი, ძირითადად, დაიყვანება პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებაზე. მაგრამ, საკონსტიტუციო ცვლილებები გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ოპტიმიზებასაც, რაც სამინისტროების და სახელმწიფო დეპარტამენტების რიცხვის შემცირებაში გამოიხატება. ეს სტრუქტურული ცვლილებები, სავარაუდოდ, განხორციელდება იმის მიუხედავად, რომელ საკონსტიტუციო მოდელზე შეჩერდება არჩევანი.

"24 საათის" ინფორმაციით, ამ სტრუქტურულ ცვლილებებზე ერთობლივად მუშაობენ იუსტიციის სამინისტრო, უშიშროების საბჭო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი. განხილვისას გამოიყენება ასევე ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში შექმნილი სტრუქტურული რეორგანიზების გეგმაც. დღეს "24 საათის" ხელთ აღმოჩნდა ამ ცვლილებების ე.წ. სამუშაო ვარიანტი, რომელიც საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვაქვს.

თამარ ხორბალაძე

დღევანდელ ვარიანტში არსებობს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი და მომავალი მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა, რომელიც ასე გამოიყურება:

დღეს არსებული 18 სამინისტროს ნაცვლად, თავად პრემიერ-მინისტრის გარდა, რჩება 14 მინისტრი და 14 სამინისტრო. 18 სახელმწიფო დეპარტამენტიდან დარჩება ორი ან, მაქსიმუმ, სამი დეპარტამენტი, დანარჩენის ფუნქციები კი სამინისტროებზე გადანაწილდება.

დღეს არსებული სახით აღარ იარსებებს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ასევე - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და გაუქმდება განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის პოსტი. წინასწარი პროგნოზების საწინააღმდეგოდ, ამ ვარიანტის მიხედვით, შენარჩუნებულია ენერგეტიკის სამინისტრო.

გაგრძელება A3 გვერდზე

"დემოკრატიული აჭარის" მოთხოვნები აჭარის ხელისუფლებას

ლელა მჭედლიძე

ედვარდ სურმანიძე აჭარას დემოკრატიულ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ლევან ხერხეულიძის ფოტო

"მსურს, გავაფრთხილო აჭარის ავტონომიის ხელისუფლება: თუ მუშაობას დღეისათვის აღებული პოლიტიკური კურსით გააგრძელებს, მაშინ ამას უკვე შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყევს ორგანიზებული თუ არა-ორგანიზებული აქციების სახით. ის იარაღი, რომელიც ახლა ე.წ. სახალხო რაზმელებს ურიგდებათ, ყოველთვის მათ ხელში როდი ხვდება. ჩვენი მოძრაობის ინტერესებში კი ნამდვილად არ შედის მსგავსი დაპირისპირება," - ასეთი გახლავთ საზოგადოებრივი მოძრაობა "დემოკრატიული აჭარის" ლიდერის ედვარდ სურმანიძის პოზიცია ავტონომიაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო. იარაღის კვალს, მისი განცხადებით, რუსული ბაზების საწყობებამდე მივყავართ.

გაგრძელება A2 გვერდზე

წალკა - მძიმე მემკვიდრეობა

მაია მოსიაშვილი

წალკის რაიონში საკმაოდ მძიმე სიტუაციაა. ორი კვირის წინ სომეხი მოსახლეობის მიერ წალკის გამგებლის ელდარ ხვისტანის ცემის გამო ატეხილი დაპირისპირება ძლივს ჩაწყნარდა და ახლა ქართული და სომხური სოფლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის ინფორმაციით, 28 იანვარს სომეხი ეროვნების 15-მდე ახალგაზრდამ აჭარლებით დასახლებულ სოფელ გუმბათში სცემეს სამ ადამიანს: პაატა და ფრიდონ მახარაძეებსა და ბადრი გორგოძეს; დაამტვრიეს 5 ავტომანქანა და ერთ-ერთი გუმბათელის საცხოვრებელი სახლის ფანჯრები. შურის საძიებლად სომხურ სოფელში, კიზილ-ჩილისში შეჭრა გუმბათელებმაც გადაწყვიტეს, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანის საშუალება მათ სამართალდამცველებმა არ მისცეს.

მხარის პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, უკვე აღძრულია საქმე ხულიგნობის მუხლით, თუმცა ეჭვმიტანილი სომეხი ახალგაზრდების დაკავება ჯერ ვერ მოხერხდა. მიზეზი მარტივია, ასეთი ღონისძიებები კიდევ უფრო

გაგრძელება A2 გვერდზე

ადამიანი, რომელიც ჭაძრისკენ მიმავალ გზას ეძებდა...

დღეს თენგიზ აბულაძეს 80 წელი შეუსრულდებოდა

სალომე კიკალეიშვილი

ჩუმი, წყნარი ადამიანი ვარ. არ მიყვარს ხმაური და აჟიოტაჟი, მაღალფარდოვანი სიტყვები და მილოცვები. უცნაურია, საერთოდ ვერ ვგრძნობ ასაკს. მეჩვენება კიდეც, რომ ასაკი არ არსებობს, არის მხოლოდ სულის ესა თუ ის მდგომარეობა.

თენგიზ აბულაძე

იუბილესთან დაკავშირებით, დიდი რეჟისორის თენგიზ აბულაძის სახლში მივედი, სადაც ეხლა მისი ქალიშვილი, კინომსახიობი ქეთინო აბულაძე ცხოვრობს. ბატონი თენგიზის ოთახში შესულს რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა: მოწიწების, მორიდების... ვუყურებდი მისი დიდი ფოტოებით აჭრელებულ კედლებს: მეგობრებთან, ოჯახთან, კოლეგებთან; ბევრ ნაცნობ თუ უცნობ სახეს... მის საწერ მაგიდას, ძველ ტელეფონს, 1993 წელზე გადაშლილ კალენდარს, თაროზე ლამაზად ჩამწკრივებულ ჯილდოებს... ვცდილობდი გამეგო, ნეტა როგორი იყო დიდი რეჟისორი ცხოვრებაში, მეგობრებთან, ოჯახთან.

გაგრძელება B1 გვერდზე

თენგიზ აბულაძე და ავთო მახარაძე "მონანიების" გადაღებისას.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲙᲐᲮᲐ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ: "ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲐᲠᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲭᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ"

"ანტიკორუფციულმა ბიურომ თავისი ფუნქციები უკვე შეასრულა, ბიუროს მიერ გადაგზავნილ მასალებზე სისხლის სამართლის არაერთი საქმე აღიძრა. იმედი გვაქვს, რომ მომავალში კორუფციასთან საბრძოლველად დამატებითი უწყებების შექმნა საჭირო აღარ გახდება," - განაცხადა კახა უგულავამ.

A2

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲔᲑᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

წლეულს რამდენიმე რეგიონში სამგზავრო გადაზიდვებზე ახალი ტენდერები ჩატარდება. ხელახალი ტენდერი იმერეთს, მცხეთა-მთიანეთს და სამცხე-ჯავახეთს ეხება.

A4

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲘᲩᲡ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ

"ასეულობით მილიონი დოლარი საფეხბურთო კლუბ ჩელსიზე იხარჯება, მაშინ როდესაც მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 1 მილიონი ამერიკული დოლარის შეგროვება მოხერხდა," - ასეთია აბრამოვიჩისთვის წაყენებული პრეტენზიები.

A5

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲭᲠᲘᲡ

მოქალაქე მკურნალობისთვის თანხის დროულ გადარიცხვას ითხოვდა. არსებული პრობლემის გაცნობისა და შესაბამისი საბუთების წარდგენის შემდეგ, სასხვათაშორისოდ, ისიც დაამატა, - სააკაშვილის ნათესავი ვარ და უარი არ მითხრათო...

A6

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲖᲣᲡᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲡ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ

სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმის გამო საპყრობილეში იმყოფება ადამიანი, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია. იმერეთში ცნობილი ბიზნესმენი კანონდამცველთა მიერ შექმნილი იურიდიული კურიოზის მთავარი გმირი აღმოჩნდა.

A7

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თბილისი	13
ქუთაისი	15
ბათუმი	16
სოხუმი	14
ფოთი	15
თელავი	12
ზუგდიდი	16
გორი	11
ახმეტა	12
ჭიათურა	12
გაგრა	12
სამტრედია	15

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲚᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ

აშშ დოლარი	2.1100
ევრო	2.6105
გირვანქა სტერლ.	3.8195
რუბლი	0.0741

ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲬᲛᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

ოთარ ქირია

საბაჟო დეპარტამენტი საკადრო ხვეტის ორომტრიალში ჩაება. სტრუქტურული რეორგანიზაციის სარჩულით, ხელმძღვანელმა დეპარტამენტის 16 მაღალჩინოსანი გუშინ, თანამდებობიდან გაათავისუფლა. მათ შორის: რეგიონული საბაჟოს - "აღმოსავლეთის" უფროსის სამივე მოადგილე და საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ერთი მოადგილე; რეგიონული საბაჟოს - "დასავლეთის" უფროსი და სამივე მოადგილე; "სამხრეთის" – უფროსი და ერთი მოადგილე; რეგიონული საბაჟოს - "რკინიგზის" ოთხი მოადგილიდან - სამი.

"რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს სამსახურებრივი მოვალეობის არასრულყოფილად შესრულებას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ისინი პროფესიონალები არ იყვნენ, თუმცა დღეს დეპარტამენტში უკეთესი კადრებიც მოიძებნება. მსგავსი საკადრო ცვლილებები კიდევ გაგრძელდება და 26-ვე საბაჟო-გამშვებ პუნქტს შეეხება," - აცხადებს დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან ქისტაური.

გაგრძელება A4 გვერდზე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

"არის მომენტები, როცა სხვადასხვა, კონკურენტი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა ერთად დგომა უბრალო სოლიდარობის, მეტიც - აუცილებლობის გამო ხდება,"- მიიჩნევს საქართველოში მომუშავე ჟურნალისტთა ის ნაწილი, რომელიც დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან აქციას გეგმავს. საპროტესტო აქციის მიზეზი გახდა ბოლო დროს აჭარაში მასმედიის წარმომადგენლებზე გახშირებული ფაზიკური ანგარიშსწორების ფაქტები. საქართველოში მომუშავე ჟურნალისტები ამ გარემოების გამო აშკარა შეშფოთებას გამოთქვამენ და როგორც ავტონომიის, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მეთაურებისგან კონკრეტული ზომების მიღებას მოითხოვენ.

ცენტრალურ ხელისუფლებას ჟურნალისტები მოსთხოვენ კონკრეტული ფაქტების კონტროლზე აყვანას და ავტონომიის ტერიტორიაზე საგანგებო რეჟიმის გაუქმებას. მოტივაცია საკმაოდ მარტივია - მასმედიის წარმომადგენელთა აზრით, საგანგებო რეჟიმი ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მასმედიისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების განხორციელებაში ხელის შეშლის გამამართლებელ გარემოებად არის გადაქცეული.

24 საათი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲕᲚᲘᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐᲙᲔᲜ

დიანა ჩაჩუა

გუშინ, 30 იანვარს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ ბრიფინგი გამართა. **"საქართველო ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციაში" გაწევრიანებას აპირებს,"** - განაცხადა ჭანკოტაძემ. ამასთან დაკავშირებით 2 თებერვალს საქართველოში ჩამოვა "ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის" შვიდკაციანი დელეგაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოსტა
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ოპოზიცია ხელისუფლებას ცენტრალიზაციის გაძლიერებაში ადანაშაულებს

გიორგი აბაშიძის ფოტო

ირაკლი მელაშვილი ხელისუფლებას ზედმეტი ცენტრალიზაციისთვის აკრიტიკებს.

"ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები ცხადყოფს, რომ ცენტრალიზაცია უწინდელზე უფრო ძლიერდება და, ფაქტობრივად, ვიღებთ ისეთ ქვეყანას, რომელსაც თვითმმართველობა საერთოდ არ გააჩნია", - საარჩევნო ბლოკი "ედპ-ტრადიციონალისტები" ხელისუფლებას ცენტრალიზაციის გაძლიერებაში ადანაშაულებს და, იმავდროულად, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების დროულად შეტანისკენ მოუწოდებს.

ბლოკის წევრმა, "ტრადიციონალისტმა"ირაკლი მელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მასმედიის წარმომადგენლებს გააცნო "ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებათა პროექტი. ცვლილებები, სხვა საკითხებთან ერთად, მიზნობრივი და გათანაბრებული ტრანსფერების გაცემის წესს ეხება; კერძოდ, ახალი პროექტის მიხედვით, ტრანსფერის გაცემა-არგაცემის საკითხს განსაზღვრავს არა უწინდებურად პარლამენტი, არამედ პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული. 27 იანვრით დათარიღებული კანონპროექტის მიხედვით, გამგებელს, **"საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი."** მელაშვილი კანონში შესატან ორივე ცვლილებას მკვეთრად უარყოფითად აფასებს: **"ეს არის საშიში ტენდენცია... ჩვენ მივდივართ უკან, შევარდნაძის მმართველობისკენ. არადა, შევარდნაძის დროს ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ჟვანიას გუნდიც და "ნაციონალებიც".**

ბლოკი "ედპ-ტრადიციონალისტები" საარჩევნო ადმინისტრაციების დემოკრატიული წესით დაკომპლექტებას მოითხოვს. იგი ხელისუფლებას კომისიების დაკომპლექტების ორ ვარიანტს სთავაზობს. პირველი ვარინატის მიხედვით, ცესკო-ს წევრები პროფესიული ნიშნის მიხედვით შეირჩევიან და ისინი გარკვეული ვადით დაინიშნებიან. ამასთანავე, მკაცრად განისაზღვრება იმ ნორმატიული აქტების ნუსხა, რომელთა მიღებაც ცსკო-ს შეეძლება. მეორე ვარიანტი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარტიული წესით დაკომპლექტებას გულისხმობს. ბლოკისთვის პროგრამა-მინიმუმს წარმოადგენს ასეთი პირობა – ცესკოში ორ პარტიას უმრავლესობის მოპოვების საშუალება არ უნდა ჰქონდეს; ძირითადი საკითხების მიღება ხმათა ორი მესამედით უნდა ხდებოდეს. საოლქო და საუბნო კომისიები პარტიული ნიშნით კომპლექტდება, რაც, მელაშვილის განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მცირერიცხოვნებით აიხსნება. ბლოკი "ედპ-ტრადიციონალისტები" საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს (უკვე კანონპროექტის სახით) ხელისუფლებას მომდევნო კვირის ბოლოს წარუდგენს.

ირაკლი მელაშვილის გუშინდელ განცხადებებში ხელისუფლების მიმართ გამაფრთხილებელი ტონი სჭარბობდა: **"ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, სამართლიანად ჩატარდება თუ არა საპარლამენტო არჩევნები. თუ კი არჩევნები გაყალბდა, ამას რა შედეგებიც მოჰყვება, ეს უკვე ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე არ იქნება დამოკიდებული... თუკი პარლამენტი პოლიტიკური დებატების ადგილად ვერ იქცა, ეს პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს."** ირაკლი მელაშვილი ახალ ხელისუფლებას ურჩევს, რომ ძველი ხელისუფლების შეცდომები არ გაიმეოროს.

ვერიკო თევზაძე

"დემოკრატიული აჭარის" მოთხოვნები აჭარის ხელისუფლებას

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"დემოკრატიული აჭარის" ლიდერი რეგიონული ხელისუფლებისაგან აჭარაში წესრიგის უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს მოთხოვნა გაცილებით გაძლიერდება, თუკი მას ორგანიზაცია "ჩვენი აჭარაც" შეუერთდება. როგორც სურმანიძემ განმარტა, მიმდინარეობს კონსულტაციები მისი ორგანიზაციის და "ჩვენი აჭარას" გაერთიანების თაობაზე.

სურმანიძე გუშინ იმ ხალხის უფლებების დაცვასაც ითხოვდა, ვინც განსხვავებული მოქალაქეობრივი პოზიციისა და აზრის გამო იდევნება. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც აჭარის ხელისუფლებამ რეგიონში საზოგადოების გააქტიურება იგრძნო, ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს, მაგალითად, მოქალაქეების ჩხრეკას, დაპატიმრებას, უმატა. ორგანიზაციის თავმჯდომარის თქმით, "დემოკრატიული აჭარის" დაფუძნების შემდეგ აჭარის ხელისუფლებამ ორგანიზაციის მხარდამჭერების სამსახურიდან დათხოვნა დაიწყო, "აჭარის" რეგიონულ კოორდინატორებს კი სულაც ფიზიკური განადგურებით ემუქრება. სურმანიძე მოუწოდებს ასლან აბაშიძეს, **"დაითხოვოს გასამხედროებული ფორმირებები, მოსახლეობისთვის დარიგებული იარაღი ძალოვან სტრუქტურებს დაუბრუნოს, თავად ძალოვანები კი ყაზარმებში დააბრუნოს. ასევე, უპირობოდ შეწყდეს მოსახლეობის დევნა-შევიწროება, მასზე ფიზიკური და სხვა სახის ზეწოლა; განსხვავებული აზრის გამო სამსახურიდან გათავისუფლებული მოქალაქეები კი სამუშაო ადგილებზე აღადგინონ".**

სურმანიძე აჭარის ავტონომიის სახელისუფლო შტოს წარმომადგენლებს აბაშიძისგან განდგომას ურჩევს. მათ "აღორძინების" ქუთაისის ორგანიზაციისგან უნდა აიღონ მაგალითი, რომელმაც აჭარაში გააქტიურებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაუჭირა მხარი. **"აჭარის ხელისუფლებას კი არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ აღიაროს: არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების გარდა, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. რეგიონის მოსახლეობამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელმა პოლიტიკურმა ძალამ ჩაიბაროს ავტონომიური რესპუბლიკა,"** - აღნიშნა სურმანიძემ. მისი თქმით, აჭარის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო მდგომარეობის შესაძლო გართულებაზე პასუხისგებლობა პირადად აბაშიძეს დაეკისრება. სურმანიძეს ამ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების იმედი აქვს.

საქართველოს ჩამბნელებლებს დაიჭერენ

"საქართველოს საბითუმო ბაზრის" ყოფილმა დირექტორმა, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა დავით ჯიბღაშვილმა დუმილის უფლება გამოიყენა და პროკურატურას ჩვენება არ მისცა. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში პროკურატურამ შუამდგომლობა მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით უკვე შეიტანა. ჯიბღაშვილი მეტრო "300 არაგველის" მიმდებარე ტერიტორიაზე, თავისი საცხოვრებელი ბინის ახლოს, გუშინწინ, ღამით დააკავეს. ოპერატიული ინფორმაციით, იგი საქართველოს დატოვებას აპირებდა და მისი დაკავების დაჩქარება სწორედ ამან გამოიწვია. ჯიბღაშვილს ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტი 3.700 ათასი ლარით აზარალა. შესაძლოა, ჯიბღაშვილთან ერთად სხვა ყოფილი თანამდებობის პირებიც დააკავონ, რომელთაც, თბილისის პროკურორის თქმით: "ბრალი მიუძღვით საქართველოს ჩაბნელებაში".

24 საათი

წალკა - მძიმე მემკვიდრეობა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გაამწვავებს სიტუაციას. არსებობს ინფორმაცია, რომ ადგილობრივ სომხებს საკმაოდ სერიოზული შეიარაღება აქვთ. ქართული მოსახლეობა ირწმუნება, რომ მათ ჯავშანტრანსპორტიორიც კი ჰყავთ.

"მე უკვე დავაყენე საკითხი ჩემს ზემდგომ ორგანოში. პრობლემის მოსაგვარებლად საგანგებო ზომებია მისაღები. სოფლებში სერიოზული შეიარაღებაა და ამიტომ სერიოზული ოპერაციაა ჩასატარებელი," - ამბობს ცაავა.

ჩასახლებულ აჭარელებსა და ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას შორის ჯგუფური დაპირისპირება წალკაში ღამის ჩვეულებრივ ამბად იქცა. კონფლიქტი მათი იქ ჩასახლებისთანავე დაიწყო და შვიდი წლის მანძილზე ბევრი სერიოზული ინციდენტი მოხდა. გუბერნატორ მამალაძის ადმინისტრაცია შეძლებისდაგვარად აგვარებდა და ფარავდა ასეთ შემთხვევებს, თუმცა პრობლემა პრობლემად რჩებოდა და ახალმა ხელისუფლებამ ის მემკვიდრეობით მიიღო.

წალკა მთიანი რაიონია და მას ყოველთვის აკლდა საჭირო ყურადღება. ჩასახლების პროცესი აქ 1996 წელს დაიწყო. სტიქიით დაზარალებული აჭარლები წალკიდან წასული ბერძენი მოსახლეობის ბინებში შეასახლეს და შეჰპირდნენ, რომ სახელმწიფო მათთვის ამ სახლებს გამოისყიდდა. გარდა ამისა, ჩასახლებულების დასახმარებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან სოლიდური დაფინანსება უნდა წასულიყო.

დაპირება დაპირებად დარჩა, სახლების დიდი ნაწილი დღესაც არ გამოსყიდულა, სადღაც ქრებოდა აჭარელებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო თანხები. ამას დაემატა ისიც, რომ ჩასახლების პროცესი შეწყდა. მატერიალურად გაჭირვებული, უმცირესობაში მოყოლილი ჩასახლებული ხალხის დიდი ნაწილი ვერ შეეგუა კარგად მაცხოვრებელ იქაურ მეზობლებს, ადგილობრივ სომხებს, რომლებიც რიცხობრივად მეტნი არიან, ვიდრე ერთად აღებული ბერძნები, სვანები და აჭარლები.

"სომხებს ჩემი გამგებლობა არ უნდათ იმიტომ, რომ მე ჩასახლების მომხრე ვარ," - განუცხადა "24 საათს" ორი კვირის წინ ელდარ ხვისტანმა. მის წინააღმდეგ გამოსული სომხები კი აცხადებენ, რომ ხვისტანი რაიონისთვის არაფერს აკეთებს. ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ წალკაში არსებული პრობლემები სათავეს სოციალური პრობლემებიდან იღებს, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების უყურადღებობის და არასწორი პოლიტიკის გამო უკიდურესად არის გამწვავებული.

არსებობს აზრი და საკმაოდ საფუძვლიანიც, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად საჭიროა განახლდეს ჩასახლების პროგრამა, რომლის დაფინანსებისთვის საჭირო თანხებიც დღევანდელ ხელისუფლებას არ მოეძევება.

სამი წლის წინ მამალაძემ წალკაში შინაგანი ჯარის ნაწილები შეიყვანა და ასე დააწყნარა ერთმანეთს გადამტერებული სომხები და სვანები. მიიღებს თუ არა მსგავს გადაწყვეტილებას ახალი ხელისუფლება, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა ერთი რამ ცხადია, წალკის პრობლემა უკვე წლებია, არსებობს და მის მოგვარებას არა ერთჯერადი ღონისძიება, არამედ წლები სჭირდება.

12 წლით პატიმრობა განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის

უზენაესმა სასამართლომ განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ახლა უკვე მსჯავრდებულ ემილო დავიდოვის წინააღმდეგ საქმე 2003 წლის 17 სექტემბერს თბილისის ტრანსპორტის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა შალვა ნიქაბაძემ აღძრა. ნიქაბაძის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 17 სექტემბერს ნასვამმა დავიდოვმა ნავთლუღის რკინიგზის სადგურის მოსაცდელში მის ნაცნობს, ფერიკ არაბიანს, რომელთან ერთადაც დილით იქეიფა, ფული მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. განაწყენებულმა დავიდოვმა არაბიანის გაჩხრეკვა დაიწყო და მას შემდეგ, რაც არაბიანი შეეწინააღმდეგა, იგი ყელის, მუცლისა და ფეხის არეში დანით მძიმედ დაჭრა.

შემთხვევის ადგილიდან გაქცეული დავიდოვი ერთ საათში დააკავეს, საავადმყოფოში მიყვანილი არაბიანს კი რამდენიმე საათიანი ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა და იგი სიკვდილს გადაურჩა.

თბილისის ტრანსპორტის პროკურატურამ საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს 15 დეკემბერს გადაუგზავნა, რამდენიმე დღის წინ მოსამართლე იური ტყეშელაშვილმა ბრალმდებელის, თბილისის რეგიონული ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწის გოგი მოსაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და გამომძიებელ შალვა ნიქაბაძის მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ემილო დავიდოვს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

24 საათი

ვახტანგ ჩახნაშვილი დუმილის უფლებით სარგებლობს

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ჩახნაშვილს გენერალურმა პროკურატურამ გუშინ ბრალი წაუყენა. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობრივი გულგრილობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლებით აღიძრა. დამტკიცების შემთხვევაში აღნიშნული ბრალდებები 3-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გუშინწინ ვახტანგ ჩახნაშვილი საგადასახადო დეპარტამენტში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. როგორც გენერალური პროკურორი განმარტავს, მის მიმართ საქმე გასულ წლებშია აღძრული, როდესაც იგი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელი იყო.

პროკურორის თქმით, საპენსიო ფონდში გარკვეული მაქინაციებით თანხები იკარგებოდა, მაგრამ აქ მარტო ჩახნაშვილი არ არის ბრალდებული. ვახტანგ ჩახნაშვილი მიხეილ მაჭავარიანის საგადასახადო და შემოსავლების მინისტრად ყოფნის დროს მსხვილგადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელი იყო.

ჯერჯერობით, პროკურატურის ვერსიით, საქმე ეხება 500 ათასი ლარის მითვისებას.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჩახნაშვილი ანტიკორუფციული საბჭოს მასალების საფუძველზე დააკავა, თუმცა საბჭოს მასალებში 500 ათასი ლარის ნაცვლად 5 მლნ ლარი ფიგურირებს. ჩახნაშვილის სამუშაო კაბინეტისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ორი ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს, რომელთა რეგისტრაციის საკითხი ამ დროისთვის დგინდება. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, გუშინ საღამოს ვახტანგ ჩახნაშვილმა პროკურატურასთან თანამშრომლობა დაიწყო.

24 საათი

რუსეთში Tutteli-ს და Gerber-ის რეალიზაცია აიკრძალა

რუსეთის სანეპიდსამსახურმა ქვეყანაში ბავშვთა საკვები პროდუქტების Tutteli-ს და Gerber-ის რეალიზაცია აკრძალა. ამას წინ უძღოდა ფინეთის ჯანდაცვის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფირმა Valio ltd-ს მიერ წარმოებული ბავშვთა საკვები Tutteli უსაფრთხოებისა და ხარისხის მოთხოვნებს არ შეესაბამება. რუსეთში აიკრძალა ამ ფირმის შემდეგი დასახელების პროდუქციის რეალიზაცია: „ბრინჯის ფაფა", „ბრინჯის ფაფა ასკილით", „დედის რძის შემცვლელი". ისინი შარშან დეკემბერში იყო გამოშვებული. რუსეთის სანეპიდზედამხედველობის ცენტრმა მოსკოვში გამოავლინა ამერიკული ფირმა „ჰერბერ პროდაქშენის" ნაწარმი „კრავის პიურე", რომელშიც სამრეწველო სტერილურობის ნორმები დაცული არ არის. რუსეთის სანეპიდზედამხედველობის ცენტრმა შესაბამის უწყებებს ამავე ფირმის წარმოების სხვა ბავშვთა საკვების, მათ შორის - ხორცის პიურეების „ხბოს პიურე", „საქონლის პიურე", „გოჭის ხორცი", „კრავის ხორცი", „წიწილის პიურე", ინდაურის პიურე", ასევე, ბავშვთა სპეციალიზებული საკვების, „სადილი ქათმისგან ბრინჯით," მიკრობიოლოგიური შესწავლა დაავალა.

მედია-ნიუსი

კახა უგულავა: "ჩვენ მხარს არც ხელისუფლება გვიჭერდა და არც ოპოზიცია"

გიორგი აბაშიძის ფოტო

კახა უგულავა ანტიკორუფციულის ფუნქციას ამოწურულად მიიჩნევს.

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელობამ გუშინ ბიუროს ლიკვიდაციის შესახებ გააკეთა განცხადება. ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ საქართველოს პროკურატურაში ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების პირობებში გადაგზავნილი მასალების საფუძველზე საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ჩახნაშვილი დააპატიმრა:

"ანტიკორუფციულმა ბიურომ თავისი ფუნქციები უკვე შეასრულა, ბიუროს მიერ გადაგზავნილ მასალებზე სისხლის სამართლის არაერთი საქმე აღიძრა და პროკურატურას კონკრეტული ეჭვმიტანილი პირებიც ჰყავს. იმედი გვაქვს, რომ მომავალში კორუფციასთან საბრძოლველად დამატებითი უწყებების შექმნა საჭირო აღარ გახდება," - განაცხადა კახა უგულავამ

უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა კი, რომელიც საბჭოს "თვითლიკვიდაციის" გამო მოწვეულ ბრიფინგს ესწრებოდა, ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ვერ წარმოედგინა, თუ იმ ხელისუფლების პირობებში, იმჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ასეთი სერიოზული მასალები იყო მოძიებული.

გუშინვე გაცხადდა, რომ ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქციები საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს გადაუნაწილდება. ამასთან, უშიშროების საბჭოში შეიქმნება ახალი დეპარტამენტი, რომელსაც, სავარაუდოდ, "ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციის დეპარტამენტი" დაერქმევა. დეპარტამენტს სათავეში ანტიკორუფციული ბიუროს ან უკვე ყოფილი ექსპერტი პავლე კუბლაშვილი ჩაუდგება.

ასე დასრულდა ძველი ხელისუფლების პერიოდში, ჯერ კიდევ 2000 წელს, კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით შექმნილი საბჭოსა და ბიუროს ისტორია. საბჭოსი, რომელთანაც წარსულ პერიოდში სერიოზული ანტიკორუფციული იმედები იყო დაკავშირებული და რომელმაც ძველი ხელისუფლების პირობებში სულ რამდენიმე ჩინოვნიკის გათავისუფლება შეძლო. კერძოდ, ანტიკორუფციული ბიუროს რეკომენდაციის საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლდნენ პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კობა ბუჩუკური, პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეგიონული სამსახურის უფროსი ბადრი ხატიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური დეპარტამენტის თავმჯდომარე ვასილ დავითაია, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გივი ჯაფარიძე, სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსი დავით გიორგობინაძე; შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით კობახიძე და ამ უწყების სხვა თანამდებობის პირები (10 მლნ ლარი ზარალი), ფინანსთა სამინისტროს საგადასახადოსა და საბაჟოს 21 თანამდებობის პირი (ზარალი 5 მლნ ლარი), უშიშროების სამინისტროს გენერალი ზაზა შუბითიძე...

სისხლის სამართლის საქმის აღძრა და კონკრეტული დანაშავეების დაპატიმრება კი ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მოძიებულ საქმეებს უკვე ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მოჰყვა - სწორედ ანტიკორუფციულის მიერ გახლდათ მოძიებული ზურაბ ნოღაიდელის მიერ ერთი თვის წინ გახმაურებული აქციზების ვაჭრობის საქმე, იგივე - ჩახნაშვილის საქმე.

დღეს ანტიკორუფციულ ბიუროში არ აკონკრეტებენ, თუ რამდენი ასეთი საქმე გადაეგზავნა პროკურატურას და, მით უმეტეს, არ ამბობენ - ვისზე. როგორც თავად განმარტავენ, **"გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე"**. თუმცა, ამბობენ, რომ ამ საქმეების შესახებ საზოგადოება კიდევ შეიტყობს.

"ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებას აქვს კორუფციასთან ბრძოლის ნება. ყოველ შემთხვევაში, მან ეს პასუხისმგებლობა იტვირთა, მოლოდინი ძალიან დიდია და ამიტომ ტვირთი საკმაოდ მძიმე იქნება," - ამბობს უგულავა და საუბრობს იმაზეც, თუ რატომ არ მოჰყვა მათ მიერ მოძიებულ საქმეებს რეაგირება თავის დროზე - მაშინ, როცა ეს საქმეები პროკურატურაში გადაიგზავნა:

"ჩვენ მხარს არ გვიჭერდა არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია. მე ვერ ვიტყვი, რომ უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტისგან არ იყო ნება, მაგრამ ეს ნება იკარგებოდა ხელისუფლების შიგნით, იკარგებოდა იგივე პროკურატურაში და სხვაგანაც... პრინციპში, განსაკუთრებული მხარდაჭერა არც ოპოზიციისგან გვქონდა, რადგან ჩვენ უარი ვთქვით პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობაზე," - განუცხადა მან "24 საათს".

და ბოლოს, გარდა კონკრეტული საქმეებისა, ანტიკორუფციული საბჭოსა და ბიუროს მუშაობის შედეგად: მთავრობამ დაამტკიცა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შემუშავებული გრძელვადიანი ანტიკორუფციული პროგრამა; შემუშავდა სტრუქტურული რეფორმების გეგმა; შემუშავდა კონცეფცია "აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობის ახალი მოდელის შესახებ"; შემუშავდა უშიშროების სამსახურის კონცეფცია; შემუშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების კონცეფცია; შემუშავდა კონცეფცია მაკონტროლებელი ორგანოების შემცირების თაობაზე; შემუშავდა კანონპროექტები იმუნიტეტების შეზღუდვასთან დაკავშირებით და ა.შ. პრობლემა ის არის, რომ ძველი ხელისუფლების პირობებში, კონცეფციათა და რეკომენდაციათა დიდი ნაწილი ისევ კონცეფციებად და რეკომენდაციებად დარჩა.

თამარ ხორბალაძე

"იტერას" აზერბაიჯანშიც ავიწროებენ

გუშინ აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ 2004 წელს აზერბაიჯანში გაზის იმპორტის 50 პროცენტს საქართველოსთვის უკვე კარგად ნაცნობი კომპანია – "გაზპრომის" 100-პროცენტიანი აფილირებული კომპანია "გაზექსპორტი" მოემსახურება.

აზერბაიჯანს 2004 წელს გაზის დეფიციტის შესავსებად რუსეთიდან სულ 6 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შესყიდვა დასჭირდება. შესაბამისად, ბაქოსთვის 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიყიდვის გარანტია "გაზექსპორტს" უკვე ჯიბეში უდევს. დარჩენილი 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის აზერბაიჯანში შეტანის უფლება კი, ჯერჯერობით, კვლავ "იტერას" ხელში რჩება.

როგორც ჩანს, "გაზპრომი" "იტერასთვის" მოჭერილი მარწუხების მოშვებას არ აპირებს. გასულ წელს ხომ "იტერას" აზერბაიჯანში გაზის იმპორტში წამყვანი ადგილი ეკავა. შედარებით მცირე მოცულობის იმპორტს კი "გაზპრომის" შვილობილი "ტრანსნაფტა" ახორციელებდა. "იტერას" "ტრანსნაფტასთან" ბრძოლა არ გასჭირვებია. ჩანს, ახლა "გაზპრომმა" სამხრეთ კავკასიის გაზის ბაზარზე სრული კონტროლის მოპოვება მტკიცედ განიზრახა და ენერგოპოლიგონზე მძიმე არტილერია – "გაზექსპორტი" გამოიყვანა.

მაია ურუშაძე

ზურაბ ჟვანია „თავისუფალ გაზეთს" უჩივის

გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას სახელით "თავისუფალი გაზეთის" წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ დიმიტრი გაბუნიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, "თავისუფალი გაზეთის" 20 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულმა მასალამ სახელმწიფო მინისტრის "პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია" შელახა, რის გამოც "თავისუფალ გაზეთს" აუცილებლად მოუწევს პასუხისგება.

გაბუნიას თქმით, "თავისუფალ გაზეთში" მოყვანილი მასალების მიხედვით, ზურაბ ჟვანიას "მადნეულის" საწარმოში, რკინიგზის დეპარტამენტში და საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოში" მიმდინარე პროცესებისადმი "გარკვეული არაჯანსაღი ინტერესები" ჰქონდა. გაბუნია განმარტავს, რომ გაზეთის რედაქციას და, უშუალოდ, ამ სტატიის ავტორს აუცილებლად მოუწევს იმის ახსნა, თუ რას გულისხმობდნენ "არაჯანსაღ ინტერესებში".

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, რომ ამიერიდან მთავრობა პრესაში გამოქვეყნებული არც ერთი სტატისა და მასალის რეაგირების გარეშე დატოვებას არ აპირებს, ანუ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მასალაში მოყვანილი იქნება ფაქტები მთავრობის წევრთა არაკანონიერი ქმედებების შესახებ, ცალკეულ ჟურნალისტებსა და რედაქციებს ამ ფაქტების დადასტურება სასამართლოში მოუწევთ. **ინტერ-პრესი**

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება №33

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარებისა და რეფორმების ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ

"განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ" საქართველოს 2004 წლის 14 იანვრის კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარებისა და რეფორმების ფონდის თანდართული წესდება.

2. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ 10 დღის ვადაში უზრუნველყოს განვითარებისა და რეფორმების ფონდისთვის თხოვებისა და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ქონების გადაცემა.

3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №46

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

გიორგი პაპუაშვილის საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორად დანიშვნის შესახებ

"განვითარებისა და რეფორმების ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაინიშნოს გიორგი პაპუაშვილი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №48

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

მ. ქარელის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ჯავის რაიონები და ქ. ცხინვალი) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ ქარელი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ჯავის რაიონები და ქ. ცხინვალი) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №50

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

ი. მუმლაძის გორის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იოსებ მუმლაძე გორის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №51

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

ა. დავითაძის ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ავთანდილ დავითაძე ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლად.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №54

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

ა. სუხიაშვილის ადიგენის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსანდრე სუხიაშვილი ადიგენის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №55

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

დ. სახვაძის ხარაგაულის რაიონის გამგებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დავით სახვაძე ხარაგაულის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მიხეილ სააკაშვილი

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისი დაჟინებით მოითხოვს მოსკოვისგან, რომ გუდაუთის რუსულ სამხედრო ბაზაზე საერთაშორისო მონიტორინგი პერიოდულად განხორციელდეს. საქართველოს საგარეო უწყების მაღალჩინოსნის ინფორმაციით, ქართულმა მხარემ რუსეთს ამის აუცილებლობის შესახებ დასაბუთებული წერილით უკვე მიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფრაქცია "აღორძინება" პარლამენტს დაუბრუნდა. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის გოჩა პაიჭაძის განცხადებით, ფრაქციის მიერ საპარლამენტო მუშაობაში მონაწილეობის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება პარტიის ხელმძღვანელობასთან ერთად იქნა მიღებული. "აღორძინება", უბრალოდ, სხდომებს არ ესწრებოდა. საპარლამენტო მუშაობისადმი ბოიკოტი ჩვენს ქმედებას ჟურნალისტებმა უწოდეს," - აღნიშნა პაიჭაძემ. "აღორძინების კავშირის" საპარლამენტო წარმომადგენლობა ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში აღარ მონაწილეობდა, რადგან 1999 წლის მონვევის პარლამენტს არაკანონიერსა და არალეგიტიმურს უწოდებდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. "ლეიბორისტული პარტიის" ქუთაისის ორგანიზაციის გარკვეული ნაწილი პარტიას გამოე

მომავალი ხელისუფლების სტრუქტურა

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, შენარჩუნდება საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც, სავარაუდოდ, შეითავსებს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ფუნქციების ძირითად ნაწილს.

თავისთავად, იარსებებს თავდაცვის სამინისტრო.

უშიშროების სამინისტროს რეორგანიზება სპეცსამსახურად, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე არ იგეგმება. ყოველ შემთხვევაში, მოდელში უშიშროების სამინისტრო შენარჩუნებულია და მას ფუნქციებიც კი ემატება - მას შეერწყმება დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი. განიხილება უშიშროებისთვის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციების გადაცემაც, თუმცა, ასევე განიხილება ამ ფუნქციების შსს-სთვის გადაცემაც.

ჯერჯერობით, ძველი ფუნქციებით შენარჩუნდება შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუმცა ცხადია, რომ მომავალში მისი, ისევე როგორც უშიშროების სამინისტროს, სერიოზული რეფორმირება იგეგმება.

იუსტიციის სამინისტროს, დღეს არსებული ფუნქციების გარდა, გადაეცემა საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციები და მიწის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციათა ნაწილი - მიწის რეგისტრაციის სფეროში.

ფინანსთა სამინისტრო თავისი ფუნქციებით შენარჩუნდება.

ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც დღეს საკმაოდ ბევრი ფუნქციით არის დატვირთული, სავარაუდოდ, ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტს მიიერთებს. განიხილებოდა სტატისტიკის დეპარტამენტის ამ სამინისტროში მოქცევაც, თუმცა, სტატისტიკური ინფორმაციის მრავალმხრივობიდან გამომდინარე, ალბათ, ეს დეპარტამენტი დამოუკიდებლად იარსებებს, ისევე, როგორც სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. თუმცა, სავარაუდოდ, ამ დეპარტამენტებს "სახელმწიფო დეპარტამენტის" სტატუსი აღარ ექნებათ და თანდათანობითი რეფორმირების შედეგად ისინი, შესაძლოა, თვითდაფინანსებაზეც კი გადავიდნენ. ეკონომიკის სამინისტროში, შესაძლოა, ტურიზმის და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტებიც გაერთიანდეს, თუმცა ისინი, შესაძლოა, კულტურის სამინისტროს დარჩეს.

სიახლეა ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს შექმნა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სამინისტროდ მოიაზრება და რომელიც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტს, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის და გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციათა ნაწილს მიიერთებს. ამ ორი უკანასკნელი დეპარტამენტის ფუნქციათა ნაწილი კი გარემოს დაცვის სამინისტროზე გადანაწილდება.

გარემოს დაცვის სამინისტროს, ასევე, დაეკისრება დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციები.

შენარჩუნდება სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც, შესაძლოა, მიწის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციათა ნაწილი "ერგოს".

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს დაემატება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ფუნქციები, ასევე - ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციები.

განათლების სამინისტრო შენარჩუნდება ძველი სახით.

კულტურის სამინისტროს დაემატება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციები.

ჯერჯერობით, გაურკვეველია ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ბედი, თუმცა, შესაძლოა იგი გარემოს დაცვის სამინისტროში აღმოჩნდეს.

ამ სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სახელისუფლებო სტრუქტურებში, წინასწარი ინფორმაციით, კადრების 40-50 პროცენტით შემცირება იგეგმება, რაც, თავისთავად, არ იქნება უმტკივნეულო პროცესი.

სტრუქტურულ ცვლილებებში არ ფიგურირებს სახელმწიფო კანცელარიაც, რომლის ნაცვლად, სავარაუდოდ, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის მცირერიცხოვანი აპარატები შეიქმნება.

ასეთია ის სამუშაო მოდელი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების მაგიდაზე დევს. ცხადია, მოდელი დაიხვეწება. მიუხედავად ამისა, ეს ვარიანტიც ახალი ხელისუფლების სტრუქტურულ ხედვაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის.



"არეს-ინტერნეშენალი" სახელმწიფო მინისტრს შეურიგდა

ნიკა მარიამიძე

"ინვესტორებთან ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება," – ასეთი პოზიცია დააფიქსირა გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" იტალიელი ინვესტორის – "არეს ინტერნეშენალის" წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ. მისი გადაწყვეტილებით, კომბინატში შექმნილ ვითარებას სამთავრობო კომისია შეისწავლის. კომისია ერთი კვირის განმავლობაში განიხილავს ყველა იმ სადავო საკითხს, რაც საწარმოში შემოსვლიდან დღემდე "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" იტალიელ ინვესტორსა და ადგილობრივ ხელმძღვანელობას შორის წარმოიშვა. გაირკვევა ინვესტორთან სამომავლო ურთიერთობის საკითხებიც.

"არეს ინტერნეიშენალის" წარმომადგენლებმა სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი კმაყოფილებმა დატოვეს. **"იმედია, მას შემდეგ, რაც სამთავრობო კომისია თავის დასკვნებს გამოიტანს, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან პრობლემები აღარ იარსებებს,"** – აცხადებდა "არეს ინტერნეშენალის" წარმომადგენელი ალექსანდრ სილუგინი შეხვედრის შემდეგ. ინვესტორებმა დააკონკრეტეს, რომ სახელმწიფო მინისტრი ინვესტორთა წინაშე მდგარ პრობლემებს გაეცნო და მათი მოთხოვნების **"თითქმის ყველა პუნქტს დაეთანხმა".**

იტალიელთა პრეტენზიები, ძირითადად, რუსთავის სასამართლოს მიერ ამ ორი დღის წინ გამოტანილ განჩინებას ეხებოდა, რომლის მიხედვითაც გაუქმდა "რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსა" და იტალიურ ფირმა "არეს ინტერნეშენალს" შორის 2003 წელს გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოს აქციების 98 პროცენტისა და საწესდებო კაპიტალიდან 77 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონების "არეს ინტერნეიშენალისათვის" გადაცემის თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებას წინ უძღოდა კომბინატის თანამშრომელთა ჯგუფის პროტესტი. ისინი აღაშფოთა "არეს ინტერნეშენალის" მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საწარმოს რიგი დანადგარების ჯართად გაყიდვის თაობაზე. "არეს ინტერნეშენალი" ამ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებდა, რომ **"სჯობს უვარგისი დანადგარები ჯართად გაიყიდოს, მიღებული თანხა კი ახალი დანადგარების შეძენას მოხმარდეს."**

რუსთავის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას კანცელარიაში დაუსაბუთებლად მიიჩნევენ, მას ინვესტორებზე ზეწოლად აფასებენ და აცხადებენ, რომ **"თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს მიმართ ინვესტორები ინტერესს დაკარგავენ."**

ზურაბ ჟვანიამ "არეს ინტერნეშენალის" წარმომადგენლობას აღუთქვა, რომ ხელისუფლება იტალიელებს ხელს შეუწყობს, რათა საწარმო არ გაჩერდეს და მისი ინვესტირება გაგრძელდეს.

საინვესტიციო პროგრამა 132 მილიონი ლარის ინვესტირებას, 108 მილიონი ლარის ოდენობის ძველი ვალდებულებების გასტუმრებას და 3 მილიონი ლარის ოდენობის ძველი სახელფასო დავალიანებების გასტუმრებას ითვალისწინებს, რის შემდეგაც "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" აქციათა 98 პროცენტის მფლობელ "არეს ინტერნეშენალს" სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი 2 პროცენტიც უნდა გადაეცეს.

"მსოფლიო დემოკრატიის ფორუმს" ქართველი პოლიტოლოგები და ექსპერტებიც დაესწრებიან

პირველი თებერვლიდან ხუთ თებერვლამდე სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში გაიმართება "მსოფლიო დემოკრატიის ფორუმი", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიული ქვეყნის წარმომადგენლები. ფორუმზე საქართველოს ლევან ბერძენიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, გია ნოდია და დევი ხეჩინაშვილი წარმოადგენენ.
გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან ლევან ბერძენიშვილთან.

თამარ მჭედლიშვილი

- საქართველოში ნაკლებად იციან ამ ფორუმის თაობაზე. რას წარმოადგენს იგი და რა საკითხების გარშემო მიმდინარეობს მსჯელობა?

- ეს არის "მსოფლიო დემოკრატიის ფორუმი". "მსოფლიო დემოკრატიული მოძრაობა" ჩამოყალიბდა სამი წლის წინ. ამის ინიციატორი და ძირითადი დამფინანსებელია დიდი, სოლიდური ამერიკული ფონდი **National Endowment for Democracy.** ეს რიგით მესამე შეკრება იქნება. ჩვეულებრივ, ფორუმები ტარდება მსოფლიოს დიდ ქვეყნებში: პირველი ორი შეკრება ინდოეთსა და ბრაზილიაში გაიმართა. ახლა კი ფორუმის მონაწილეები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შევიკრიბებით. მასში მონაწილეობას იღებენ დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან; ასევე ის ადამიანები, რომლებიც მსოფლიო დემოკრატიული მოძრაობის დამფუძნებლები არიან. სხვათა შორის, **"NED"**-იმ თავის დროზე ჩამოაყალიბა მმართველი კომიტეტი, რომელიც ირჩევს ფორუმის წევრებს და იწვევს მათ მთელი მსოფლიოდან. საქართველოდან წინა ფორუმებში ვმონაწილეობდით მე და ივლიანე ხაინდრავა, ხოლო გია ნოდია მმართველი კომიტეტის წევრია.

- რა გეგმებით ჩადიხართ სამხრეთ აფრიკაში? რა საკითხებზე აპირებთ საუბარს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან?

- ოთხი დღის განმავლობაში გაიმართება პლენარული სხდომები და კონფერენციები. მე სამ კონფერენციაზე ვგეგმავ გამოსვლას და შევეხები ისეთ საკითხებს, როგორიც არის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, დემოკრატიული რესურსი საქართველოში, ხელისუფლება, დემოკრატია და ა.შ. გამოსვლებს გეგმავენ ივლიანე ხაინდრავა და გია ნოდიაც. რაც შეეხება კონკრეტულ მიზნებს: ჩვენი ამოცანაა, გავაცნოთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ჩვენი გამოცდილება და შევიტყოთ, თუ რა შედეგებს მიაღწიეს მათ დემოკრატიისთვის ბრძოლის საქმეში. გვინდა, გავიგოთ, თუ რა ცვლილებებია მსოფლიო პოლიტიკაში და რა შესაძლო დახმარება შეიძლება მივიღოთ დასავლელი და სხვა პარტნიორების მხრიდან.

- კონკრეტულად რა დახმარებას გულისხმობთ?

- ფორუმი იძლევა იმის საშუალებას, რომ დავინახოთ, თუ საითკენ მიდის მსოფლიოს დემოკრატიული პროცესები. ამასთან, ფორუმის მიმდინარეობით დაინტერესებული არიან როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ასევე გაერო-ს გენერალური მდივანი და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსები. მართალია, ეს ხალხი არ დაესწრება ფორუმს, მაგრამ მათი ვიდეომიმართვები ფორუმის მონაწილეებისადმი მაინც იქნება. ამ ფორუმს ჩვენთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ გავიგებთ, თუ რა დახმარება შეუძლია მიიღოს ყველა იმ ქვეყანამ, რომელიც დემოკრატიისთვის, თავისუფალი მედიის განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად იბრძვის. ამასთან ერთად, ასეთ ფორუმებზე მყარდება ძალზე სერიოზული და საჭირო კონტაქტები, იკვეთება მომავალი თანამშრომლობის კონტურები და ამას ჩვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია სრული სვლით ევროპისაკენ

პირველი გვერდიდან

ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ 2 წლის წინათ გამოთქვა. მაშინ საქართველოში ჩამოსულმა ამ ორგანიზაციის დელეგაციამ თავისი რეკომენდაციები დატოვა, რომელთა უმეტესობა გათვალისწინებულია და მოთხოვნებიც შესრულებულია. როგორც ზურაბ ჭანკოტაძემ განაცხადა, - **"ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოში სამოქალაქო ავიაციაში არსებულ მდგომარეობას, ფრენების უსაფრთხოების, აეროპორტებისა და ავიაკომპანიების მუშაობის საკითხებს გაეცნობიან."** შეხვედრები სამი დღის განმავლობაში ჩატარდება, რის შემდეგაც დელეგაციის წევრების მიერ დაწერილი დასკვნა საქართველოს მთავრობას წარედგინება.

"საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, მარტიდან ან აპრილიდან საქართველო კონფერენციის სრულუფლებიანი წევრი გახდება," – აცხადებს ჭანკოტაძე.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ვალებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ. საქართველოს სამოქალაქო ავიაციას საერთაშორისო ორგანიზაციის - ICAO-ის 337 ათასი დოლარი მართებს. ეს მაჩვენებელი რიგი შეღავათების წყალობითაა მიღებული. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებისას საქართველო დასახელდა როგორც განვითარებადი სახელმწიფო, ამიტომ მიენიჭა შეღავათები. საქართველო პირველი პოსტსაბჭოური ქვეყანა იყო 1994 წელს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეს დავალიანება გადაუხდელი საწევრო ანარიცხებიდან მოგროვდა. დიდი ვალების გამო 1998 წელს საქართველოს ხმის უფლება ჩამოერთვა და ამჟამად მხოლოდ მეთოდოლოგიური დახმარებებით კმაყოფილდება.

Mercy Corps
btc SCP

სოფელი ივანოვკა - ერთად შრომა მთელი თემის სასარგებლოდ

ივანოვკა თეთრიწყაროს რაიონში მდებარე მთიანი სოფელია, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ჩართულია ბი-პი-სა და მისი პარტნიორების, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) მიერ ინიცირებულ და დაფინანსებულ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში (სიპ).

სოფელი რაიონული ცენტრიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და მისი მოსახლეობის უმეტესობას მოხუცები და მარტოხელები წარმოადგენენ, რომელთა არსებობაც ძირითადად დამოკიდებულია საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავების ფინანსურ დახმარებაზე. ეს კი მხოლოდ ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვისაა საკმარისი. სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, სოფლის მოსახლეობა სამედიცინო მომსახურეობასაც ვერ ღებულობდა, ვინაიდან ცუდი გზის, შორი მანძილისა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო ვერ ხერხდებოდა სამედიცინო პერსონალის მიერ მოსახლეობის ადგილობრივად მომსახურეობა.

სოფლის მაცხოვრებლების მონდომებითა და პროგრამის განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაცია "მერსი ქორისა" და მისი პარტნიორი "საქართველოს ტექნიკურ დახმარების" მეშვეობით უკვე შეკეთდა სოფლის მისასვლელი და შიდა გზები. ამით გაუმჯობესდა ის სასიცოცხლო კომუნიკაციები, რაც ამხელა პრობლემას უქმნიდა სოფელს.

გარდა სარეაბილიტაციო საქმიანობისა, ივანოვკა სოფელ ჯიგრაშენთან ერთად არის ჩართული ფსიქო-სოციალურ პროგრამაში, რომელსაც საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის პარტნიორი ქართული ორგანიზაცია - "საერთაშორისო ფონდი კურაციო" ახორციელებს. ფონდის თანამშრომელი, ლია დიდიძე ამბობს: "გასაოცარია თუ რამდენის მიღწევა შეუძლია ხალხს ურთიერთთანადგომით და რწმენით!"

ამ პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი პიროვნება ბიზნესმენი და ქველმოქმედი კოტე შარვაშიძეა, რომელიც სოფელ ივანოვკაში ფერმერულ საქმიანობას ეწევა და იქ მაცხოვრებელ პენსიონერებს ეხმარება საკვები პროდუქტებით. მისივე თავდაუზოგავი შრომით და დახმარებით გახდა შესაძლებელი გზის რეაბილიტაციის წარმატებით დასრულება.

ფსიქო-სოციალური პროგრამის ფარგლებში ბატონ კოტეს გადაეცა 10 ძროხა რძის პროდუტების წარმოების მიზნით, რის შედეგადაც იგი მოგებიდან ყოველთვიურად თემის ანგარიშზე რიცხავს თანხას, რაც გამოიყენება სოფლის მაცხოვრებლების სამედიცინო მომსახურეობისათვის. ეს მოიცავს სოფელში სამედიცინო ბრიგადის ვიზიტს, ავადმყოფების დიაგნოსტირებას, საჭირო ლაბორატორიული ანალიზების გაკეთებასა და შესაბამისი დანიშნულების მიცემას. არსებული თანხის ფარგლებში ასევე ხორციელდება საჭირო მედიკამენტების შეძენა და მოსახლეობისთვის გადაცემა. ბატონ კოტესა და თემს შორის დადებული ხელშეკრულება 60 თვის განმავლობაში იქნება ძალაში.

ამჟამად სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია გაწეული მომსახურეობით და არაერთხელ გამოხატა თავისი გულწრფელი მადლიერების გრძნობა მეზობლების, პროგრამის ხელმძღვანელობისა და სამედიცინო პერსონალის მიმართ. ამ პროგრამისაგან სარგებელს ღებულობენ როგორც სოფლის წარმომადგენლები, ასევე აღნიშნული ბიზნესმენი და სამედიცინო ჯგუფი.

სს "საქართველოს ელექტროკავშირის" საბურთალოს, დიდუბისა და დიღმის მასივის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

გაუწყებთ, რომ დამთავრდა განბლოკებისა და მოქმედი სატელეფონო სადგურებიდან ახალ ციფრულ სადგურზე ტელეფონების გადასართავად მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ მოგეცემათ შესაძლებლობა, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ისარგებლოთ ყველა სახის საკომუნიკაციო მომსახურებით.

მოქმედი სადგურებიდან ახალ სადგურზე ტელეფონების გადართვის პროცესში მიმდინარე წლის 3 თებერვლიდან მოსალოდნელია ასს-51-სა და 3-იანი ინდექსის ტელეფონების ხარვეზებითა და წუნით მუშაობა; არ არის გამორიცხული მათი 2-3 დღის განმავლობაში გამორთვაც, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით სს "საქართველოს ელექტროკავშირის" ადმინისტრაცია

საკადრო წმენდა საბაჟო დეპარტამენტში

პირველი გვერდიდან

საბაჟოს "ძველი სახეებისგან" გაწმენდას ქისტაურს დიდი ხანია სთხოვენ, თუმცა მაშინ, როცა ის შევარდნაძის ხელისუფლებამ საბაჟოს ხელმძღვანელად პირველად დანიშნა, მან ეს ვერ მოახერხა. საბაჟოზე, როგორც წესი, მაღალი ეშელონების პროტექციით ხვდებოდნენ. დღეს კი "შავ სიაში" მოხვდნენ: მომღერალი გიო ხუციშვილი, რომელიც "აღმოსავლეთის" საბაჟოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. ყოფილი ფეხბურთელი გელა ინალიშვილი, რომელსაც რეგიონული საბაჟო "სამხრეთის" უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა. "24 საათის" ინფორმაციით, ინალიშვილი ჯემალ გახოკიძის სიძეა. გახოკიძეს უკავშირდება, ასევე, რეგიონული საბაჟო "სამხრეთის" აწ გათავისუფლებული უფროსი გოგიტა ჯანგიშერაშვილი. რამდენიმე წლის წინ ის გახოკიძის დაცვაში მუშაობდა. გათავისუფლებულია ნუკრი იოსებაშვილი, რომელმაც რკინიგზის საბაჟოს უფროსის მოადგილის სავარძელში პროკურორის სავარძლიდან გადაინაცვლა. ასევე - გია მჟავანაძე, რომელიც საბაჟომდე ფინანსურ ლეგიონთან თანამშრომლობდა.

დადგება თუ არა გათავისუფლებულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ჯერ უცნობია. ქისტაურის ინფორმაციით, დეპარტამენტის კრიმინალური სამსახურის "ჩრდილოეთის" სამმართველოს სამი თანამშრომლის საქმიანობაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები შეიმჩნევა. **"მიმდინარეობს მოკვლევა ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მიმართაც. საქმე გამოსაძიებლად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს გადავეცით,"** – აცხადებს ქისტაური და დასძენს, რომ თანამშრომლებს ბრალი ქრთამის აღებაში ედებათ. ქისტაურმა მათი ვინაობა არ დაასახელა.

კულუარული ინფორმაციით, გენპროკურატურის წკეპლა მალე საბაჟოსაც მოხვდება, თუმცა, როგორც

გიორგი გახარიას ფოტო

ქისტაური ადმინისტრაციულ ზომებზე გადადის.

ამბობენ, საუბარი ძველ ჩინოვნიკებს შეეხება. საბაჟოზე მიმდინარე მაქინაციების შესახებ კონტროლის პალატაში არაერთი საქმე დევს. როგორ იმოქმედებს გუშინდელი გადაწყვეტილება ქისტაურის თანამდებობაზე, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა, მას ნოღაიდელთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და ამ მხრივ პრობლემები არ ექმნება.

ქისტაურის მიმართ პრეტენზიები არც საბიუჯეტო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით არსებობს. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, საბაჟო დეპარტამენტმა 81,3 პროცენტით შეასრულა გასული წლის დეკემბრის გეგმა (41 601,5 ათასი ლარი), სადაც არ შედის წინასწარი გადახდების თანხები, რაც, ექსპერტების აზრით, სერიოზული მიღწევაა. რაც შეეხება იანვრის გეგმას, არაოფიციალური ინფორმაციით, ის შესრულებულია და გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 4 პროცენტით აჭარბებს.

რეგიონებში სამგზავრო გადაზიდვებზე ახალი ტენდერები ჩატარდება

დიანა ჩაჩუა

წლეულს რამდენიმე რეგიონში სამგზავრო გადაზიდვებზე ახალი ტენდერები ჩატარდება. ხელახალი ტენდერი იმერეთს, მცხეთა-მთიანეთს და სამცხე-ჯავახეთს ეხება.

შარშან მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, იმისათვის, რომ ფირმამ მიიღოს სამგზავრო გადაზიდვებზე ხელმძღვანელობის უფლება, ტენდერში უნდა გაიმარჯვოს, რის შედეგადაც მიიღებს ნებართვას. ტენდერი ყოველ ხუთ წელიწადში ტარდება. მას რეგიონებში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები ატარებენ. ტენდერის პირობების დარღვევის შემთხვევაში ფირმის ხელმძღვანელობას ჩამოერთმევა სამგზავრო გადაზიდვებზე ნებართვა, ანუ მოხდება ის, რაც მოხდა იმერეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში. დღეს გადაზიდვებს დროებით საგადასახადოს კონტროლის ქვეშ მყოფი მეწარმე ხელმძღვანელობს, მაგრამ - მხოლოდ ახალი ტენდერის ჩატარებამდე. ბოლო ტენდერი ოთხი წლის წინ ჩატარდა, რომელსაც საავტომობილო ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე რევაზ თედორაძე დადებით შეფასებას აძლევს.

"წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უარესი შედეგის მომსწრენი გავხდებოდით," - აცხადებს იგი. როგორც ბატონმა რევაზმა განაცხადა, ქუთაისში ტენდერებთან დაკავშირებით დიდი პრობლემებია.

"თავის დროზე შაშიაშვილმა კატეგორიული უარი გვითხრა შიდასაქალაქო ტენდერის ჩატარებაზე. თუმცა ქუთაისი-თბილისის მარშრუტზე ჩატარდა ტენდერი და ეს მიმართულება ჩვეულებრივ კონტროლდება. გადასაჭრელი პრობლემა შიდასაქალაქო მიმართულებებს ეხება," – აცხადებს რეზო თედორაძე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მძღოლები ახალ გადაწყვეტილებებს ელიან.

ტენდერი, სავარაუდოდ, ექვს თვეში ჩატარდება. **"ყველაფერი მალე ვერ მოხდება. პირველ ეტაპზე ტენდერის შესახებ ინფორმაცია და პირობები გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს, მონაწილე ფირმებმა საკუთარი სამოქმედო გეგმები უნდა წარმოადგინონ და ა.შ.."** - აცხადებს თედორაძე.

როგორც რესპონდენტმა განაცხადა, სამგზავრო გადაზიდვებზე ნებართვის სამართლიანად განაწილების გარდა, გადასაჭრელია სხვადასხვა ტექნიკური პრობლემები, კერძოდ - მგზავრთა უსაფრთხოება, ევროპულ დონესთან მიახლოება, ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.

მცხეთა-მთიანეთში სამგზავრო გადაზიდვებზე ნებართვის მქონე ფირმას მთლიანად ჩამოერთვა მართვის უფლება. ეს ფირმა წარმოადგენს ყოფილ საგზაო სატრანსპორტო საწარმოს. საგადასახადომ, პოლიციამ და სხვა ორგანოებმა ფირმაში დარღვევები აღმოაჩინეს, კონკრეტულად ეს ეხება ტენდერის პირობების შეუსრულებლობას. **"დარღვევებია ბიუჯეტში გადასახადების შეტანასთან დაკავშირებით. ვაპირებ, შევხვდე ამ რეგიონის ვიცე-გუბერნატორს და დაველაპარაკო ამ პრობლემასთან დაკავშირებით,"**- აცხადებს ბატონი რევაზი. სამგზავრო გადაზიდვებს დროებით ადგილობრივი, საგადასახადოს კონტროლს ქვეშ მყოფი მეწარმეები აწარმოებენ.

ტენდერში მონაწილეობა, ქართულ ფირმებთან ერთად, უცხოურ ფირმებსაც შეუძლიათ, მაგრამ **"რასაკვირველია, ჩვენ უპირატესობას ქართულ ფირმებს ვანიჭებთ; გვირჩევნია, ქართველები დავასაქმოთ, თუმცა, რასაკვირველია, მათაც შეუძლიათ ტენდერში მონაწილეობის მიღება. უცხოური ფირმები გვირჩევნია ტექნიკურ მომარაგებასა და ინვესტიციების ჩადებაში ჩავრთოთ"**. რევაზ თედორაძის თქმით, სამცხე-ჯავახეთში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა იქაც არის გარკვეული დარღვევები და ამიტომ, უახლოეს ექვს თვეში ტენდერი იქაც ჩატარდება.

"აეროფლოტი" დასავლური კონსორციუმის წევრი?

ადამ მჭედლიძე

რუსეთის სახელმწიფო ავიაკომპანია "აეროფლოტმა" საერთაშორისო ავიაკონსორციუმის - "სქაი თიმის" წევრად გახდომის სურვილი გამოთქვა. ეს კონსორციუმი, რომლის წამყვან წევრებს "აირ ფრანსი" და ამერიკული "დელტა ეარლაინზი" წარმოადგენენ, ერთ-ერთი უმსხვილესი გაერთიანებაა ავიასფეროში და, სპეციალისტთა აზრით, მომავალში უმთავრეს მოთამაშედ იქცევა ბაზარზე.

"სქაი თიმი" დადებითად შეხვდა "აეროფლოტის" განცხადებას, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ კონსორციუმში გაწევრიანებისათვის რუსულ კომპანიას რამდენიმე პრობლემის მოგვარება მოუწევს. კონსორციუმს მაინდამაინც არ დაუზუსტებია, თუ რა პრობლემებზეა საუბარი – ნახსენები იყო მხოლოდ სტანდარტების შეუთავსებლობა. თუმცა, წესით, სხვა პრობლემებიც უნდა არსებობდეს, რომელთა წარმოდგენაც ძნელი არ იქნება, თუკი გავიხსენებთ იმ დიდ განსხვავებებს, რომლებიც კვლავაც არსებობს რუსულ და დასავლურ მენეჯმენტებს შორის და იმ შოკს, რომელიც საქმიან სამყაროში "იუკოსის" სკანდალმა გამოიწვია,

"აეროფლოტის" მიერ ამ განაცხადის გაკეთებას დიდი იმედგაცრუება უძღოდა – კომპანიამ ვერ მოახერხა კონტროლი დაემყარებინა თავის უმთავრეს ბაზაზე – შერემეტიევოს აეროპორტზე. ახლა "აეროფლოტს" სხვა მოსკოვური აეროპორტისათვის მოუწევს ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ ბევრმა საერთაშორისო გადამზიდავმა, მაგალითად - "ბრიტიშ ეარვეიზმა" და "სვისმა" (ყოფილი "სვისეარი"), უკვე საერთოდ მიატოვა შერემეტიევო. ისინი ბაზად იყენებენ უფრო ახალ, კერძო დემოდედოვოს.

ბოლო ხანებში "აეროფლოტმა" სერიოზულად გაუმაგრებს ზურგს "სქაი თიმისს", რადგან რუსული ავიაგიგანტი, რეისების რაოდენობის მხრივ, მსოფლიოს წამყვან კომპანიებს დიდად არ ჩამოუვარდება. თავად კონსორციუმში იგი გაცილებით უფრო სერიოზული მოთამაშე იქნება, ვიდრე "სქაი თიმის" ისეთი წევრები, როგორიცაა "აერომექსიკო" და "კორეან ეარი." ასე რომ, წესით და რიგით, კონსორციუმი შეეცდება, მალე მოაგვაროს "სტანდარტების პრობლემა" და კიდევ სხვა საჭირბოროტო საკითხები.

მოკლედ

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაზე ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,11 ლარით განისაზღვრა. შიდა სავალუტო ბაზარზე დოლარის შესყიდვის კურსი - 2,11 ლარი, ხოლო გაყიდვის კურსი 2,12 ლარი იყო. 13 იანვრიდან ლარის მიმართ ძალაშია უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2,6105 ლარი; 1 რუბლი - 0,0741 ლარი, 1 გირვანქა სტერლინგი - 3,8195 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის ევროკავშირმა 2,5 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარება გამოყო. დღეს დოკუმენტს გრანტის ათვისების შესახებ ცხინვალში ხელი უნდა მოაწერონ: საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა მიხეილ მაიოროვმა, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის პრეზიდენტის აპარატის უფროსმა თეიმურაზ კუსოვმა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 1 თებერვლიდან "თბილგაზი" ინკასატორების ინსტიტუტს აუქმებს. ამიერიდან ყოფილ ინკასატორებს ქვითრის გამოწერა მხოლოდ აბონენტთა მრიცხველების ჩვენების მიხედვით დაევალებათ. ამ ქვითრით "თბილგაზის" აბონენტები თანხას ბანკში გადაიხდიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შესაძლოა, უახლოეს მომავალში თბილისელებმა სასმელი წყლის საფასური "თელასის" სერვის-ცენტრებში გადაიხადონ. ამ საკითხზე მოლაპარაკებები "თელასის" ხელმძღვანელობასთან ისევ განახლდა. ამ მომსახურებაზე "თბილწყალკანალს" "თელასისთვის" გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ეს თანხა ინკასატორებისთვის გაწეულ ხარჯებზე მეტი არ იქნება. ბოლო მონაცემებით, მოსახლეობისგან წყლის საფასურის ამოღება 48 პროცენტს შეადგენს, ხოლო დავალიანება 19,8 მილიონი ლარია. "თბილწყალკანალისადმი" ყველაზე დიდი დავალიანება მოსახლეობასა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს აქვთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გერმანულ-ავსტრიული კონსორციუმი "ფოიტ-სიმენსი" აფხაზეთის ომის დროს გაძარცვული "ენგურჰესის" აგრეგატის სარეაბილიტაციოდ საჭირო მოწყობილობების შემოტანას საქართველოში 13 თებერვლიდან დაიწყებს. ეს მოწყობილობები "ფოიტ-სიმენსმა" გერმანიაში ჩამოასხა. აღდგენილი აგრეგატი 2004 წლის ბოლოს ჩაირთვება და მისი მეშვეობით საქართველოს ენერგოსისტემას დაახლოებით 270 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია შეემატება. სამუშაოები სულ სამ აგრეგატზე ჩატარდება. პროექტის დასრულების შემდეგ ჰესი დამატებით შეძლებს 800 მილიონი კილოვატსაათის გამომუშავებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ორ სპეციალურ ფონდში მობილიზებულ თანხებს დახარჯავს. პრეზიდენტის ფონდში აკუმულირებული სახსრების გარდა, მიხეილ სააკაშვილს ახლად შექმნილი რეფორმებისა და განვითარების ფონდის განკარგვის შესაძლებლობაც მიეცემა. ფინანსთა სამინისტროში 2004 წლის სახელწიფო ბიუჯეტის პროექტში პრეზიდენტის ფონდის დაგეგმილ პარამეტრს არ ასახელებენ. ახლად შექმნილი განვითარების ფონდის პირველი წყარო კი, სავარაუდოდ, ჯორჯ სოროსი იქნება. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ პრეზიდენტის ფონდს: ფონდიდან თანხები განსაკუთრებულ, გაუთვალისწინებელ შემთხვევებში უნდა დაიხარჯოს. 2002 წელს პრეზიდენტის ფონდიდან 20 მილიონი ლარი დაიხარჯა. გასული წლის ბიუჯეტში კი ფონდის პარამეტრი 11 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული. **ინტერ-პრესი**

ფინანსთა სამინისტრომ ახალი გრაფიკი შეიმუშავა

ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებების ემისიის წლიური გრაფიკი შეიმუშავა, ანუ სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ კერძო პირისაგან ფასიანი ქაღალდებისა და აქციების გაყიდვის შედეგად "ნასესხები" ფული, რომელიც ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისათვის არის მიმართული, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით და შესაბამისი პროცენტული დანამატით დაუბრუნდება პატრონს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი პრეცედენტია, როცა გრაფიკი მთლიანად წლიური მაჩვენებლებით დადგინდა (მისი შემუშავება მხოლოდ უახლოესი დღეებისათვის ხდებოდა). 2004 წელს სახაზინო ვალდებულებების ემისიის ჯამური მოცულობა 160 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით, პირველ კვარტალში 33.5 მილიონი, მეორეში - 43.4 მილიონი, მესამეში - 33 მილიონი, ხოლო მეოთხეში - 50.1 მილიონი ლარის ემისია განხორციელდება. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სახაზინო ვალდებულებების ემისიის წლიური მოცულობის გრაფიკი უკვე განთავსდა საინფორმაციო სისტემა "ბლუმბერგის" ინტერნეტ-გვერდზე, რაც ამ ინსტრუმენტისადმი უცხოელი ინვესტორების ინტერესს გაზრდის. მათი თქმით, სახაზინო ვალდებულებები საბიუჯეტო დეფიციტის შევსების ერთ-ერთ შიდა წყაროს წარმოადგენს და 2007 წლის საბიუჯეტო დეფიციტი შესაძლოა, სწორედ მხოლოდ ამ ტიპის ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დაიფაროს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც ზემოაღნიშნული მონაცემები აუცილებლად აისახება. პერსპექტივაშია სახაზინო ვალდებულებების პირდაპირი მიყიდვის წესის ამოქმედება.

24 საათი

ვაშინგტონი ევრაზიული დერეფნის ამოქმედებაზე მსჯელობს

გუშინ ვაშინგტონში ამერიკულ-უკრაინულმა ერთობლივმა კომისიამ ნავთობის ტრანსპორტირების ევრაზიის დერეფნის საკითხებზე იმსჯელა. განხილვის ძირითადი თემა იყო 2002 წელს აშენებული, 675 კილომეტრის სიგრძის ოდესა-ბროდის ნავთობსადენის ამოქმედება და ამ მილსადენით კასპიის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირება. ამ მილსადენის საშუალებით თენგიზ-ნოვოროსიისკისა და ბაქო-სუფსის მილსადენებში გატარებული და შემდგომ ოდესამდე ტანკერებით გადაზიდული ნავთობი ევროპისკენ აიღებს გეზს. ოდესა-ბროდის მილსადენი წელიწადში ჯერ 9-14.5 მილიონ ტონა ნავთობს გაატარებს, მოგვიანებით კი მისი გამტარუნარიანობა წლიურად 45 მილიონ ტონას მიაღწევს. სავარაუდოდ, ამ მილსადენით ტონა ნავთობის ტრანსპორტირება 5,2 დოლარი ეღირება.

პოლონეთი უკვე გეგმავს ბროდი-პლოცკის ნავთობსადენის მშენებლობასაც, რომლის დასრულების შემდეგ შეიქმნება ნავთობის ერთიანი, ევრაზიული დერეფანი.

24 საათი

როდის გააჩერებენ ენგურჰესს სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

"ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჰესის გაჩერების თარიღი, ჯერჯერობით, განსაზღვრული არ არის. "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის კოორდინატორის ირაკლი სულაბერიძის განცხადებით, პროექტი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და გვირაბის გასარემონტებლად ჰესის გაჩერება 1 აპრილისთვის იგეგმება. მინისტრის მოადგილის ნუგზარ უფლისაშვილის განცხადებით კი, ჰესი 1 მარტს უნდა გაჩერდეს. გვირაბისა და ჰესის კაშხლის რეაბილიტაციას სპეციალურ ტენდერში გამარჯვებული რუსული კომპანია "ტექნოპრომექსპორტი" ახორციელებს, თუმცა კომპანიაში დასაქმებულთა 65 პროცენტი ქართველია. გაფორმებული კონტრაქტით, სარემონტო სამუშაოები 1 აპრილს უნდა დაიწყოს და ჰესი 85 დღის განმავლობაში უნდა გაჩერდეს.

ინტერ-პრესი

სასამართლომ გერმანელ კანიბალს განაჩენი გამოუტანა

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ უკვე გამოუტანა განაჩენი მოქალაქეს, რომელსაც კანიბალიზმსა და ადამიანთა მკვლელობაში ედებოდა ბრალი. მოსამართლის გადაწყვეტილებით, 42 წლის პროგრამისტს და კომპიუტერის სპეციალისტს არმინ მაივესს ამ დანაშაულისათვის რვა წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასამართლო პროცესზე მაივესმა აღიარა, რომ ის კანიბალია და ადამიანებს შესაჭმელად კლავდა.

სასამართლოზე, დოკუმენტური მტკიცებულებების სახით, ის ვიდეოჩანაწერები აჩვენეს, რომელსაც თავად განსასჯელი მაივესი იღებდა ვიდეო-კამერით. კასეტაზე ნათლად ჩანს მკვლელობის აქტი და მსხვერპლის დანაწევრებული სხეული.

მაივესმა სასამართლოზე განაცხადა, რომ მას ეს დანაშაული წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია, რადგანაც მსხვერპლი თავად დათანხმდა შეთავაზებაზე, რომ ის მაივესს მოეკლა და შემდეგ შეეჭამა.

საქმე ის არის, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს სასჯელს კანიბალიზმისათვის, მაგრამ არსებობს შესაბამისი მუხლი ცხედრის შეურაცხყოფისათვის.

პროკურორმა მაივესისათვის სამუდამო პატიმრობის მისჯა მოითხოვა და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მაივესის მსხვერპლი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი იყო,

REUTERS

კანიბალი არმინ მაივესი სასამართლო გადაწყვეტილებას მშვიდად ისმენს.

რაც კანიბალმა მისი გაბრიყვებისათვის შეგნებულად გამოიყენა.

სასამართლო მოსმენების დროს მაივესმა აღიარა, რომ პირველი მსხვერპლი სამი წლის წინ მოკლა და შეჭამა. როგორც გაირკვა, მაივესი განცხადებას ინტერნეტში აქვეყნებდა და მსხვერპლიც კანიბალის "შეთავაზებას" თავისი სურვილით დათანხმდა.

მაივესმა განაცხადა, რომ ამ აქტით მან ბავშვობის ოცნებაც აისრულა - კერძოდ, ის სკოლაში სწავლის პერიოდში თავისი თანაკლასელების შეჭმაზე ფიქრობდა.

ამ განცხადების მიუხედავად, ფსიქიატრებმა დაასკვნეს, რომ მაივესი ფსიქიკურად სრულიად გაწონასწორებულია და ის შეიძლება დაისაჯოს დანაშაულისათვის. კანიბალის ადვოკატები კი ყველას გასაოცრად ამტკიცებდნენ, რომ მაივესმა მკვლელობა გულმოწყალებით ჩაიდინა და ამიტომ ის თავისუფლების აღკვეთას, მაქსიმუმ, ხუთი წლით იმსახურებდა.

უნდა ითქვას, რომ მაივესის საქმემ გერმანიის მოსახლეობა შოკში ჩააგდო. საზოგადოების ნაწილი აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება – რვა წლით თავისუფლების აღკვეთა კანიბალისათვის საკმაოდ მცირეა და ის უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცვლება. ამდენად, რვა წლისა და ექვსი თვის შემდეგ კანიბალი მაივესი კვლავ თავისუფალი იქნება.

რუსეთის ხელისუფლება აბრამოვიჩს დაკითხავს

რუსეთის კონტროლის პალატა ჩუკოტკის გუბერნატორის ბორის აბრამოვიჩის მოღვაწეობის შესწავლას აპირებს. კონტროლის პალატა ამტკიცებს, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება და ეს ყოველწლიური პროცედურაა.

ფულის ზედმეტი ხარჯვისა და რუსეთის მიმართ ინტერესის ნაკლებობის გამო, აბრამოვიჩი არაერთხელ გააკრიტიკეს. "ასეულობით მილიონი დოლარი საფეხბურთო კლუბ "ჩელსიზე" იხარჯება, მაშინ როდესაც მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 1 მილიონი ამერიკული დოლარის შეგროვება მოხერხდა," - განაცხადა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სერგეი სტეპაშინმა. შარშან აბრამოვიჩმა ინგლისური კლუბი "ჩელსი" შეიძინა.

რუსეთში დიდი ხანია ლაპარაკობენ, რომ მთავრობა აბრამოვიჩს "უყურადღებოდ" არ დატოვებდა. ვლადიმირ პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ, სახელმწიფო აპარატი ოლიგარქებს ებრძვის, განსაკუთრებით მათ, ვისაც პოლიტიკური ამბიციები გააჩნია. ბოლო ხანებში ყველაზე გახმაურებული საქმე "იუკოსის" ხელმძღვანელის მიხეილ ხოდორკოვსკის დაპატიმრება იყო.

ხოდორკოვსკის დაპატიმრებამდე, "იუკოსი" და აბრამოვიჩის ნავთობკომპანია "სიბნეფტი" გაერთიანებას აპირებდა.

აბრამოვიჩი კრემლში თავისი კავშირებით არის ცნობილი, რაც დღემდე მას მშვიდი ძილის საშუალებას აძლევდა.

ბოლო დროს აბრამოვიჩი ცდილობს, თავისი ბიზნესი საზღვარგარეთ გადაიტანოს. მან ახლახან განაცხადა, რომ ჩუკოტკის გუბერნატორის პოსტიდან გადადგომას აპირებს. გაიზიარებს თუ არა აბრამოვიჩი ხოდორკოვსკის ბედს, ეს მალე გამოჩნდება.

სომხეთში პირველ ომბუდსმენს დანიშნავენ

სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა სომხეთის ისტორიაში პირველი ომბუდსმენის კანდიდატურა დაასახელა, რომელიც პარლამენტმა უახლოეს მომავალში უნდა დაამტკიცოს.

კოჩარიანის ადმინისტრაციის წევრმა აშოტ კოჩარიანმა განაცხადა, რომ სომხეთის პრეზიდენტმა ეს თანამდებობა ლარისა ალავერდიანს შესთავაზა, რომელიც დღემდე პრეზიდენტის მიერ შექმნილი ადამიანის უფლებების კომისიის წევრი იყო.

ალავერდიანი, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, რომელიც ყარაბაღის ომის დროს დატყვევებული სომეხი ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების გათავისუფლებაში აქტიურად მონაწილეობდა. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია სომხეთში ქალების უფლებების დაცვაზეც აქტიურად მუშაობს.

ომბუდსმენის თანამდებობა სომხეთის ხელისუფლებამ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ შემოიღო.

ოპოზიცია არ ეთანხმება სომხეთში მოქმედ კანონს ომბუდსმენის შესახებ. მათი თქმით, პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატურა უმაღლეს ხელისუფალზე იქნება დამოკიდებული. ამავე მოსაზრებას ათობით არასამთავრობო ორგანიზაცია იზიარებს.

დღეს ჰაჯი იწყება

ამერიკული არჩევნები ნელ-ნელა მწვავე ფაზაში შედის

აშშ-ში გაჩაღებული საარჩევნო კამპანია დღითიდღე მწვავდება. ერთი შეხედვით, ის არაფრით განსხვავდება სხვა წინასაარჩევნო კამპანიებისგან, გარდა იმისა, რომ ამომრჩეველთა გულის დაპყრობაში ერთმანეთს მხოლოდ დემოკრატიული პარტიის კანდიდატები ეცილებიან. რესპუბლიკური პარტია კი დუმს. მათ ერთი და უკონკურენტო კანდიდატი ჰყავთ – პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ამიტომ მისი გამოწვევის მცდელობა არც ერთ თანაპარტიელს არ ჰქონია, რადგანაც შანსები ნულის ტოლი იქნებოდა. ასე რომ, დემოკრატების ერთადერთ მიზანს ამჟამინდელი პრეზიდენტის დამარცხება წარმოადგენს. ამისათვის კი ძლიერი კანდიდატი თავად პარტიაში უნდა გამოიკვეთოს.

დემოკრატების ფავორიტობას ერთმანეთს ერთდროულად შვიდი კანდიდატი ეცილება: სამხრეთ კაროლინის გუბერნატორი ჰოვარდ დინი, ჯონ კერი, ჯონ ედვარდსი, უესლი კლარკი, ჯო ლიბერმანი, ალ შარპტონი და დენის კუჩინიჩი. თუკი აქამდე მათ შორის ჰოვარდ დინი ლიდერობდა, აიოვასა და ნიუ-ჰემპშირში ჯონ კერის დამაჯერებელმა გამარჯვებამ დინის წარმატება უკვე ეჭვქვეშ დააყენა.

აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯონ კერიმ ნიუ-ჰემპშირის შტატში ჩატარებულ წინასწარ არჩევნებში – პრაიმერიზში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რითიც საგრძნობლად გაზარდა თავისი შანსები იმისათვის, რომ დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს არჩევნებში სწორედ ის დაუპირისპიროს. მასაჩუსეტის შტატის სენატორმა კერიმ ხმათა უპირატესობით თანაპარტიელი კონკურენტი ჰაუერდ დინიც დაამარცხა, რომელიც წინასწარი გამოკითხვებით ამ შეჯიბრში ლიდერობდა. მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ეს ჯონ კერის მეორე გამარჯვებაა საარჩევნო მარათონში. **"მე მზად ვარ, ჩვენ პარტიას გამარჯვებისაკენ გავუძღვე,"** - აცხადებს ჯონ კერი და ამით ცალსახად მიანიშნებს თავის განზრახვაზე, რომ ბოლომდე იბრძოლებს.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ნიუ-ჰემპშირში გამარჯვება ჯონ კერის შანსებს საგრძნობლად ზრდის, რათა ამ ზაფხულს ის დემოკრატიულმა პარტიამ თავის ერთადერთ რჩეულად დაასახელოს. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ამ არჩევნების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. დემოკრატების კანდიდატთა უმრავლესობას ბოლომდე ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. მათ შორის გამარჯვებული ყველა შტატში ჩატარებული პრაიმერიზის შედეგების მიხედვით გამოვლინდება. 3 თებერვალს კი ერთ-ერთი გადამწყვეტი დღეა – პრაიმერიზი შვიდ შტატში ერთდროულად გაიმართება.

ამომრჩეველთა გულის მოსაგებად და ხმათა რაოდენობის გასაზრდელად კანდიდატებმა ერთმანეთს შორის პირდაპირი დებატების გამოყენების მრავალნაკად პრაქტიკასაც მიმართეს. პირველი დებატები ჯონ კერისა და ჰოვარდ დინს შორის გაიმართა, რამაც, საინფორმაციო საშუალებების ცნობით, საკმაოდ მწვავე და დაძაბულ ატმოსფეროში ჩაიარა.

იმ დროს, როდესაც ჰაჯის შესასრულებლად მუსლიმები მსოფლიოს ყველა კუთხიდან საუდის არაბეთის ქალაქ მექაში მიემართებიან, საუდის არაბეთის ხელისუფლება უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს იღებს, რათა ტერორისტული აქტები და ინფექციური დაავადებების გავრცელება თავიდან აიცილოს.

წელს, დაახლოებით, 2.5 მილიონ მუსლიმს ელოდებიან მექაში. ოფიციალურად ჰაჯი მუსლიმური მთვარის კალენდრით დულ-ჰიჯას თვის მერვე დღეს იწყება. ამ წელიწადს ჰაჯის დაწყება 31 იანვარს დაემთხვა.

ჰაჯი ისლამის ხუთი მთავარი პრინციპიდან ერთ-ერთია, რაც ყოველ მუსლიმს, რომელსაც ჯანმრთელობა და ფინანსური შესაძლებლობა ამის ნებას აძლევს, სიცოცხლეში ერთხელ წმინდა ქალაქ მექაში ჩასვლასა და ლოცვას ავალდებულებს.

საუდის არაბეთის ხელისუფლების მონდომების მიუხედავად, ჰაჯის დროს უბედური შემთხვევებისაგან თავს ვერ იზღვევენ. 1987 წელს 402 მომლოცველი დაიღუპა, როდესაც უშიშროების ძალებს ირანელებთან შეტაკება მოუხდათ, რომლებიც ანტიამერიკულ გამოსვლას აწყობდნენ. ერაყის ომის შემდეგ საუდის არაბეთში ანტიამერიკული განწყობა კიდევ უფრო გამძაფრებული იქნება, რადგან ეს ომი ბევრმა მუსლიმმა რწმენაზე შეტევად აღიქვა. საუდის არაბეთის ხელისუფლება ძალზე შეშფოთებულია 2003 წლის მაისის შემდეგ, როდესაც ტერორისტებმა ერ-რიადში შენობები ააფეთქეს, მოგვიანებით უდაბნოში ალ-ქაიდას საწვრთნელი ბაზებიც აღმოაჩინეს.

ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიის გამო წელს კონგოდან მომლოცველებს მექაში არ შეუშვებენ. საუდის არაბეთის აეროპორტებში დაყენებულია ზემგრძნობიარე აპარატურა, რომელიც ჩამოსულების სხეულის ტემპერატურას გაზომავს. ხელისუფლებას სურს, რომ ამგვარი მეთოდით "ატიპური პნევმონიით" დაავადებულები აღმოაჩინოს.

ამის გარდა, რამდენიმე დღის წინ საუდის არაბეთმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნებისმიერი, ვინც წესრიგის დარღვევას შეეცდება, უმკაცრესად იქნება დასჯილი.

ადგილი „მზის ქვეშ" - გაერთიანებული პროფკავშირებისთვის

გაერთიანებული პროფკავშირები შევარდნაძის მმართველობისას მოპოვებული სტატუსის შენარჩუნებას ცდილობს. ოპოზიციური ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ირაკლი ტუღუშის სანიმუშო დასწრება ვარდების რევოლუციამდე მოქმედი მთავრობის სხდომებზე ყველაზე თვალშისაცემად მეტყველებდა იმაზე, თუ რამდენად ლოიალური იყო მოწოდებით მშრომელთა უფლებების დამცველი ამ სტრუქტურის დამოკიდებულება მშრომელებისთვის არაფრის გამკეთებელი ხელისუფლებისადმი. სწორედ ასეთი დამოკიდებულების წყალობით ინარჩუნებდა ტუღუშის ორგანიზაცია სტატუს-კვოს და საქართველოს სინამდვილეში პროფკავშირისთვის გამოყოფილ ნიშას, ოფიციალურად, ავსებდა.

მაკა ჭაიანი

რეალურად, გაერთიანებულ პროფკავშირებს ხელშესახები არაფერი უკეთებია. ამის დასტური თავად ირაკლი ტუღუშის გამოსვლა გახლდათ გაერთიანების უკანასკნელ ყრილობაზე. **"ჩვენ, წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, არაერთი ღონისძიება ჩავატარეთ: დავაგზავნეთ წერილები, მიმართვები, მოვაწყეთ პრესკონფერენციები, დისკუსიები. კარგად ვიმუშავეთ, მაგრამ ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა,"** – თქვა მან საანგარიშო მოხსენებაში. კიდევ: **"სახელფასო პრობლემატიკა, მისი მასშტაბების ზრდის პროპორციულად, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი უნდა გახდეს, ამასთან დაკავშირებით უკვე მეხუთედ ვატარებთ საბჭოს სხდომას."**

ეს მხოლოდ ის არის, რაც პროფკავშირებს უკეთებია. ახლა ვნახოთ, რის გაკეთებას აპირებდა იგი და - რა მეთოდებით: გაერთიანების ლიდერმა იმავე ყრილობაზე წარმატებული უწოდა, ენერგოსექტორის მუშაკთა მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის მოტივით, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირს, რომელზეც, წლების განმავლობაში გაჭიმული ამ პროცესის დაჩქარების მიზნით, ერთი თვის ფარგლებში კიდევ ერთი სახელმწიფო კომისიის შექმნა გადაწყდა; პრობლემის გადაჭრას იგი აპირებდა ინტერსექტორული კომისიის შექმნით, რომელიც თვეში ერთხელ მოისმენდა ქვეყნის მასშტაბით ხელფასების გაცემისა და დავალიანებების დაფარვის შესახებ ინფორმაციას, კვარტალში ერთხელ კი მას მთავრობის სხდომაზე გაიტანდა.

ეს არაფრის მომტანი მეთოდები, რომელიც დღეს უკვე საქმის კეთების ილუზიასაც ვეღარ ქმნის, გაერთიანებულ პროფკავშირებს აწ უკვე ნაფტალინმოკიდებული კომუნისტური წყობიდან მოჰყვება. ყველაფერი ლოგიკის ჩარჩოებში ექცევა - პროფკავშირების ამჟამინდელი ფუნქციონერები არიან ცკ-ს ყოფილი პირველი მდივნები, კომუნისტური რეჟიმისას პარტიული სამუშაოებიდან გათავისუფლებული და პროფკავშირებს თავშეფარებული ადამიანები, რომლებსაც "ახლებურად მუშაობა" ვერაფრით წარმოუდგენიათ. როცა საქმე თავის მართლებაზე მიდგება, ირაკლი ტუღუში ამბობს, რომ საკუთარი ქვეშემრდომების იმედი არა აქვს, თუმცა მათ, რატომღაც, ვერ ელევა. ეტყობა, ერთად მშვენივრად გრძნობენ თავს.

დაახლოებით ისე, როგორც "ძველ, კარგ დროში", როცა პროფკავშირი ჰგავდა სახელმწიფო სტატუსის მქონე ჯიხურს, რომელიც მხოლოდ საწევროების აკრეფითა და დასასვენებელი საგზურების მიღება-განაწილებით იყო დაკავებული. პირველ ყოვლისა, იქ მავანთა ნათესავ-მეგობრების მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ. ორგანიზაციას ჰქონდა კიდევ რამდენიმე ფუნქცია, მათ შორის - დახმარებების გაცემაც. ახლობლობა ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩებოდა და ხალხის დასახმარებლად გამოყოფილი თანხა არამიზნობრივად იხარჯებოდ. ერთი სიტყვით, პროფკავშირი საბჭოეთის დროს ფულის კეთების ყველაზე მშვიდობიანი და უტყუარი საშუალება იყო. სოციალისტური მონსტრი დაინგრა, მაგრამ პროფკავშირები, ფაქტობრივად, იგივე დარჩა.

ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ის აჟიოტაჟიც, რაც გაერთიანებულმა პროფკავშირებმა შრომის ქართული კოდექსის პროექტის ირგვლივ ატეხა. ამ დოკუმენტს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, თითქმის, სამი წლის განმავლობაში ამუშავებდა ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ჯგუფის, გერმანიის ტექნიკური დახმარების პროგრამის წარმომადგენლებსა და შვეიცარიელ სპეციალისტებთან ერთად. კოდექსზე აზრის გამოთქმა პროექტის ავტორებმა, პირველ ყოვლისა, პროფკავშირებს სთხოვეს. პრეტენზიებმა, რომელიც გაერთიანებას შრომის ქართული კოდექსის მიმართ გაუჩნდა, რბილად რომ ვთქვათ, მოლოდინს გადააჭარბა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია მოწოდებით დასაქმებულთა ინტერესების დამცველი უნდა იყოს, პროფკავშირის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან დოკუმენტის სწორედ იმ მუხლს, რომელიც დასაქმებულის არჩევანის თავისუფლებას ეხება. კოდექსის პროექტის მიხედვით, შრომით ურთიერთობებში პრობლემების გაჩენის შემთხვევაში, დასაქმებულს სასამართლოსთვის პირდაპირი მიმართვის საშუალება ეძლევა. ამასთან, მას აქვს შანსი, საკუთარი უფლებების დამცველი თავად შეარჩიოს. პროექტში წერია, რომ დასაქმებულის უფლებებს მისივე წარმომადგენელი დაიცავს. ვინ იქნება იგი – კერძო იურიდიული პირი, კოლექტივის წევრი თუ პროფკავშირი, მხოლოდ და მხოლოდ დასაქმებულის გადასაწყვეტია.

სწორედ ეს პრინციპი არ მოეწონათ პროფკავშირის წარმომადგენლებს. მათ დაჟინებით მოითხოვეს, ჩაიწეროს კოდექსში, რომ შრომითი ურთიერთობებისას გაჩენილი საკითხების დარეგულირება, დასაქმებულის მხრიდან, პროფკავშირებმა უნდა მოახდინოს; მერე რა, რომ ამგვარი მოთხოვნა არჩევანს აღარ უტოვებს დასაქმებულს, რომელიც არ არის პროფკავშირის წევრი, მუშაობით კი ისეთ საწარმოში მუშაობს, სადაც პროფკავშირი არსებობს. ფაქტია, კოლექტიური დავების შემთხვევაში, პროფკავშირს მეტი შანსი აქვს გახდეს კოლექტივის ინტერესების გამომხატველი, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, კოლექტივმა პრობლემის მოგვარება სულ სხვას დაავალოს.

თავისუფალი არჩევანის უფლებას ადამიანებს ვერავინ წაართმევს. შესაბამისად, იმის დაკანონება, რომ კოლექტივის პრობლემურ საკითხებს ყოველთვის პროფკავშირები წყვეტს, ადამიანის უფლების დარღვევაა. ამ ფონზე ძალზე საინტერესოდ გაჟღერდა გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენელთა მუქარა, - თუ ჩვენს შენიშვნას არ გაითვალისწინებთ, მაღალ ეშელონებში ვიჩივლებთო. ის "ეშელონები" დღეს "დეპოებშია, მათთან დაახლოებული ირაკლი ტუღუშის პროფკავშირები კი, ამაჟამად ახალი ხელისუფლების ორბიტაზე ცდილობს მონახოს ადგილი. თუ ამ ქვეყანაში, მართლაც, ახალი ერა დაიწყო და საბჭოეთის დროს ბალანსზე არსებული ქონების დასაბრუნებლად მუხლჩაუხრელი ბრძოლა საქმედ აღარ ითვლება, მისი შანსები ნულის ტოლია.

პრეზიდენტის ნათესაობა აღარ ჭრის

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში მოქალაქეთა მიღებაზე, რომელიც უმწეოთა პროგრამით დახმარებას ითვალისწინებს და ყოველდღიურად ასამდე ადამიანი აკითხავს, ინტერვიუსთვის მისული კურიოზულ ფაქტს შევესწარი. მოქალაქე (გვარის დასახელებისაგან თავს შევიკავებთ) ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილეს ვახტანგ სურგულაძეს, რომელიც სამედიცინო დაზღვევის საკითხებს კურირებს, მკურნალობისთვის თანხის დროულ გადარიცხვას სთხოვდა. არსებული პრობლემის გაცნობისა და შესაბამისი საბუთების წარდგენის შემდეგ, სასხვათაშორისოდ, ისიც დაამატა, - სააკაშვილის ნათესავი ვარ და უარი არ მითხრათო.

ნონა მაისურაძე

ამას მოპასუხის ისეთი რეაქცია მოჰყვა, რომ მთხოვნელი ბოდიშს ითხოვდა და, ალბათ, იმასაც ფიქრობდა, - რა მალაპარაკებდაო. "შევარდნაძის რეჟიმი სწორედ იმიტომ დავამხეთ, რომ ნათესაობა და კლანების თარეში აღკვეთილიყო; მათ რა ქნან, ვისაც მაღალჩინოსანი ნათესავი არ ჰყავს ან ამა თუ იმ პარტიის წევრი არ არის", - ვეღარ დამშვიდდა ვატო სურგულაძე. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც მიღების მსურველთა რიცხვი არ იკლებს. საბოლოოდ, ინტერვიუს ჩაწერა მეოთხედან მეცამეტე სართულზე ლიფტით ასვლისას მოვახერხე. მიღება იქ გაგრძელდა.

ორი თებერვლიდან დახმარების მსურველთათვის ფონდი ახალი სისტემით იწყებს მუშაობას. ვატო სურგულაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, - "არავისთვის არ არის სიახლე, რომ ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე რთულ უბანზე ვმუშაობთ. აქ მოსულ ნებისმიერ უმწეოს ყურადღება და სითბო სჭირდება. დღეში ასამდე ადამიანი მოდის. შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, ყველას მოვუსმინოთ და დავეხმაროთ. დიფერენცირებას გაჭირვებულთა შორისაც ვახდენთ, რათა განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევები დავაფინანსოთ. 2 თებერვლიდან მოქალაქეები, ვინც სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში დახმარებისთვის მოვლენ, პირველ სართულზე, უმწეოთა განყოფილებაში შეავსებენ ბლანკს, შემდეგ ჩვენს მიერ არჩეულ კლინიკაში, სადაც მკურნალობა უნდა გაიარონ, შეავსებენ სპეციალურ ფორმას, რომელსაც ჩააბარებენ ფონდში და მათი განცხადებები ყოველ ოთხშაბათს განიხილება კომისიაზე. კომისიაში ხმის უფლებით იქნებიან - ფონდის წევრები, ფინანსური, იურიდიული, შესყიდვების სამსახურის წარმომადგენლები, ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები. კომისია ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში იმუშავებს და მასზე დასწრების უფლება ნებისმიერ მსურველს ექნება, რა თქმა უნდა - ჟურნალისტებსაც. ყოველი თვის ბოლოს პრესაში გამოქვეყნდება იმ მოქალაქეთა სია, ვისაც დავეხმარებით. მასში მითითებული არ იქნება დაავადება და კლინიკა; დასახელდება მოქალაქე, ასაკი, გადარიცხული თანხის რაოდენობა. ამ გამჭვირვალობით მივაღწევთ იმას, რომ ბევრმა ჩვენმა მდიდარმა თანამემამულემ უმწეოთა პროგრამით არ ისარგებლოს.

კომისია, ძირითადად, სოლიდური თანხების გადარიცხვას განიხილავს. მცირე თანხების დაფინანსება, უმწეობის დადგენის შემთხვევაში, ავტომატურად მოხდება. თუ დადასტურდება, რომ სოციალური ჯგუფი და პათოლოგია, აგრეთვე, კლინიკა, სადაც უმწეოებს მოემსახურებიან, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს არ სცილდება, საგარანტიო წერილის გაცემისას პრობლემები არ შეიქმნება. საგარანტიო წერილი, რომელსაც ფარატინა ფურცელს ეძახიან, წონას შეიძენს. კლინიკაში, სადაც ჩვენი პაციენტი იმკურნალებს, 2-3 კვირის ვადაში გადაირიცხება გაწეული მკურნალობისთვის საჭირო თანხა. უმწეოებს იანვრის თვის ხარჯებიდან ვაფინანსებთ. ვცდილობთ, ბიუჯეტს არ ავცდეთ და ვალი არ დავიდოთ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში უმწეოთა დახმარების ფარგლებში 250 000 ლარის ოდენობის თანხაა გადარიცხული.

ფოსტა

გაზეთ „24 საათის" მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო

"24 საათის" ამა წლის 17 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ეხებოდა საქართველოს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის პრესკონფერენციას.

პრესკონფერენციაზე რამდენიმე გვართან ერთად უარყოფით კონტექსტში გაიჟღერა ჩემმა გვარმაც დაბა ბაკურიანში მდებარე "მზიური ველის" კომპლექსთან დაკავშირებით, რამაც, მერწმუნეთ, ძალზედ განმაცვიფრა.

საქმე ის არის, რომ 1999 წელს, ჩემი მინისტრობის პერიოდში ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა თხოვნით მიმართა ქონების მართვის სამინისტროს, რათა საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელობის მიერ მათთვის ჩამორთმეული და ანტიტერორისტული ცენტრისთვის გადაცემული "შავნაბადა"-ს კომპლექსის (ყოფილი კომკავშირული ქალაქი "ბორის ძნელაძე") ნაცვლად, შეძლებისდაგვარად, შეგვერჩია სხვა დასასვენებელი კომპლექსი. სამინისტროს შესაბამისმა ქვედანაყოფმა წარმოადგინა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, საიდანაც შევარჩიეთ დაბა ბაკურიანში განთავსებული კომპლექსი "მზიური ველი". ჩემი დავალებით, იგი ამოღებულ იქნა საპრივატიზაციო ნუსხიდან. სამინისტროს მიერ მომზადებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომლის თანახმად, აღნიშნული კომპლექსი დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში და გადაეცა ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს. უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსის გადაცემის სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებისთვის ქონების მართვის სამინისტროს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმ წინააღმდეგობის დასაძლევად, რომელსაც მას ამ კომპლექსის იმდროინდელი ადმინისტრაცია უწევდა.

სწორედ ამ ძალისხმევის შედეგად, "მზიური ველი" დღეს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის განკარგულებაშია.

ფრიად დამავალებთ, თუ აღნიშნული ინფორმაცია დღის სინათლეს თქვენს გაზეთში იხილავს.

პატივისცემით,
მიხეილ უკლება

რატომ უნდა შევიძინოთ შეფუთული რძე?

ერთი შეხედვით ყიდვის პროცესი არის რაციონალურ მოტივებზე აგებული ქცევა. თვითოეული მყიდველი, ირჩევს პროდუქტს, გამომდინარე მისთვის არსებული პრიორიტეტებიდან. ეს პრიორიტეტები შეიძლება იყოს ფასი, ხარისხი, პრესტიჟულობა, სანდოობა, წარსული გამოცდილება და მრავალი სხვა. გარდა ამისა, არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს მყიდველის ქცევაზე. ისეთები, როგორებიც არის სოციალური ჯგუფები, ოჯახი, პიროვნული თვისებები, ფსიქოლოგიური ფაქტორები... ამიტომ ყიდვის პროცესის, არჩევანის გაკეთების დროს ხშირად ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ არის განპირობებული საღი აზრის პრინციპებიდან. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას რომ მყიველი ცდება. "მყიდველი ყოველთვის მართალია", რადგანაც არსებობს ლოგიკური ახსნა მისი ალოგიკური ქმედებისაც კი.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ, "სკანაგრის" მიერ თბილისში ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგებს და მის ანლიზს, რომელიც ეხება რძის მიმართ მყიდველების დამოკიდებულებას.

კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა, რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას მყიდველზე რძის შეძენისას, რატომ და რა ტენდენციები არსებობს მომხმარებლის დამოკიდებულებებში.

რძე, ქართული ბაზრისთვის და ქართველი მომხმარებლისთვის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული პროდუქტია. ამიტომ რძისადმი მოთხოვნები მყიდველის ცნობიერებაში საკმაოდ ნათლად არის ჩამოყალიბებული. ეს მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს.

რძე უნდა იყოს ნატურალური

სრულფასოვანი (ანუ არ უნდა იყოს გაზავებული წყლით, სრულად შეიცავდეს ვიტამინებს და მინერალებს.)

დამზადებისას დაცული უნდა იყოს ჰიგიენის და შენახვის პირობები.

გამოკითხული რესპონდენტების თითქმის 100% ამ კრიტერიუმებით ახდენს არჩევანს, თუ რომელი რძე შეიძინოს. (ფასის ფაქტორი რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში, საუბარია რძის, როგორც საკვები პროდუქტის მახასიათებლებზე). გამოკითხული რესპონდენტების 74% პროცენტი ყიდულობს ეგერეთწოდებულ სოფლის/ქუჩის რძეს, ხოლო 22% როგორც სოფლის/ქუჩის რძეს, ასევე ქარხნულ/შეფუთულ რძესაც.

ამ კატეგორიის მომხმარებლები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

რესპონდენტები, რომლებიც კმაყოფილნი არინ სოფლის/ქუჩის რძის ხარისხით

რესპონდენტები, რომლებიც ყიდულობენ ამ პროდუქტს, რადგანაც მათ არ აქვთ უკეთესი არჩევანის საშუალება.

პირველი ჯგუფის წარმომადგენლების 80% აქვს ინფორმაცია, რომ სოფლის/ქუჩის რძე ძალიან ხშირ შემთხვევაში გაზავებულია წყლით და მისი მომზადებისას არ არის დაცული ელემენტარული ჰიგიენის ნორმები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ამ პროდუქტის მომხმარებლები არიან. რატომ? ახსნა ძალინ მარტივია. აქ შემოდის ნდობის ფაქტორი რძის დამტარებლის მიმართ. უმრავლეს შემთხვევაში რძის გამყიდველს წლების განმავლობაში აქვს ურთიერთობა მომხმარებელთან. ბუნებრივია ეს ურთიერთობა, სცილდება გამყიდველსა და მყიდველს შორის ჩვეულებრივ კავშირს. შემოდის პიროვნული სიმპათიების ფაქტორებიც, რაც, საბოლოო ჯამში, პროექცირდება პროდუქტზე. ქუჩის რძე გაზავებულია წყლით, მაგრამ ეს რძე დაქვთ მეზობელ სადარბაზოში, მეზობელ ეზოში, სხვა ქუჩაზე. მე ვენდობი ჩემს გამყიდველს. ეს არგუმენტი მოყავს მომხმარებლების დიდ უმრავლესობას.

დამზადებისას ჰიგიენის და შენახვის პირობები. ეს ფაქტორი მყიდველებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება ბავშვებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვისთვის ხდება ქარხნული ანუ შეფუთული რძის შეძენა, რადგანაც ქარხნული წესით დამზადებული პროდუქცია ისხმევა ერთჯერად შეფუთვაში, რაც თავისთავად უსაფრთხოა და საიმედოა ჰიგიენური თვალსაზრისით.

შეფუთული რძე დამუშავებისას გადის პასტერიზაციას, რაც მას მოხმარებისათვის უსაფრთხოს ხდის. ეს არგუმენტი მოყავთ ქუჩის რძის მომხმარებლების თითქმის 90%. თუმცა ცხადია, რომ ჰიგიენა და უსაფრთხოების გარანტია აუცილებელია, როგორც ბავშვისთვის, ასევე ყველა ასაკის ადამიანისთვის.

მეორე კატეგორიის მომხმარებლების აზრით, ქუჩის/სოფლის რძე არ არის მაღალი ხარისხის პროდუქტი, მაგრამ მათ არ აქვთ უკეთესი რძის შეძენის ალტერნატიული საშუალება.

შეფუთული რძე მათი აზრით დამზადებული რძის ფხვნილისაგან და გამოკითხული რესპონდენტების 23 % ფიქრობს, რომ ის შეიცავს ქიმიურ დანამატებს.

აღნიშნული წარმოდგენის შეცვლას უნდა შეეცადონ ადგილობრივი ნატურალური რძის მწარმოებლები. მოსახლეობის უმრავლესობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომ ქარხნული/შეფუთული რძე არის ნატურალური რძისგან დამზადებული პროდუქტი, რომელიც არ შეიცავს არავითარ ქიმიურ დანამატებს. ამავე დროს მასში 100% ით არის შენარჩუნებული მინერალების და ვიტამინების შემცველობა. როდესაც მყიდველი ყიდულობს ერთ ლიტრ წყალგაზავებულ სოფლის/ქუჩის რძეს, რა თქმა უნდა ის შეიცავს ნაკლებ მინერალებს და ვიტამინებს, ვიდრე ქარხნული გაუზავებელი რძე. ამიტომ, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქარხნული რძის მოხმარება უფრო სასარგებლო და ეკონომიურია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, მყიდველს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია. არის თუ არა ქუჩის რძის მოხმარება უსაფრთხო. "სკანაგრის" მიერ ჩატარებული ქუჩის რძის ანალიზებმა გამოავლინა, რომ ამ ტიპის რძის მოხმარება, ჯანმრთელობისათვის გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგანაც რძეში აღმოჩნდა ორგანიზმისათვის მავნე ბაქტერიები. მხოლოდ ქარხნული წესით დამზადებული რძე იძლევა პროდუქტის უსაფრთხოების 100 პროცენტიან გარანტიას.

ქუჩის რძის არსებობა არ არის მხოლოდ ქართული ბაზრისთვის დამახასიათებელი. ამ ტიპის პროდუქტები არსებობს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის პაკისტანი, სომხეთი, ინდოეთი, თურქეთი. ამიტომ რძის მრეწველობა, მომხმარებლის დამოკიდებულება მის მიმართ, გარკვეულწილად წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორს. მოთხოვნა მაღალი ხარისხის პროდუქტებზე პირველ რიგში უნდა მოდიოდეს მომხმარებლისაგან. ხოლო თავისუფალი ბაზრის და კონკურენციის პირობებში მწარმოებლები აუცილებლად დააკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ.

სკანაგრი -პროექტი საქართველოში
მცხეთის ქ. N 2 ბინა N12 თბილისი, 380070,საქართველო
ტელ/ფაქსი: + 995 22 79 07
www.scanagri.ge

საწყობის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საწყობის ასისტენტი** თანამდებობის დასაკავებლად. **საწყობის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

უზრუნველყოფს სამუშაოების ყოველდღიურად დაუბრკოლებლად და საიმედოდ წარმოებას აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის კუთვნილ საწყობში, რომელიც უმთავრესად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტს ემსახურება.

ფუნქციები და მოვალეობანი:

- კონკრეტულ მოვალეობებში შედის (არ შემოიფარგლება რა ამით):
- საწყობში დაცული ყველა სახის მასალების ზუსტად აღნუსხვა.
- საწყობში დაცული მასალების იმგვარი ორგანიზებისა და აღნიშვნის უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელი იყოს ყველა მასალის იოლად და სწრაფად გამოყენება.
- ყველა მასალის იმგვარად შენახვის უზრუნველყოფა, რომ გამოირიცხოს ერთი მასალის მეორე მასალით დაბინძურება.
- საწყობში მომუშავე ან შესული პერსონალისთვის პოტენციური საშიშროების შემცირება საწყობში არსებული ყველა საგნის საიმედოდ შენახვით.
- ყველა საგნის იმგვარად შენახვის უზრუნველყოფა, რაც გამორიცხავს ქურდობის შესაძლებლობას.
- პერსონალისთვის დახმარების გაწევა საწყობში მასალების ფიზიკურად შეტანასა და საწყობიდან გამოტანაში.
- საწყობში და საწყობიდან საქონლის ტრანსპორტირების სწრაფად და შეუფერხებლად განხორციელება.
- მოთხოვნის საფუძველზე ზოგიერთი საგნის ტრანსპორტირებისა და შესყიდვის მოვალეობა.
- საწყობში საერთო წესრიგის უზრუნველყოფა.
- სხვა მოვალეობანი საჭიროებისდა მიხედვით.

გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანილ პირს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარი და კვალიფიკაცია:
- საწყობის პრაქტიკული ორგანიზაციის ცოდნა.
- მიწოდების შესახებ დაკვეთებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების უნარი.
- ტექნიკური განათლების მქონეთ უპირატესობა ენიჭებათ.
- ინგლისური ენის ცოდნა - საშუალოზე მაღალი დონისა ან უკეთესი.
- მასალების მენეჯმენტის გამოცდილება უპირატესობად ჩაითვლება.
- კომპეტენტურობა მაიკროსოფტ ოფისის პროგრამებში.
- მაიკროსოფტ ექსელისა და აქსესის პროგრამების კარგი ცოდნა.
- მანქანის მართვის უფლების მოწმობა.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 თებერვალი, ოთხშაბათი.**

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP-საქართველო, საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

ფრიდონ ინჯიას პოლიტიკური საფარველი არ გამოადგება

კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია გუშინ გენერალურ პროკურატურაში არავის დაუბარებია – ის თავად მივიდა. რატომ? როგორც თავად ინჯიამ საჯაროდ განაცხადა – მზად არის პროკურატურას ყველა მისთვის საინტერესო საკითხზე პასუხი გასცეს. რა იმალება ფრიდონ ინჯიას მიერ ასეთი კეთილი ნების გამოხატვის უკან? თუ გუშინ გენერალური პროკურატურის შენობასთან განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი ლეიბორისტული პარტიის წევრი ფრიდონ ინჯია ცდილობს, პოლიტიკური დევნილის მანტიით შეიმოსოს.

ფრიდონ ინჯია ცდილობს პოლიტიკური დევნილის მანტიით შეიმოსოს.

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ გენერალურ პროკურატურაში ფრიდონ ინჯიას მისვლა ერთგვარი გამოხმაურება გახლდათ გენერალური პროკურორის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, პროკურატურა უბრუნდება "გაურკვეველი მიზეზებით" შეჩერებულ, მათ შორის, კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფრიდონ ინჯიას მიმართ აღძრულ საქმეებს და პასუხისმგებლობა დაეკისრებათ არა მარტო მინისტრებს, არამედ მათ ხელქვეითებსაც.

"ჩემი მინისტრობის პერიოდში აღძრულ საქმეებთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთებული მაქვს და მათ საფუძველზე საქმეები შეწყდა. რაც შეეხება "მაგთიკომსა" და სხვა კომპანიებთან დაკავშირებულ თემებს, არ ვიცი, ჩემთან სადავო რა უნდა ჰქონდეთ. სწორედ ამის გასარკვევად მოვედი კიდეც აქ", - განაცხადა გუშინ ინჯიამ.

ფრიდონ ინჯიას გუშინდელ აქციას – პარლამენტის მიერ მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნამდე ჩვენების მიცემაზე დათანხმებასა და პროკურატურაში საკუთარი სურვილითა და ფეხით მისვლას ისეთი შედეგი მოჰყვა, როგორსაც, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა ყოფილი მინისტრი. მას ჩვენება არ ჩამოართვეს და უკან გააბრუნეს. ეს ყველაფერი ტელეკამერების წინ მოხდა და ყურადღება ფრიდონ ინჯიასთან ერთად მისმა თანაპარტიელმა გელა დანელიამაც მიიპყრო, რომელმაც მორიგი "ლეიბორისტული პრიკოლი" გაახმოვანა: საქართველოს პრეზიდენტს ევროპული ტურნედან ბრძანება გამოუგზავნია - შალვა ნათელაშვილი დაეპატიმრეთ, მისი თხოვნით ჟაკ შირაკმა არ მიმიღოო. მისივე თქმით, ფრიდონ ინჯიას წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიაც ანტინათელაშვილური მოძრაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია; მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ფრიდონ ინჯიას დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე საუბარი დღეს და გუშინ კი არა, ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მას ლეიბორისტულ პარტიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მეტიც, ჯერ კიდევ ჯაბა იოსელიანი ამბობდა, რომ სახელმწიფო საბჭოს მმართველობის პერიოდში ედუარდ შევარდნაძეს კავშირგაბმულობის სფეროში დიდძალი თანხების დატაცების დამადასტურებელი დოკუმენტების მთელი პაკეტი წარუდგინა, რასაც, როგორც ცნობილია, არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მოგვიანებით ფრიდონ ინჯიას დანაშაულებრივი მინისტრობის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციები და პარლამენტის ანტიკორუფციული კომისია ალაპარაკდა.

როგორც ცნობილია, კავშირგაბმულობის სფეროში არსებული დარღვევები "თავისუფლების ინსტიტუტმა" ჯერ კიდევ ფრიდონ ინჯიას მინისტრობის დროს გამოავლინა და შესაბამისი მსვლელობაც მისცა. "თავისუფლების ინსტიტუტის" მაშინდელი წევრის, ამჟამად საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გივი თარგამაძის ნაამბობის თანახმად:

"ინჯიამ მოახერხა იმ სისტემის აწყობა, რომლის დანერგვაც შემდეგ სხვა სფეროებშიც წამოიწყეს, მაგრამ კავშირგაბმულობაში ეს ყველაზე დახვეწილად კეთდებოდა და ფრიდონ ინჯიას სულ ცოტა დააკლდა, რომ ბოლომდე მიეყვანა. მან ყველა სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციას შეუქმნა პარალელური კერძო სტრუქტურა, სადაც ხდებოდა ფუნქციების სრული დუბლირება. მეტიც, პირველ ეტაპზე ამ ორგანიზაციებში – კერძოშიც და სახელმწიფოშიც - დირექტორებიც კი ერთი და იგივე პირები იყვნენ. მაგალითად, კომპანია "ეგრისის" (ეს "ტელეკომის", საერთაშორისო ოპერატორის, პარალელური კერძო სტრუქტურა გახლდათ) დირექტორი თავად ფრიდონ ინჯია იყო და მაშინ წერილიც კი აღმოვაჩინეთ, რომელსაც მინისტრი ინჯია დირექტორ ინჯიას სწერდა. ამგვარი პრინციპით ჰქონდათ აწყობილი ყველაფერი – "ელექტროკავშირის" პარალელურად "ახალი ქსელები" დააარსეს და ასე შემდეგ. უამრავი შპს ჰქონდათ. "დედა- ორგანიზაცია" იყო "ეგრისი", მერე იგი გამოდიოდა სხვადასხვა "შვილობილი" შპს-ების დამფუძნებლად, ეს შპს-ები - სხვების. ბოლოს ისე ჩაიხლართა ყველაფერი, რომ დივიდენდების განაწილება თავადვე უჭირდათ. ამ პარალელური კერძო სტრუქტურების შექმნითა და დირექტორებად ერთი და იმავე ადამიანების დანიშვნით კი ის მოახერხეს, რომ სახელმწიფოს კუთვნილ თანხებს თავის ჯიბეში ქაჩავდნენ. მერე ეს დირექტორი გადაინაცვლებდა კერძო სტრუქტურაში და სახელმწიფო ორგანიზაცია უფუნქციოდ და უსახსრებოდ რჩებოდა. მოკლედ, მან კერძო კავშირგაბმულობის სისტემა შექმნა. ერთი ნაბიჯიღა აკლდა ამ პროცესის დასრულებას, როცა ჩვენ ეს ყველაფერი გამოვაქვლინეთ".

ზემოთ თქმულის მზის სინათლეზე გამოტანას ფრიდონ ინჯიას მინისტრობიდან გადაყენება არ მოჰყოლია, თუმცა გენერალურ პროკურატურაში ამ ფაქტებზე არაერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. რა ბედი ეწია ამ საქმეებს? გივი თარგამაძის თქმით: **"პროკურატურამ ინჯიას წინააღმდეგ ჩვენ მიერ მოკვლეული მასალები ცალ-ცალკე ეპიზოდებად დაჰყო. ზოგიერთ ეპიზოდში თავად ინჯია ფიგურირებდა, ზოგშიც – მისი მოადგილეები. დაიბარებდნენ ერთ ეპიზოდზე, გადაახდევინებდნენ ფულს, დახურავდნენ, მერე მეორეზე და ასე. საბოლოო ჯამში კი, ყველაფერი კონტროლის პალატის აქტმა გადაწყვიტა. ჯერ იყო და რეზო შავიშვილმა გააჭიანურა ამ საქმეებზე აქტის შედგენა, მისი გადადგომის შემდეგ, სულხან მოლაშვილის დროს შედგენილ აქტში კი ინჯიას დარღვევები არ დაფიქსირებულა. სისხლის სამართლის საქმეები პროკურატურაშიც დაიხურა"**.

დღეს სწორედ ამ საქმეების ხელახლა გამოძიებაზე საუბრობს გენერალური პროკურორი. თუმცა, როგორც ცნობილია, ფრიდონ ინჯიას "მაგთიკომის" ირგვლივაც მოუწევს რიგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა – იგი ხომ თავის დროზე "მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ექსპრეზიდენტის სიძესთან – გია ჯოხთაბერიძესთან ერთად. ამ საკითხებზე გენერალური პროკურატურის გამომძიებლები კავშირგაბმულობის ყოფილ მინისტრს ხუთშაბათს, 5 თებერვალს დაკითხავენ. მანამდე კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზაზა ქაჩიბაიას თქმით, გამოძიება კიდევ უფრო საფუძვლიანად გაეცნობა საქმის მასალებს, ინჯიას დაკითხვამდე ჩასატარებელია რამდენიმე საგამოძიებო ქმედება და დასაკითხია რამდენიმე პირი.

იურიდიული კაზუსის ამოხსნა გენერალურ პროკურორს მოუწევს

კომპანია "იბერკომპანის" რეგიონული დირექტორი ტარიელ შალიკიანი უკვე ორი კვირაა ქუთაისის №2 საპყრობილეშია დატუსაღებული და თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმის გამო საპყრობილეში იმყოფება ადამიანი, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია. იმერეთში ცნობილი ბიზნესმენი კანონდამცველთა მიერ შექმნილი იურიდიული კურიოზის მთავარი გმირი აღმოჩნდა.

ინგა ალავიძე

ქუთაისის პროკურატურის მიერ დაწერილი იურიდიული კაზუსის ამოხსნა ახლა გენერალურ პროკურორს მოუწევს. ტარიელ შალიკიანის ადვოკატმა დავით მოდებაძემ ირაკლი ოქრუაშვილს საჩივრით გუშინ მიმართა და იმ სამართალდამცველთა დაუყოვნებლივ დასჯა მოსთხოვა, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი თუ დანაშაულებრივი დამოკიდებულების გამო უდანაშაულო ადამიანი ქუთაისის №2 საპყრობილის პატიმრად იქცა.

სხვათა შორის, საქმე, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ (ანუ "თერჯოლის საქმე") არასამთავრობო ორგანიზაციათა სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა და იმერეთის სამხარეო პოლიციის მიერ ჩატარებულ ოპერაციას, რომლის დროსაც მანიფესტაციის მონაწილეები დაარბიეს, უმკაცრესი შეფასება მიეცა. ადამიანის უფლებების დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა – "თავისუფლების ინსტიტუტმა", "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" და სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-მ 11 იანვარს, თერჯოლაში მომხდარი ინციდენტის (რომლის შემსრულებლები პოლიციელები იყვნენ) გამოძიება და ადამიანის უფლებების დამრღვევი პოლიციელების დასჯა შს მინისტრსა და გენერალურ პროკურორს მოსთხოვეს. სამწუხაროდ, არასამთავრობოთა მოთხოვნებს არანაირი შეფასება არ მოჰყოლია.

თერჯოლაში მომხდარი ინციდენტის გამო სამართალდამცველების მიერ დაკავებულ შვიდ პირს შორისაა იმერეთში ცნობილი ბიზნესმენი ტარიელ შალიკიანი. იმერეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გიზო უგულავამ შალიკიანი "კანონიერი ქურდის" - ზაზა ამბროლაძის მხარდამჭერების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციის ორგანიზატორად გამოაცხადა და სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით ბრალი დასდო ამ აქციის ორგანიზატორობაში. არადა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით – იმ მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც აქციაში მონაწილეობდნენ, თერჯოლიდან ხაშურში მიმავალი ტარიელ შალიკიანი თერჯოლაში, ჭიშურის რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ პიკეტს შემთხვევით წააწყდა. რა თქმა უნდა, იგი შეჩერდა და როცა საქმის არსში გაერკვა, მოპიკეტეებს გზის გახსნა მოსთხოვა, რადგანაც "იბერკომპანის" რეგიონალურ დირექტორს ხაშურში, პარტნიორებთან შეხვედრაზე აგვიანდებოდა. ამის გამო მოპიკეტეებსა და ბიზნესმენს შორის ინციდენტიც კი მოხდა. მოგვიანებით, აქციის მონაწილეთა დარბევის შემდეგ, ტარიელ შალიკიანი იმერეთის სამხარეო პოლიციაში მიიყვანეს და პროკურატურამ იგი აქციის ორგანიზატორად გამოაცხადა. სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ კი ყოველგვარი სამართლებრივი ნორმა "მოხსნა".

სამთვიანი პატიმრობის შეახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შალიკიანის ადვოკატმა დავით მოდებაძემ ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და უდანაშაულოდ დაპატიმრებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა მოითხოვა. მოსამართლე რევაზ სულწაძემ ადვოკატის სარჩელი არ დააკმაყოფილა და მისი უარი შემდეგი "სამართლებრივი" არგუმენტით გაამაგრა: "შალიკიანი არის ნასამართლევი და თუკი იგი გათავისუფლდება, შესაძლოა, კვლავ განაგრძოს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, მიემალოს გამოძიებას და სასამართლოს ხელს შეუშლის ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფაში". არადა, ტარიელ შალიკიანი არასდროს ყოფილა ნასამართლევი. მოსამართლე რევაზ სულწაძის "თვითშემოქმედებით" გაოგნებულმა შალიკიანმა მის ადვოკატს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიც კი გადაადოწმებინა. ცენტრში შალიკიანის დანაშაულებრივი წარსულის შესახებ ინფორმაცია არ აღმოჩნდა. ამ კურიოზული ლაფსუსის გამო მოსამართლემ თავი იმით იმართლა, რომ ადვოკატს განუცხადა, პროკურატურის შუამდგომლობაში ეწერა – ტარიელ შალიკიანი ადრე ნასამართლევიაო.

იმერეთის საოლქო პროკურატურის სამართალწარმოებაში დაშვებული ამ სერიოზული ხარვეზის გამოსწორება გენერალურ პრუკურორს ირაკლი ოქრუაშვილს მოუწევს. "ზემდგომების" თვალში ქულების დასაწერად თერჯოლაში ჩატარებული ოპერაციის მსხვერპლი - ტარიელ შალიკიანი - გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებას ქუთაისის საპყრობილეში ელოდება. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, ტარიელ შალიკიანის დაპატიმრების უკან მის ყოფილ პარტნიორს, ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატს ბონდო შალიკიანს მოიაზრებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილ პარტნიორებს შორის ბიზნესინტერესთა კონფლიქტი არსებობდა, რაც ტარიელ შალიკიანის დაპატიმრების არაოფიციალური საფუძველი გახდა და ქუთაისური სამართალწარმოების კურიოზად იქცა.

პოლიციის რიგებში ნარკომანებს ებრძვიან

პოლიციური სისტემა რომ ნარკომანიით არის ინფიცირებული, ამის შესახებ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი გიორგი ბარამიძე თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღიდან ალაპარაკდა და საკუთარი მუშაობის პრიორიტეტად სწორედ საკუთარივე უწყების წმენდა-გასუფთავება გამოაცხადა. ამ განცხადების შემდეგ სასწრაფოდ გატარებულ ღონისძიებებს ბევრი მაღალჩინოსანი თუ რიგითი პოლიციელის თანამდებობა შეეწირა. თბილისისა თუ რეგიონების პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებში გამართული ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით, პრობლემა ადვილად წყდებოდა – პოლიციელი, რომელსაც სისხლში ნარკოტიკული ნივთიერების ნიშნები აღმოაჩნდებოდა, უსიტყვოდ ტოვებდა თანამდებობას. თუმცა, როგორც გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიდეომასალის ჩვენების თანხლებით გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, ბოლო დღეებში ნარკოტიკების მომხმარებელ მაღალჩინოსან სამართალდამცველთა გამოვლენას წინააღმდეგობები ახლდა.

შსს ნარკომან მაღალჩინოსან სამართალდამცველთა გამოვლენას აგრძელებს.

ეკატერინა ბაბიაშვილის ფოტო

ხათუნა ჯანგირაშვილი

გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის ირაკლი კლდიაშვლის განმარტებით, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე არჩილ მეტრეველი სწორედ მაშინ გახლდათ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, როდესაც თანამშრომლებთან თათბირს ატარებდა. მას ჯიბიდან "მორფის" ამპულაც ამოვარდნია. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მეტრეველს თათბირი ჩაუშალეს და ნარკოლოგიურ ცენტრში, შემოწმებაზე გაისტუმრეს. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს უფროსის მოადგილეს ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა დაუდასტურდა. ნარკოლოგიური ცენტრიდან მშვიდად გამოსული არჩილ მეტრეველი მოულოდნელად უკან მიბრუნდა, ნარკოლოგიურ ცენტრში შევარდა და ლაბორატორიაში, სადაც მას გამოკვლევა ჩაუტარეს, პრეპარატებისა და სინჯარების ლეწვა-მტვრევით იჯერა გული, შემდეგ კი გაუჩინარდა.

"არჩილ მეტრეველი დაისჯება სისხლის სამართლებრივი წესით" , - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია.

მეორე მაღალჩინოსანი პოლიციელი, რომელსაც გენერალური ინსპექცია ორი დღის წინ, ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას დაადგა თავს, ქუთაისის შს სამმართველოს მე-5 განყოფილების სამძებროს თანამშრომელი ლევან მოსეშვილი გახლავთ. **"ლევან მოსეშვილმა მასთან შემოწმებისთვის მისულ გენერალური ინსპექციის წარმომადგენლებს წინააღმდეგობა გაუწია. რაც ყველაზე მთავარია, მან იარაღი ამოიღო და შუბლზე დაადო თავის კოლეგას, შემდეგ კი პოლიციის განყოფილებიდან გაიქცა"** , - აცხადებს ირაკლი კლდიაშვილი. ჩვენი ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე ლევან მოსეშვილის მიმართაც აღიძრა.

"გენერალური ინსპექცია არა მხოლოდ იმ პოლიციელებს ამოწმებს, რომლებსაც ნარკოტიკთან აქვთ შეხება და რომლებიც პირველები უნდა ებრძოდნენ ნარკომანიას, მათ შვილებსაც ვამოწმებთ. ამ დღეებში, ნარკოტიკების მოხმარებაზე გამოვავლინეთ ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის მურად მაისურაძის შვილიც - დავით მაისურაძე", - ასეთია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის ანგარიში. ირაკლი კლდიაშვილი მკაცრ გაფრთხილებებს იძლევა: **"ნარკოტიკის მომხმარებელი და ნარკორეალიზატორებთან "შეკრული" ყველა პოლიციელი - რიგითიდან დაწყებული მაღალჩინოსნით დამთავრებული, ყველა დაისჯება. არავის ეგონოს, რომ დასჯაში მხოლოდ თანამდებობის დატოვება და ადმინისტრაციული სასჯელი იგულისხმება, მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდება"**.

გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის განცხადებითვე, მკაცრად დაისჯებიან ნარკოლოგიური ცენტრის ის თანამშრომლებიც, რომლებიც ლაბორატორიული მონაცემების გაყალბების მცდელობებში გამოვლინდებიან.

"პოლიციის სისტემაში მომუშავე თანამშრომლებმა, რომლებიც ნარკოტიკთან კავშირში იმხილებიან, რაც არ უნდა მოინდომონ, ვერანაირი მეთოდით ვეღარ აღიდგენენ თავს ყოფილ თანამდებობაზე" , - ასეთი გახლავთ გენერალური ინსპექციის გაფრთხილება კოლეგების მიმართ.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე გუშინ ძალოვანმა მინისტრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მოსალოდნელ რეორგანიზაცია-რეფორმებზე ისაუბრეს. გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, რეფორმები როგორც ერთ, ასევე მეორე უწყებაში ძირეული და ყოვლისმომცველი იქნება. გუშინდელ სხდომას ასევე ესწრებოდა საქართველოში სოროსის ფონდის ხელმძღვანელი კახა ლომაია.

როგორც შს მინისტრმა გია ბარამიძემ განაცხადა, კახა ლომაია შედის ჯგუფში, რომელიც ამ უწყებებში რეფორმებს განახორციელებს.

ძალოვანი მინისტრების განცხადებით, ენერგეტიკის დარგსა და სხვა ეკონომიკურ სფეროებში მომხდარი დარღვევების შესახებ მოკვლევები კვლავაც გაგრძელდება და უახლოეს მომავალში ფართო საზოგადოებისათვის კონკრეტულ დამნაშავეთა ვინაობა ცნობილი გახდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

რუსთავი. ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე გასული ორი დღის განმავლობაში ორი გვამია ნაპოვნი. კერძოდ, 28 იანვარს, მარნეულის რაიონის სოფელ დიდი მუღანლოს წყალსაჩარის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსახლეობამ სოფელ კირიხლოში მცხოვრები, 1939 წელს დაბადებული მამედ მამედოვის გვამი იპოვა.

იმავე დღეს, საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინალური უნივერსიტეტის სადარაჯო ოთახში, დარაჯის - რუსთავში მცხოვრები 1956 წელს დაბადებული ნოდარ ადოშვილის გვამი ნახეს. როგორც ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, გვამებს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველი საპყრობილედან (ე.წ "კრიტი") გუშინ დიდი რაოდენობით აკრძალული ნივთები ამოიღეს. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ამოღებულია დიდი რაოდენობით დანები, ჩანგლები, მჩხვლეტავი საგნები, "შტირები", თვითნაკეთი ხელკეტები, 15 მობილური ტელეფონი თავისი დამტენებით, 20 ლიტრი "ბრაგა", სპირტი, არყის სახდელი მოწყობილობა და სხვა. ამასთან, ერთ-ერთი საკნიდან ამოღებულია 1 ჩეკი ნარკოტიკული საშუალება, სავარაუდოდ - ჰეროინი. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე აცხადებს, მსგავსი მოულოდნელი შემოწმებები ყველა საპატიმრო დაწესებულებაში ჩატარდება, რაც პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 3-4 თებერვალს სამოსამართლო სწავლების ცენტრი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეათე მუხლთან დაკავშირებით მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის სემინარს გამართავს. სემინარში, რომელიც ევროსაბჭოს დაფინანსებით გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს 15 მოსამართლე და პროკურორი. სემინარს ჩაატარებენ ევროსაბჭოს ექსპერტები შარლოტ დე ბრუტელი, ორნულფ რონბაკი და ჰიუ ტომლინსონი. სემინარზე ძირითადად განიხილავენ კონვენციის მეათე მუხლთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალს - ცილისწამება, შეურაცხყოფა, საზოგადოების ყურადღების ქვეშ მყოფი ადამიანების კრიტიკა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიძულვილის გაღვივება, ურთიერთობისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლა. ამასთან, მიმოიხილავენ ევროსასამართლოს იმ პრეცედენტებს, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, ინფორმაციის წყაროს დაცვასა და სახელმწიფო საიდუმლოებასთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბათუმი. ასლან აბაშიძის უერთგულესი თანამებრძოლი, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და კრიმინალური პოლიციის უფროსი ავთანდილ ბერიძე თანამდებობიდან გადადგა. ბერიძის გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აჭარის შს სამინისტროში ადასტურებენ.

სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი დამფუძნებლის თამაზ დიასამიძის შეფასებით, "ასლან აბაშიძის რეჟიმის ერთგული დარაჯის" თანამდებობიდან გადადგომით აბაშიძის ხელისუფლებას "მძლავრი დასაყრდენი გამოეცალა".

"სისასტიკით გამორჩეული პოლიციელი ბერიძე, რომელსაც ხალხმა მეტსახელად "რემბო" შეარქვა, აბაშიძის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან აჭარის ლიდერს ერთგულად ემსახურებოდა და ყველა მის მითითებას უსიტყვოდ ასრულებდა," - აღნიშნა მან.

დიასამიძე ავთანდილ ბერიძის გადადგომას "აბაშიძის რეჟიმისთვის მომაკვდინებლად" მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ აჭარის შს "გამოუცდელი" მინისტრის - ჯემალ გოგიტიძის მოადგილის თანამდებობიდან წასვლას გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ცენტრალური ხელისუფლებიდან შეუწყო ხელი. **მედია-ნიუსი**

საჩუქრის ახალი ფორმა!
ბსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიმცირთ არჩევანის გაკეთებაში?
შეიძინეთ და ახუნეთ გარეშია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება გარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991

სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ

ვინ არის აჭარის ხელისუფალი, აღმშენებელი თუ...

პირველი და მთავარი, რაც გვამოძრავებს, არის გულწრფელი სურვილი - აჭარაშიც გაეხსნას გზა განსხვავებული აზრისადმი პატივისცემას, თვალი გავუსწორთ სიმართლეს, ობიექტურად შევაფასოთ ის, რაც ავტონომიურ რესპუბლიკაში კეთდება და ისიც, რაც მიუღებელია, საერთო საქმეს ზიანს აყენებს. ანუ სხვა სიტყვებით - მოგვეცეს საშუალება, საკუთარ ოჯახში განვიხილოთ და მოვაგვაროთ პრობლემები, რომლებიც საკმაოდ დაგვიგროვდა.

თავად აჭარის ავტონომიის მეთაურს განსხვავებული პოლიტიკური აზროვნების ადამიანებთან საუბრის სურვილი რომ არა აქვს, ეს რეალობაა. სხვაგვარად მოაზროვნეებთან საუბარს აჭარის ხელმძღვანელობა დროის დაკარგვად მიიჩნევს.

ჩინებულად ვიცნობ ბატონ ასლან აბაშიძეს, ვიცნობდი მანამდეც, ვიდრე მრავალ გაზეთში დაიბეჭდებოდა მისი ინტერვიუ "ვინ ვარ მე". მისი გენეალოგიაც საკმაოდ კარგად ვიცი და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი - ჩვენ ხომ თანაქალაქელები ვართ. ბუნებრივია, პატივს ვცემ იმ სასიკეთო საქმეებს, რაც აჭარაში გაკეთდა, მაგრამ, რაც არ გაკეთებულა, არ შეიძლება, სხვას დაბრალდეს, იმიტომ, რომ ასლან აბაშიძის გარეშე აჭარაში ვერავინ ვერაფერს გააკეთებს - ვერც კანონიერსა და კარგს, ვერც უკანონოს და ცუდს. რასაკვირველია, ვერაფერს გააკეთებენ ამ ბოლო დროს ასე მომრავლებული თბილისელი მეგობრები - ჩვენთან გრძელვადიანი "მივლინებით" ჩამოსული ბედის მაძიებელნი, რომლებიც ჩვენზე უკეთ ვერ იტვირთებენ ქომაგის ფუნქციას. იქნებ მწარე, მაგრამ ეს სიმართლეა!

ყოველთვის არ გაამართლებს აჭარის ხელისუფალის პოლიტიკა, რომელსაც ურჩევნია, ხელშიშემყურეთა რიცხვი კი არ შემცირდეს, პირიქით, გაიზარდოს. როცა ასეთ ვითარებაში აჭარის ხელისუფალი განცხადებებს აკეთებს, რომ აჭარის მოსახლეობა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობაზე 11,5-ჯერ უკეთესად ცხოვრობსო (საინტერესოა, ასეთი სიზუსტით როგორ გაიანგარიშეს), სინამდვილეში აჭარაში ისევე ცხოვრობენ, როგორც დანარჩენ საქართველოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც აჭარაში დღეს პრივილეგირებულ მდგომარეობაშია. ეს უკანასკნელი საზოგადოების ის ნაწილია, ვისაც ხელისუფლება საზოგადოების დანარჩენი ნაწილის წიმააღმდეგ დღეს ფარად იყენებს.

დღითიდღე უარესდება აჭარის სუბტროპიკული რაიონების მოსახლეობის ყოფა. ადრე ცხოვრების დონით გამორჩეულ ამ რეგიონში დღეს სიდუხჭირეა. ბევრი არათუ საარსებო პირობების, არამედ სიცოცხლის გადარჩენის გზების ძიებაშია.

ბათუმის პრესტიჟულ უბნებში სარეკლამო მშენებლობებისა და მათი მასშტაბების თუ ხარისხის მიღმა, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია. ეს მშენებლობები, თავისთავად, კარგია, მაგრამ იგი გაჭირვებულ ხალხს ვერ გადაარჩენს და, ამდენად, თვითმიზნურია!

ჩვენ და არა მარტო ჩვენ, მიგვაჩნია, რომ ათწლეულების მანძილზე შექმნილი ქონება კანონიერად არ განაწილდა. გაჩნდა პრივილეგირებული ფენა, გაჩნდნენ უკანონოდ, ხალხის ხარჯზე გამდიდრებული ადამიანები, რომელთა ქონების დიდი ნაწილი სხვათა სახელზეა ლეგალიზებული. ჩვენ მოგვწონს ბატონი ასლანის ლოზუნგი - "რაც უფრო მეტი მდიდარია ქვეყანაში, მით უფრო მდიდარია ქვეყანა". ოღონდ ეს სიმდიდრე კანონიერი გზით უნდა იყოს მოპოვებული და არა თავაშვებული ვითომ ბიზნესით, ყაჩაღობით, მეტიც - სახელმწიფო რეკეტის ხარჯზე!

უზნეობაა, უკანონო გზით გამდიდრებული კაცი სხვას მაღალ ზნეობრივ ნორმებს უქადაგებდეს! თუ ხალხი ადრე ვერ ბედავდა, დღეს აშკარად კითხულობს - ვინ არიან ჩვენთან ის "ახალი ქართველები", ქვეყნის ძარცვით რომ გამდიდრდნენ და ახლა ჭკუის "დამრიგებლებად" მოგვევლინნენ! გაჩნდა ახალი ძალა, რომელიც ყველა საკითხს არაოფიციალური არხებით "არეგულირებს" და, თუ ანგარიშს არ გაუწევ, შეიძლება გადაყვე კიდეც.

როცა ამ პროცესს ხელს კი არ უშლი, პირიქით, ამ კატეგორიის ადამიანებზე დაყრდნობით ცდილობ, დათრგუნო კეთილსინდისიერი კაცი, შეუძლებელია ვინმემ ირწმუნოს, რომ ხალხის ინტერესების დამცველი ხელისუფალი ხარ. ხალხი ხომ ყველაფერს ხედავს და გრძნობს! არც შეფასების, დასკვნების გამოტანის უნარი დაუკარგავს და ბოლომდე ვეღარც იმ სიცრუით" შეიქცევ", რომ ყველა მისი გაუგებრობის სათავე თბილისში, ცენტრალურ ხელისუფლებაშია.

ავტონომიის მეთაური ვალდებულია, ხალხს უთხრას: ვინ გაუკეთა ორგანიზება ჩვენთან ჩარხების, რკინიგზის ვაგონების, ცისტერნების, სკოლების სასწავლო კლასებიდან აგლეჯილი გათბობის რადიატორების ჯართად ქცევას და ქვეყნის გარეთ გატანას?! ან, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ვისი ხელშეწყობით მიედინებოდა და დღესაც მიედინება ქვეყნიდან ხე-ტყე, ფერადი ლითონი, ძვირფასი დაზგები და სხვა სიმდიდრე, რაც დღეს უკვე ჩვენვე გვესაჭიროება. საინტერესოა, რას აკეთებდა ამ დროს სარფის კარზე ის სამსახური, რომელსაც ქვეყნის თვალის და ყურის ფუნქცია აკისრია?!

ჯართად აქციეს სოფელ ადლიაში მდებარე ბათუმის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობაც კი, რის გამოც ქალაქის მთელი სიბინძურე ზღვაზეა მიშვებული!

დღეს აჭარაში უშიშროების სამსახურის მაღალი რანგის ჩინოსნებს ყოველმხრივ ახალისებენ და ხელს უწყობენ ბიზნესში აქტიური მონაწილეობისათვის. ამის შემხედვარეს გვიჩნდება ეჭვი იმისა, რომ ხელისუფალი ცდილობს, ადამიანები, ვისაც სულ სხვა ფუნქცია აკისრიათ, წუმპეში ამოსვაროს, თავისი ნების ბრმა შემსრულებლებად აქციოს და სხვათა "ნაღვაწის" მოკითხვისა და განსჯის მორალური უფლება აჰყაროს. იქნებ აჭარის ხელისუფალმა ახსნას, თუ რა გამართლება აქვს პროცესს, როცა უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნები გამორჩეულად მდიდრდებიან?!

ჩვენ, ხელისუფლებისაგან განსხვავებულად მოაზროვნეებს, ვისაც მხოლოდ ადამიანური თანადგომა შეგვიძლია, ვინც კატეგორიულად ვერ ვეგუებით მონური ქედის მოხრას, მლიქვნელობას, ქება-დიდებას მბრძანებლისა, მიგვაჩნია, რომ დამღუპველია ვითარება, როცა, ხელისუფალთან თუ მიგვასწრეს, თუ დაგაბეზღეს, დამთავრდა, მორჩა შენი საქმე, მკვდარსაც არ გაპატიებენ! ეს უზნეობა უნდა დამთავრდეს.

ავტონომიის მეთაური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარეკლამო მშენებლობითაა გატაცებული. ბევრი მშენებლობის უკან კი მისი პირადი ინტერესები დგას. საინტერესოა, რომ მას ნაკლებად აღელვებს საკომუნიკაციო ნაგებობათა მშენებლობის ის ნაწილი, რაც მიწის ქვეშაა, არ ჩანს და, ამდენად, პროპაგანდისტული მიზნებისათვის მათი გამოყენება გამორიცხულია. ასეთია თუნდაც წყალსადენი, ქალაქის საკანალიზაციო სისტემა და სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციები. ბათუმის მოსახლეობა, წყალსადენის სათავო ნაგებობის გაუმართაობის გამო, წვიმის შემდეგ, ტალახს და ათასგვარ სიბინძურეს მიირთმევს. რაც შეეხება კახაბრის დაბლობზე ქალაქისთვის ახალი წყალსადენის მშენებლობას, ამაზე ლაპარაკით ხალხი დაიღალა, რეალური შედეგი არ ჩანს. ერთი რამ კი მოგვარდა - ამ დაბლობის ჭებიდან ამოქაჩული წყლით, აჭარის ხელისუფალი და ბათუმში მცხოვრები "ახალი ქართველები" სუფთა წყლით ინდივიდუალურად მარაგდებიან. ამბობენ, ამაზეც სპეციალური ნებართვაა საჭიროო.

თავის დროზე თვით აჭარის ხელისუფალმა დართო ნება ზვიად ცეცხლაძეს, მოსწავლეთა პარკში სასტუმროს მშენებლობა წამოეწყო, ასევე ბანკირ პატარქალიშვილს, ბათუმის დელფინარიუმის წინ, ფაქტობრივად ზღვის პლაჟზე, გრანდიოზული სასტუმროს მშენებლობა ეწარმოებინა. ამ ორივე მშენებლობაზე ასეული ათასობით დოლარი დაიხარჯა და დღეს კი, აბაშიძისავე განკარგულებით, ეს მშენებლობები მიწასთან გასწორდა. ისმება კითხვა - ხომ არა გვაქვს საქმე თვითნებობასთან (მე ვარ და ჩემი ნაბადი) და ამ მშენებლობების პატრონებთან პირადი ურთიერთობის შეცვლამ აშენებულის დანგრევა გამოიწვია. სწორედ ასეთი ფაქტები გვაძლევს საფუძველს ვთქვათ: კანონი კი არაა მთავარი, არამედ კანონია ის, რასაც ჩვენთან ერთი კაცი იტყვის.

საინტერესოა, აჭარის ხელისუფალმა ვისთან შეათანხმა, ან რა გამართლება მოუძებნა ფაქტს, როცა მიწასთან გაასწორა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა, რომლის გარეშე ჩაის ფაბრიკების რეაბილიტაცია და სრულყოფა, ვფიქრობ, შეუძლებელია. სად გადამისამართდა ქარხნის უნიკალური ჩარხები, სხვა დანადგარები და რკინის კონსტრუქციები, ან ის ათასობით ტონა ჯართი, რომელიც ქარხნის დანგრევით დაგროვდა?

რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკის სასწრაფოდ დანგრევა-ლიკვიდაცია, ის ხომ დანგრევამდე ორიოდე წლით ადრე უნგრული დანადგარებით იქნა აღჭურვილი. რამდენიმე ჰექტარი ფართობი, რომელიც ფაბრიკას ეჭირა, ექვსი წელია გამინდვრებულია.

აჭარაში მკვეთრად გამოიკვეთა ტენდენცია - ობიექტები, რომლებიც აჭარის ხელისუფალის ინტერესებში არ შედის, ინგრევა.

მთელი ათი წელია მიდის მსჯელობა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციის, ქარხნის ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების თაობაზე. არაერთი ინვესტორი გამოჩნდა. მათ შორის იყვნენ იაპონელებიც, მაგრამ რეკონსტრუქცია არ განხორციელდება, სანამ პროექტი აჭარის ხელისუფალის პირად ინტერესებს არ მოერგება. სხვა შემთხვევაში ეს ქარხანაც დაინგრევა, ჯართად იქცევა, და ეს პროცესი, ფაქტობრივად, დაწყებულია. სწორედ ამ ქარხნის ბევრი შენობა და ტერიტორიის დიდი ნაწილი ხელისუფალის ოჯახის წევრმა დაისაკუთრა. ქარხნის ტერიტორიის დასაკუთრების პროცესი ფარულად გრძელდება.

საკითხავია, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ზღვისპირას დაწყებული ფილარმონიის დარბაზის მშენებლობის მიწასთან გასწორება, რაზეც დიდი სამშენებლო სამუშაოები უკვე ჩატარებული იყო? აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს ადგილი მიართვეს საჩუქრად ბატონ იური ლუჟკოვსა და მის თანხმლებს, რომლებიც აჭარას სტუმრობდნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტების ფონზე, ნებსით თუ უნებლიეთ, გიჩნდება კითხვა - ვინ არის აჭარის ხელისუფალი, აღმშენებელი თუ... ამ კითხვაზე პასუხი მკითხველისათვის მიმინდვია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აჭარის ხელისუფალი, ვინც ქვეყნის ხელისუფლების ნაწილია, ოპოზიციის ლიდერობას იჩემებს. თავის მხრივ, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ბევრ აქტუალურ საკითხზე, რომელიც აჭარის ხელისუფალს ეხებოდა, დუმილს არჩევდა და ამით ცდილობდა, დაძაბულობა განემუხტა. ასე რომ, აჭარის ხელისუფლებასთან ურთიერთობა მეზობელი ქვეყნის სახელმწიფოსთან "თანამშრომლობას" დაემსგავსა. ერთი რამ აშკარად გამოიკვეთა, პერიფერიის ხელისუფლების სიძლიერის ძირითადი მიზეზი ცენტრის სისუსტე გახლდათ.

წერილში მოტანილი ფაქტები მარტო ჩვენ არ გვაწუხებს, ძალიან ბევრი თანამოაზრე გვყავს. "დემოკრატიული აჭარის" ამოცანაა აჭარაში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. ჩვენთვის მიუღებელია აჭარაში გავრცელებული და ცხოვრებაში დამკვიდრებული ლოზუნგი - "ვინც ჩვენი მომხრე არაა, ის ჩვენი მტერია." ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ აჭარას ჰყავს ის ინტელიგენცია, ვინც აჭარის პრობლემებს უკეთ დაინახავს, შეაფასებს და მის გასწორებასაც შეძლებს.

აჭარის მოსახლეობა, რომელმაც, მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი ფსიქოზისა, რეალურად დაუჭირა მხარი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევას, მშვიდი ცხოვრების, აჭარაში დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრების მოლოდინშია.

თამაზ ცინცაძე
"დემოკრატიული აჭარა"-ს გამგეობის წევრი

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25


www.24hours.ge 24 B

იუბილე

ადამიანი, რომელიც ტაძრისკენ მიმავალ გზას ეძებდა...

A1 გვერდიდან

რამოდენიმე წამში ჩემი ყურადღება კედლებზე ჩამოკიდებულმა "მონანიების" ფოტოებმა მიიპყრო. ეს იყო თენგიზი და ავთო მახარაძე, თენგიზი და ზეინაბ ბოცვაძე, თენგიზი და მზია მახვილაძე, იქ, მორებთან... დიდ უსაშველო მორზე დიდი ტკივილითა და სიყვარულით აღბეჭდილი სახით და გვერდზე ბატონი თენგიზი, რომელიც თითქოს იგივეს გრძნობს, იგივეს განიცდის. ამ სურათებზე უსიტყვოდ მოჩანდა ის, თუ როგორ მუშაობდა თითოეულ მსახიობთან, როგორ იძერწებოდა და იქმნებოდა ესა თუ ის სახე, რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ყოველ დეტალს, ნიუანსს.

"მახსოვს, სანდრო ბარათელის დაპატიმრების სცენას ვიღებდით, სადაც მე კიბეზე ვზივარ და უნდა მეტირა. სანამ კამერას დააყენებდნენ, თენგიზი მომიახლოვდა, დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა – მე მოვკვდი", უეცრად თვალწინ დამიდგა, კიბეზე ჩამომჯდარი, ატირებული ნინო ბარათელი, და ახლა, 20 წლის შემდეგ, ოდნავ შეცვლილი მაგრამ ისევ აცრემლებული მსახიობი. **"ხოლო ის ადგილი, როცა დედა (მსახიობი მზია მახვილაძე) გადაიღო მორებთან, იმ დიდ მორზე "გია" ამოტვიფრა, ჩემი ძმის სახელი. არ ვიცოდით, როცა მივედით, დედა კინაღამ გაგიჟდა. იგი ისე ზუსტად იძლეოდა ამოცანას, შეუძლებელია ვერ შეგესრულებინა",** - მიყვება ქეთინო.

მის ფილმებზე ხშირად ამბობდნენ "ვარსკვლავთცვენაო", ეს ასეც იყო. მასთან ხომ ახალბედა მსახიობიც ვარსკვლავად გრძნობდა თავს. ჩამოუჯდებოდა დიდი ხნით რომელიმეს, ესაუბრებოდა ჩუმად, წყნარად. შემდეგ, კი ერთი დუბლიც საკმარისი იყო. თუმცა, მსახიობი აბულაძის შემოქმედებაში, ეს, ალბათ, ცალკე თემაა. მას გააჩნდა მსახიობთან ურთიერთობის დიდი ნიჭი, ის უნიკალური თვისება, რომლითაც, სამწუხაროდ, ბევრი ვერ დაიკვეხნის. შეეძლო, მთლიანად გაეხსნა მსახიობი, ზედაპირზე გამოეტანა ის, რაც სჭირდებოდა, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა: თვისება, მიმალული გრძნობა. მის ფილმებში ყველა განუმეორებელია, იქნება ეს ახალბედა გამოუცდელი მსახიობები: ლიკა ქავჟარაძე, სოსო ჯაჭვლიანი... თუ ისეთი მაღალი დონის პროფესიონალები, როგორებიცაა: ავთო მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, სესილია თაყაიშვილი... სადაც, მიუხედავად ეპიზოდური ხასიათისა, ვთვლი, რომ ეს როლები, ამ პროფესიონალთა შემოქმედებაში, ერთ-ერთი საუკეთესოდ განსახიერებული კინოგმირებია.

ნათია ამირეჯიბი: **"ფილმ "მონანიებაში" აღსანიშნავია, სამი მსახიობური შესრულება: ავთო მახარაძე ერთი, ავთო მახარაძე ორი და ახალგაზრდა მერაბ ნინიძე".** აქ, ალბათ, ყველაზე ზუსტადაა დახასიათებული, ავთო მახარაძის მიერ აბელისა და ვარლამის როლების ბრწყინვალე შესრულება, რომელიც მოსკოვის კინოაკადემიამ, "ნიკეს" გრან პრით აღნიშნა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ნუთუ, როდისმე შეიძლება დაგავიწყდეს: მარიტა, ფუფალა, ელიოზი, იორამი, ვარლამი, ოხროხინე...

თენგიზ აბულაძე, ადამიანი რომელიც მუდამ შემოქმედებით პროცესში იყო, მაშინაც კი, როცა საქმე კინოს არ ეხებოდა. როდესაც სახლში დაბრუნებული, რაიმე ამბით უკმაყოფილო, ანდა პირიქით, კმაყოფილი, აიღებდა ხელში კალამს და ფურცელს და წერდა პატარა სიუჟეტებს, ჩანახატებს, საკუთარ დამოკიდებულებას, სათქმელს ამა თუ იმ პიროვნებისადმი – რასაც, ალბათ, არასოდეს ეტყოდა. დიდი იუმორით, ხასიათებით... ის ხომ ოჯახის წევრებსაც ხშირად წერილებით ესაუბრებოდა.

მოგვიანებით, პირველი შვილიშვილი, თორნიკე გაუჩნდა, რომელიც ყველაფერს სახელს არქმევდა და ყველაფერზე კითხულობდა – ეს კეთილია თუ ბოროტი? სწორედ ის კეთილები და ბოროტები აინტერესებდა, რომლებსაც ბატონმა თენგიზმა თავისი ტრილოგია, სამი არაჩვეულებრივი ფილმი "ვედრება", "ნატვრის ხე" და "მონანიება" მიუძღვნა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: თეატრალური ინსტიტუტის ორმა ახალგაზრდა სტუდენტმა, დიდ რუს რეჟისორს სერგეი ეიზენშტეინს წერილი მისწერა: "თქვენ ჩვენი სათაყვანებელი რეჟისორი ხართ, დიდ პატივად ჩავთვლით, თუ მიგვიწვევთ თქვენთან სამუშაოდ. სულერთია რაზე, თუნდაც შავ სამუშაოზე. – თ.აბულაძე და რ.ჩხეიძე". დაახლოებით ასეთი იყო წერილის მოკლე შინაარსი. შემდეგ იყო მოსკოვი, გდთკ-ი, იუტკევიჩის სახელოსნო და 1955 წელს თბილისში პირველი ერთობლივი ფილმი "მაგდანას ლურჯა". ამ ფილმით უმალ მოიხვეჭეს დიდი წარმატება და სიყვარული. ეს იყო ახალი სიტყვა, ახალი ეტაპი, ახალი სტილი. "ეს არ არის ტიპური საბჭოთა ფინალი", "ახალგაზრდა ვირტუოზები", "ყველა ნანახი ფილმიდან, საუკეთესოთა შორის საუკეთესო" – იწერებოდა კანის ფესტივალზე. "ჩვენ ორი დიდი რეჟისორის დაბადებას დავესწარით" - თქვა დოვჟენკომ. შემდეგ იყო კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, მოკლემეტრეჟიანი ფილმების მთავარი პრიზი – "ოქროს პალმის რტო", და ედინბურგის ფესტივალზე საპატიო დიპლომი. "ჩვენ ნატო ვაჩნაძეს ვიღებთ და არაფერი გამოგვდის, ამ ორმა კი ვირი გადაიღო და ბრწყინვალე ფილმი გამოუვიდათო" – ამოვიკითხე ერთ-ერთ მილოცვაში, რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი აურაცხელი რაოდენობით იღებდა.

ამას მოჰყვა 1958 წელს საგაზეთო პუბლიკაციიდან აღებული ამბავი, "სხვისი შვილები", 1962 წელს - "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", 1967-ში "ვედრება" (სან-რემოს ფესტივალის პრიზი), 1971-ში "სამკაული ჩემი სატრფოსთვის" (დიპლომი საკავშირო კინოფესტივალზე), 1976 წელს "ნატვრის ხე" (თეირანის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი, კარლოვი-ვარის ფესტივალზე სპეციალური პრიზი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, იტალიაში, ლუკინო ვისკონტის სახელობის დონატელოს "დავითი"...), 1984 წელს "მონანიება" (კანის კინოფესტივალზე დაჯილდოვდა ჟიურის სპეციალური პრიზით, "ფიპრესით" – კრიტიკისა და პრესის ასოციაციის საერთაშორისო პრიზი და ვატიკანის ქრისტიანული გაერთიანების პრიზით - ჰუმანიზმისთვის, ჩიკაგოს "ოქროს ჰიუგო", რუსეთის კინოაკადემიის პრიზი "ნიკე" ექვს ნომინაციაში).

წლებს თუ გადავხედავთ ნათლად მოჩანს, რომ რეჟისორს არც ისე პატარა შემოქმედებითი პაუზები ჰქონდა: 29 წლის მანძილზე 7 ფილმი, ეს არც თუ ისე ბევრია. თუმცა, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა სამუდამოდ დაემკვიდრებინა ადგილი კინოს იტორიაში, ხალხის მეხსიერებაში. ამ პაუზებს, ალბათ, თავისი მიზეზებიც ჰქონდა. მრავალი პრიზისა და ჯილდოს მფლობელს, არასოდეს მიუღია ის თანხა, რაც კანონით ამა თუ იმ პრიზს ახლავს. ძვირფას პრიზებში ერთი ასლიც გამოირევა, რადგან "დიდი საბჭოთა რუსეთი, ყოველთვის ზრუნავდა თავის ღირსეულ შვილებზე". ისე, ალბათ, არა მარტო რუსეთი... **"ერთხელ, როდესაც "ვედრებაში" სან-რემოს პრიზი აიღო, მამას უთხრეს – ამ ფულით თქვენ კი არა, თქვენი შვილიშვილებიც ფუფუნებაში იცხოვრებენო, თუმცა შვილიშვილი კი არა, თვითონ კაპიკიც არ მიუღია. შემდეგ მამამ წერილი გაუგზავნა – არ მინდა ეგ ფული, იქნებ მაგით ვაჟა-ფშაველას ტომეული გამოუშვათო. მაგრამ, რად გინდა, პასუხიც კი არ მოსულა".** ფინანსების გარდა აქ, ალბათ, სხვა მიზეზიც იყო. მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული ფილმი, რომლებსაც თავის შვილებს ეძახდა, იმდენად ღრმა, რომ თითოეულზე წლობით მუშაობდა, მთლიანად იხარჯებოდა, აქსოვდა მთელ გულსა და სულს, დიდ სიყვარულს. სწორედ ამიტომაცაა, რომ აბულაძის ფილმები ძალიან ღრმაა, მრავალშრიანი, ფილოსოფიური, დატვირთული სიმბოლიკით. სადაც ყოველი კადრი, ყოველი დეტალი ღრმად გააზრებული, დამუშავებულია. "Такую картину, как "Мольба" снимают в конце творческого пути, и тогда это нормально: всю жизнь как бы идешь к этому. Но когда это делается в начале пути, то очень сложно, ибо планка сразу поднята так высоко, что ровнятся на это почти невозможно. Мне пришлось тяжело пережевать в жизни по этому поводу. Я много снимал, но "Мольба" оказалась пракчически единственным моим фильмом." – საშა ანტიპენკო, "ვედრების" ოპერატორი.

თენგიზ აბულაძე.

რეჟისორი განწყობილებას უქმნის მსახიობს.

რა არის აბულაძის ფილმების ძირითადი თემა? ძალადობა, ჩაგვრა, უსამართლობა... ოღონდ ეს უსამართლობა ყველგან სხვადასხვაა. სხვაა მაგდანასთან, რომელსაც მოსყიდული მოსამართლეები უკანასკნელ იმედს, ლურჯას ართმევენ, სხვაა სხვისი შვილებისთვის, რომლებსაც ვერ გაუგიათ, თუ რატომ არ შეიძლება მამამ შეიყვაროს კეთილი ნატო დეიდა, სხვაა აბელ არავიძისთვის, ყოველ დილით მიწიდან უსამართლოდ ამოთხრილი მამის ყურება და სხვაა თორნიკესთვის, რომელიც ამ უსამართლობის გამო იკლავს თავს. აბულაძის ფილმებში არ არის ბედნიერი დასასრული, აქ არ არის მაგდანა ლურჯათი (როგორც ეგნატე ნინოშვილთან), არ არიან სხვისი შვილები მამასთან და ნატო დეიდასთან ერთად (როგორც საგაზეთო პუბლიკაციაშია), არ არიან კეთილი, სუფთა არსებები - მარიტა და გედია ერთად. არა, აქ ეს არ არის, აქ მკაცრი რეალობაა, უსამართლო, ისეთი როგორც ცხოვრებაში. მაგრამ ყოველივე დიდი სილამაზით და პოეტურობით დანახული. მას ხომ ხშირად პოეტ-რეჟისორსაც უწოდებდნენ. **"თუ სიკეთე, სილამაზე და სიმართლე რელიგიური ფასეულობებია, მაშინ ჩემი შემოქმედება ღრმად რელიგიურია. ეს ის ფასეულობებია, რომელსაც ტაძართან მივყევართ. ტყუილი ვერასოდეს მიგიყვანს ტაძრამდე" –თ.აბულაძე.** პოეტურია მაშინ, როცა კამკამა ლურჯა ცაზე დიდი არწივის ხავილი ფილმში დასადგურებულ სიჩუმეს არღვევს და როცა ყაყაჩოებით, სისხლისფრად აბიბინებულ მდელოზე თეთრ მომაკვდავ ცხენს ხედავ. მთლიანად პოეტურია "ვედრება", სადაც რეალობა, სიურეალიზმი და ალეგორია ღრმად არის გადაჯაჭვული ერთამეთთან, სადაც მსახიობ რუსიკო კიკნაძის საოცრად ნათელი, გაბრწყინებული სახე მუქი წყვდიადით იცვლება, სადაც გრაფიკა ღრმად იჭრება ფილმის თითოეულ კადრში, ხოლო ფორმა და შინაარსი სულ სხვაგვარად, ახლებურად აჟღერდა. მის ფილმებში ხშირად იმარჯვებს ბოროტება, მაგრამ მაინც რჩება იმედი, რწმენა. "ნატვრის ხეში" რჩება მეოცნებე ელიოზის ქალიშვილი, "მონანიებაში" გზა, ტაძრისკენ მიმავალი გზა...

"არსებობს გამოთქმა "მემღერება და ვმღერი". რაღაც ამდაგვარს განვიცდი, როცა ახალი ფილმის შექმნის იდეა მწიფდება და შინაგანად ვეწყობი ხოლმე სამუშაოდ. ღრმა, ამაღელვებელი აზრების გარეშე, ნამდვილი შემოქმედება არ არსებობს. "მონანიებისკენ" მე დიდხანს მივდიოდი, ძალიან დიდხანს. შეიძლება მთელი ცხოვრებაც." - თ. აბულაძე.

"მონანიება" იყო ახალი აზროვნება, ახალი სიტყვა. ფილმი-მანიფესტი, ფილმი-მონანიება, ფილმი-გახსენება (ასე ეწოდებოდა ფილმს დასაწყისში). ეს იყო ბეწვის ხიდზე გასვლა, საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა. ეს იყო ბოროტება და სიკეთე, დიქტატურა და დიდი ჰუმანიზმი, უდანაშაულო ხალხი და ათასი ცრემლი. მათი ცრემლი, ვინც ამ შავ-ბნელი ისტორიის დიდი ფურცლის მომსწრე იყო, და მათი, ვინც აბულაძის ფილმით თვალებში ჩახედა ბოროტებას. ეს იყო ფილმი, რომელსაც საბჭოთა კავშირის ისტორიაში ყველაზე დიდი გამოხმაურება ხვდა წილად, იწერებოდა ყველგან, მთელს მსოფლიოში: საქართველოში, რუსეთში, ინგლისში, საფრანგეთში... სხვადასხვა ქვეყნიდან იგზავნებოდა ათასობით წერილი რეჟისორის სახელზე, ჩამოდიოდა ხალხი, რათა ჩუმად ენახათ ფილმი და შემდეგ ისევ წასულიყვნენ. "მადლობა გადაეცით რეჟისორს – უთქვამს ერთ ქალს, - ახლა შემიძლია თავისუფლად მოვკვდეო". **"თითქოს უზარმაზარმა ვულკანმა გაიღვიძა, შეტორტმანდა, ამოხეთქა და ამოფრქვია ათასი ხმით, ტკივილით, ქვითინით, გოდებით, იმედით. წერდნენ ყველაფერს ლექსად, პოემად, წერილად..." - ნანა ჯანელიძე** (წერილი "მონანიება" და მაყურებელი).

ვინ იყო ვარლამ არავიძე? სტალინი? ბერია? მუსოლინი? ჰიტლერი? ან რა გვარია არავიძე? არავის ძე. ეს არ იყო დიქტატორის კონკრეტული სახე, აქ არ იყო დაკონკრეტებული მოქმედების დრო და ადგილი. აქ შეიძლება ამოგეცნო ჰიტლერის ულვაშები, ბერიას სათვალეები...ეს იყო ამბავი სიკეთესა და ბოროტებაზე, რომელიც შეიძლება მომხდარიყო ყველგან და ყოველთვის. **"ეს იყო ტირანიის, დიქტატურის კრებითი სახე, სადაც ბერძნები ამოიცნობდნენ თავის პოლკოვნიკებს, სამხრეთ ამერიკელები თავისას. გვინდოდა, რომ "მონანიება" გარდაქმნის პირველი მერცხალი ყოფილიყო, მას მოჰყვებოდა სხვა მერცხლებიც და ბოლოს დადგებოდა გაზაფხული. მაგრამ ფილმის შექმნას, უამრავი დაბრკოლება ელოდა".** – წერდა თ. აბულაძე. მაგრამ თუ ეს დაბრკოლება შიშში გადაიზრდებოდა, ალბათ, არავის ეგონა. ფილმის შექმნის წლები - ეს იყო მუდმივი შიში: სცენარის განადგურების, რეჟისორის დაპატიმრების, რომელსაც ანტისაბჭოური ფილმის გადაღებისთვის (რაც მიზეზად სახელდებოდა) არ ასვენებდნენ. იწერებოდა საჩივრები მასსა და მისი ოჯახის წევრებზე, სამსახურიდან ათავისუფლებდნენ მათ, ვინც ფილმის ვიდეოასლის გადაღებაში იქნებოდა ეჭვმიტანილი, არადა ვიდეოასლებს მართლა აკეთებდა ხალხი, რათა დედანის განადგურების შემთხვევაში, რაც გამორიცხული არ იყო, რამე მაინც დარჩენილიყო "მონანიებიდან", თუნდაც უხარისხო ვიდეოკასეტა. გადაღებები ბათუმში დაიწყო. ხელისუფლებიდან წამოსული შიშის გარდა სხვადასხვა პრობლემებიც თითქოს ჯიბრზე, გამუდმებით იჩენდა თავს. ჯერ იყო დაზიანებული კამერა, რომლის გაფუჭებული კადრები, მხოლოდ ორი თვის შემდეგ, ფირის გამჟღავნებისას გამოჩნდა. შემდეგ ისევ ორი თვე მუშაობის და... თორნიკეს როლის შემსრულებლის - გეგა კობახიძის ტრაგიკული ამბავი... დრო კი გადიოდა. ფილმი გადაიღეს დაამონტაჟეს, თუმცა ეკრანზე მხოლოდ ორი წლის შემდეგ გავიდა. მანამდე კი ხალხი ნახულობდა, ჩუმად, მალულად. საუბრობდნენ ფილმზე, ისევ ჩუმად, ხმადაბლა... ბოლოს კი, რეზო ჩხეიძეს დახმარებით "რაიკომის მდივნის" ფირის ყუთში მოათავსეს, და "მონანიება" რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს - მიხეილ გორბაჩოვს აჩვენეს. **"ბოლოს, როცა ფილმი უკვე გადაღებული იქნა და 1984 წელს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებმა ნახეს, უმეტესობას მოეწონა, ზოგიერთს კი შეეშინდა. კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა ნიკოლსკიმ მითხრა – თუ ფილმი გავა, თქვენ ციხეში ჩაგსვამენ და არც თუ ისე ცოტა ხნით. 1986 წლამდე ფილმი აკრძალული იყო. ისე, დღეს ნიკოლსკის დაპირებისამებრ, რამდენ ქვეყანაშიც ჩემი ფილმი აჩვენეს, იმდენი თითო წელი რომ მოეცათ, ციხეში 113 წელი მაინც ვიჯდებოდი"** - თ.აბულაძე. დაახლოებით ასეთი იყო, დეტექტიური ფილმის სიუჟეტივით დაძაბული, შიშის ქვეშ შექმნილი "მონანიების" ისტორია.

ოთახში, მაგიდაზე თენგიზ აბულაძის "ნატვრის ხე" იდო. როდესაც გოგლა ლეონიძეს უჩუქებია, უთქვამს – "ნახე, აქედან კარგი ფილმის გაკეთება შეიძლებაო". 22 ნოველისგან შემდგარ წიგნში, რეჟისორის მიერ ფერად-ფერადი ფლომასტრებით ხაზგასმულ სტრიქონებს ვათვალიერებდი, გვერდზე სხვადასხვა მინაწერებით. ამ წიგნით "ნატვრის ხე" შეიქმნა.

იქვე ვახტანგ ჯავახაძის გალაკტიონ ტაბიძეზე დაწერილი წიგნი "უცნობი" იდო. ისევ ისე ფერად-ფერადად დახაზული. ორი დიდი ქართველი მწერლის – ილიას მკვლელობა და გალაკტიონის თვითმკვლელობა - ასეთი იყო ჩანაფიქრში პირველი და ბოლო კადრები იმ მომავალი ფილმისა, რომლის გადაღებასაც უკვე ძლიერ ავადმყოფი რეჟისორი აპირებდა. ალბათ, აქედანაც კიდევ ერთი დიდი ფილმი გამოვიდოდა.

P.S ერთი წლის წინ კინოს სახლში მემორიალური დაფა გაკეთდა წარწერით: "კინემატოგრაფიულ ხელოვნებათა აკადემიის ნაციონალური პრემიის ლაურეატს, დიდ რეჟისორსა და ადამიანს, რომელიც ტაძრისკენ მიმავალ გზას ეძებდა"... ალბათ, სიმბოლურია, რომ დღეს არსებობს ერთი პატარა ქუჩა, რომელიც დიდი რეჟისორის სახელს ატარებს. ეს სწორედ ის გზაა, რომელიც სამების ტაძრამდე მიდის...

თეატრები

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
ფრიდრიხ დიურენმატი “მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი”
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
“ჰამლეტი”
რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

კლუბები

აჭარა მიუზიკ ჰოლი
დი-ჯეი დიდიე სინკლერი
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.
ფასი 25 ლარი

კინო

ამირანი
“ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება”
დას: 10:00; 13:30; 17:00; 21:00 სთ.
ფასი: 5-12 ლარი

გალერეები

“ძველი გალერეა”
გურამ წიბახაშვილის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი
შტეფან მოზესის ფოტოსურათების რეტროსპექტივა

TMS
ბიძინა გუჯაბიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
ალექსი (ალი) ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
“ქრისტიანული ხელოვნება”
მე-3 სართული

ქანეთ-ლაზეთის ისტორიის გამო

პრეზენტაცია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში

ვერა ნეფარიძე

რამდენიმე თვის წინათ, ზაფხულში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ლაზური მუსიკის საღამო გაიმართა. ეს მუსიკალური საღამო პარალელურად, კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბების იდეის პრეზენტაციაც იყო. გუშინ კი ცენტრმა (რომელიც ჯერ რეგისტრირებული არ არის) მის მიერ გამოცემული ორი წიგნი შესთავაზა საზოგადოებას. შეკრება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის ექსკურსსა და ლაზების თანამედროვე ყოფაზე საუბარში გადაიზარდა.

ლაზური საიტი

როგორც ცენტრის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გიორგი ანდრიაძემ განაცხადა პრეზენტაციის დასაწყისში, ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების წარდგინება უფრო ფართო საზოგადოების წინაშე მოგვიანებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იყო გათვალისწინებული. მაგრამ, იმის გამო, რომ სწორედ ამ პერიოდში (ახლა თურქეთში დასვენების დღეებია) თბილისში ლაზი სტუმრები ჩამოვიდნენ, ცენტრის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, შედარებით ვიწრო საზოგადოებისთვის გაეცნოთ ახალი წიგნები. გუშინდელ პრეზენტაციას ესწრებოდნენ ძირითადად, სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ისტორიკოსები), ცენტრის წარმომადგენლები; ასევე, ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსი, თურქეთიდან ჩამობრძანებული სტუმრები და რამდენიმე ჟურნალისტი.

“ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ლაზეთს, სამწუხაროდ მეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი. ფართო საზოგადოებისთვის თითქმის უცნობია საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორია, გეოგრაფია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ფოლკლორი თუ სხვა ეთნოგრაფიული და ყოფაცხოვრებითი დეტალები”, - წერია კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცემულ ერთ-ერთი წიგნის - “ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო” შესავალში. ამ ინფორმაციული ვაკუუმის (რაზეც საუბარია ზემოთმოყვანილ ციტატაში) შევსების მცდელობაა როგორც ცენტრის დაარსება, ისე აღნიშნული წიგნის გამოცემა, რომელიც პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომიდან – “გიორგი მერჩულე” არის ამონარიდი. ამას გარდა, ცენტრმა გამოსცა ლაზი პოეტის იაკობ (იაშა) თანდილავას ლექსების კრებული “მუზათა საუფლოში”. მართალია, წიგნი ცენტრის გამოცემული პირველი პოეტური კრებულია, მისი ავტორისთვის კი ეს რიგით მეოთხეა. გუშინდელ პრეზენტაციას ლაზი პოეტი იაკობ თანდილავაც ესწრებოდა.

ლაზებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ დანარჩენ ქართველებს შორის ურთიერთობას ხელს უწყობს ინტერნეტ-რადიოსადგური (www.kolkha.org), რომელიც გარკვეულ პერიოდში ლაზურ დიალექტზე მაუწყებლობს. იგივე პროგრამის მოსმენა საქართველოში ღამის საათებში “საპატრიარქოს რადიოს” ტალღებზეა შესაძლებელი. როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე ითქვა, ინტერნეტ-რადიო დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც თურქეთში, ისე გერმანიაში მცხოვრებ ლაზებს შორის. ამის ნათელი მაგალითი გუშინ რიწიდან ჩამოსული ლაზი ახალგაზრდა იყო, რომელმაც თბილისელ ქართველებს სწორედ ინტერნეტ-რადიოს მეშვეობით დაუკონტაქტა. ინტერნეტსაიტზე ასევე გამოტანილია სიმღერები (მათ შორის ლაზურიც), რომელთა გადაწერაც შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ცენტრის წარმომადგენელთა ინიციატივით, იაკობ თანდილავას ორ ლექსზე კომპოზიტორმა ნუნუ გაბუნიამ ორი სიმღერა დაწერა. ერთ-ერთი გუშინვე კომპოზიტორის შვილიშვილმა პრეზენტაციაზე უმღერა საზოგადოებას.

ახლადგამოცემული წიგნების წარდგენის შემდეგ პრეზენტაციაზე სპეციალისტებიც გამოვიდნენ. მათ ძირითადად, ლაზების ისტორიაზე და თანამედროვე თურქეთში მათ ყოფაზეც ისაუბრეს. კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის წამოწყება გუშინ ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსმა, მეუფე ანტონმა დალოცა.

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

შაბათს, 31 იანვარს, 17 საათზე წარმოგიდგენთ ანტიკური წიგნის დღეს. რომაელი პოეტის “კატულუსის 33 ლექსი” და “პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები” პრეზენტაცია.

“კატულუსის 33 ლექსი” მთარგმნელი – მანანა ღარიბაშვილი

“პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები” ავტორები – ნანა ტონია, ქეთევან ნადარეიშვილი

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

ჰარისონის ახალი კოლექცია



ხმისჩამწერი ფირმა "ქეპიტოლი" 24 თებერვალს ხელახლა გამოსცემს ჯორჯ ჰარისონის ექვს ალბომს. ერთ ყუთში მოქცეული კოლექცია, "The Dark Horse-ის წლები 1976-1992" ხუთ სტუდიურ და ერთ საკონცერტო ალბომს შეიცავს.

კომპლექტში შევა ალბომები: 33 1/3 (1976 წ.), “ჯორჯ ჰარისონი” (1979 წ.), Cloud Nine (1987 წ.) და იაპონიაში გამართული კონცერტის ჩანაწერი (1992 წ.), ასევე 75 წუთიანი DVD კლიპებით, ინტერვიუებითა და საკონცერტო ვიდეოკადრებით.

ბუკლეტისთვის სტატია ჰარისონის ქვრივმა ოლივიამ დაწერა. თითოეული ალბომი თავიდან არის გაფორმებული, ასევე დართული აქვს კომპოზიციები, რომლებიც თავის დროზე ორიგინალებში არ შესულა. ალბომი Live In Japan კი SACD-ის ფორმატზეა ჩაწერილი. გაყიდვაში იქნება როგორც მთლიანი კომპლექტი, ასევე ცალკეული ალბომები.

ამასობაში კი გამოდის მეორე ექს-ბიტლის რინგო სტარის “ცოცხალი” ალბომი. მისი გამოშვების ოფიციალური თარიღი 23 მარტია. ალბომში ძირითადად შარშანდელი ტურნეს დროს, ტორონტოს საკონცერტო გამოსვლებია შესული.

კვლავ პოეზია "ლიტერატურულ კაფეში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ცნობისთვის: თურმე, მწვანე ჩაი არსებობს ჟასმინის და ორგანული. იცოდით? მე - არა. ვინაიდან ჟასმინის გემოს დიდი მოყვარული არ გახლავართ, გადავწყვიტე, ორგანული მეცადა. ბევრი ვერაფერი შვილია. ჯერ არის და, პაკეტია, ანუ "უტოპლენნიკი", რომელიც ნდობას ისედაც არ იწვევს. გემოც საკმაოდ უგვანო ჰქონდა, ასეთ ნაყენს დედა ყელში მავლებინებდა ხოლმე, როცა ავად ვხდებოდი.

გვერდით მაგიდებთან მსხდომებს, ჩანს, ეს უკვე გამოცდილი ჰქონდათ, ამიტომ უფრო სიგარეტს ეძალებოდნენ და პოეზიაზე, პოლიტიკაზე, გრიპსა და მსგავსებზე საუბრობდნენ - ზანტად, აუჩქარებლად...

ყველა, ვისაც კი ოდესმე საზღვარგარეთ უცხოვრია, გაკვირვებას ვერ მალავს, როცა შუა კვირაში წიგნის პრეზენტაციაზე ან ვერნისაჟზე შუადღისას, ან თუნდაც საღამოს ხუთ საათზე პატიჟებენ. ნეტა, როდის მუშაობს ეს ხალხი? ხალხი კი ყოველთვის ბლომად ირევა - ვერნისაჟებსა და პრეზენტაციებზე, თორემ მერე არც გამოფენას ჰყავს ხოლმე დიდძალი დამთვალიერებელი, და არც კითხვას მოწყურებული საზოგადოება აცარიელებს წიგნის მაღაზიების თაროებს.

ნიკა ჭორჭანელი წიგნის პრეზენტაციაზე

გუშინ, "ლიტერატურულ კაფეში", როგორც წესი და რიგია, ხალხი იყო შეკრებილი. თავყრილობის მიზეზი პოეტი **ნიკა ჯორჯანელი** გახლდათ. მისი სახელი უკვე საკმაოდ ცნობილია, და მისი პოეზიის მოყვარულთაგან ვახუშტი კოტეტიშვილს დავასახელებ - ვგონებ, ეს თავისთავად მრავალზე მეტყველებს. "დიოგენეს" მიერ გამოცემული ნიკა ჯორჯანელის პირველი პოეტური კრებული, "განცდა ხავერდისგან", არ წამიკითხავს, მაგრამ ბატონ ვახუშტის გემოვნებაში ეჭვი არ მეპარება და დიდი სიამოვნებით გავუწევ ავტორს რეკლამას: იყიდეთ ნიკა ჯორჯანელის წიგნი!

გუშინდელ საღამოს პოეტი დავით მაღრაძე უძღვებოდა. მან ავტორი რამდენიმე სიტყვით გაგვაცნო და მისი ერთი ლექსიც წაიკითხა. შემდგომ ლექსებს უკვე თავად ნიკა კითხულობდა.

სულ მაინტერესებს ხოლმე - ნეტა, ასეთ დღეებში "ლიტერატურულ კაფეში" რამე მაინც იყიდება? რიგით მკითხველს, სულ თავი რომ მოეკლა, ზედა სართულზე ასვლის შანსი არ ექნებოდა - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მოყვარულები კიბეზე ისეთი რაოდენობით ისხდნენ, წიგნებამდე ასაღწევად თავზე თუ დააბიჯებდათ კაცი...

მორიგი ექსპორტი

ფრანგული ჰაუსის ლიდერი დი-ჯეი თბილისში

ვერა ნეფარიძე

“აჭარა მიუზიკ ჰოლი” აგრძელებს დი-ჯეების ექსპორტს. მორიგი სტუმარი კვლავ საფრანგეთიდანაა. ამაღამ აქ ფრანგული ჰაუსის კიდევ ერთი პიონერი დიდიე სინკლერი აჩვენებს საკუთარ ოსტატობას.

დი-ჯეი დიდიე სინკლერი

დიდიე სინკლერის სახით დღეს დი-ჯეის პულტთან მეტად გამოცდილ ოსტატს ვიხილავთ. ამ ადამიანს ტყუილად არ უწოდებენ ფრანგული ჰაუსის ერთ-ერთ პიონერს. დიდიე სინკლერმა თავისი კარიერა 1982 წელს მონპელიეს FM დიაპაზონის რადიოსადგურებზე დაიწყო. 1987-1991 წლებში იყო კლუბ Le Phebus-ის ადგილობრივი დი-ჯეი. სწორედ ამ კლუბში გახდა იგი ჰაუსის მიმდევარი.

ამის შემდეგ სინკლერი საცხოვრებლად გადადის პარიზში. 1992 წლიდან მუშაობას იწყებს წამყვანად რადიო FG-ში. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ის ერთადერთი რადიოსადგური იყო, რომელიც საეთერო დროს ელექტრონულ მუსიკას უთმობდა. ერთ წელიწადში სინკლერი რადიოსადგურის მუსიკალური რედაქტორი გახდა. პარალელურად, კი გამოუშვა პირველი მიქს-ალბომი სახელწოდებით Rave Action. ამ კომპილაციის მეორე გამოცემის 15 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა, რაც იმ დროისათვის აბსოლუტური რეკორდი იყო.

დიდიე სინკლერმა რადიოში მუშაობას თავი იმიტომ დაანება, რომ საკუთარი შემოქმედება მთლიანად ახლად დაარსებულ ხმისჩამწერ კომპანია Going Global Series-თვის (G.G.S) დაეთმო. სამი წლის განმავლობაში იგი კომპანიის მენეჯმენტსაც განაგებდა. სინკლერის ოსტატობის დასტურად 1997 წელს ჟურნალი Coda მას საფრანგეთის ნომერ მეოთხე დი-ჯეად ასახელებს. ამავე წელს იგი უბრუნდება რადიო FG-ს, რომელზეც 1998 წლიდან საავტორო პროგრამა მიჰყავს და აქვეყნებს კომპილაციას Dancefloor FG. მას შემდეგ ეს დი-ჯეი ერთმანეთს უთავსებს საკლუბო დი-ჯეისა და რადიოწამყვანის მოვალეობებს.

2000 წელს გამოვიდა დიდიეს კომპილაცია სახელწოდებით Lovely Flight, რომელიც 50000 ტირაჟით გაიყიდა. 2001 წელს სინკლერის ახალი სინგლი, ფაქტობრივად, ყველა მნიშნელოვანი ევროპული მუსიკალური არხის (MCM, M6, MTV, Viva +) ეთერში მოხვდა.

ამჟამად სინკლერი მუშაობს თავის პირველ სრულფასოვან პროდუქციაზე. ალბომის გამოცემა წლის ბოლომდეა დაგეგმილი და მასზე სინკლერთან ერთად DJ Chris Pi-ც თანამშრომლობს. დღემდე დიდიე სინკლერს ორი კომპაქტ-დისკი, რამდენიმე ვინილისა და რემიქსების სამი კრებული აქვს გამოცემული.

მზე შინა და მზე გარეთა...

გამოფენა № 244 "ამჭერად გრაფიკა"

ნათია ვადაჭკორია

ზამთარი თითქმის გაილია, გაზაფხული ნელ-ნელა იღვიძებს, ჰაერშიც იგრძნობა უკვე გაზაფხულის სურნელი, ტემპერატურაც საკმაოდ მაღალია.

გალერეა "ჰობის" ორივე საგამოფენო დარბაზშიც ამაღლებული განწყობაა; გალერეას რიგით 244-ე, სახელწოდებით – "ამჯერად გრაფიკა" – გამოფენა ფერმწერ– გრაფიკოსთა – ავთო ვარაზის, ირაკლი ფარჯიანის, სერგო ქობულაძის, თამარ აბაკელიას, ელენე ახვლედიანის, კირილ ზდანევიჩის, დავით კაკაბაძის, კოკა იგნატოვის და სხვათა შედევრებითაა გაჯერებული. სხვა სახელს ვერც დაარქმევ ელენე ახვლედიანის "სახურავებს", ძველი თბილისის განუმეორებელი კოლორიტის ასახვას, ხომ მხატვარმა მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

"თამრიკო ხუნდაძის პორტრეტი", "ქალიშვილის თავი", "ნატურმორტი", "რთველი", "პეიზაჟი", "მოგონებები", "ანტიკური მოტივი" – ამ სახელწოდების ნამუშევართა ავტორების გვერდით ნინო ზაალიშვილის, გია მირზაშვილის, ლევან ჭოლოშვილის, ნიკო ცეცხლაძის და სხვა ხელოვანთა ნამუშევრები გვიმზერენ.

მოკლედ, გამოფენაზე გასული საუკუნის დასაწყისიდან, თანამედროვე თაობამდე გრაფიკოსთა ნამუშევრებია წარმოდგენილი. გალერეის დირექტორის ვანდა მუჯირის თქმით, გამოფენაზე სრულიად ახალგაზრდა ანუ 40 წლამდე ასაკის მხატვრები არ არიან წარმოდგენილნი, რადგან ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახლავან და მომავალში მათთვის ცალკე გამოფენის მოწყობაა გათვალისწინებული.

გამოფენაზე ხალხმრავლობა იყო.

REUTERS

უნდა ითქვას, რომ ვანდა მუჯირის იდეა – სახვითი ხელოვნების ეს უმნიშვნელოვანესი სფერო, რომელსაც გრაფიკა ჰქვია, მაქსიმალურად ყოფილიყო წარმოდგენილი - სრულყოფილად განხორციელდა.

გამოფენის ერთ-ერთ მონაწილის – ნინო ზაალიშვილის აზრი კი ასეთია: **"გრაფიკა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ახლა ფერწერის ბუმია, ალბათ, შემდეგ ქანდაკების მიმართ გაჩნდება დიდი ინტერესი. თუმცა, გრაფიკისადმი ინტერესი ყოველთვის უნდა იყოს. ერთ ხაზს, ან ერთ წერტილს, რომელიც გრაფიკოსის მიერაა შექმნილი, მაყურებელში არაჩვეულებრივი ფანტაზიის გაღვივება შეუძლია. თუკი ფერწერაში ყველაფერი დასრულებულია და ფანტაზიაც არ გვჭირდება, გრაფიკაში, მაყურებელი და ხელოვნების დამფასებელი, მხატვრის ნამუშევრების თანამონაწილე ხდება, რაც ძალიან ამდიდრებს მაყურებლის სულს. მიხარია, რომ აქ წარმოდგენილი არაჩვეულებრივი ავტორების გვერდით, მეც მოვხვდი. ვანდა მუჯირს, ყოველთვის მშვენიერი გამოფენის მოწყობის უნარი აქვს".**

გამოფენის თვალიერებისას, მაყურებელთა შორის მსახიობ მურმან ჯინორიას მოვკარი თვალი და მეც შემთხვევა არ გავუშვი ხელიდ, ან გამეგო როგორი შთაბეჭდილებებით აღივსო ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენელი. **"შინაურულად მეც ვხატავ, მაგრამ აქ წარმოდგენილ ნამუშევრებთან ნამდვილად ვერ მოვალ. ბგერის ანუ მუსიკის შემდეგ, ალბათ, მხატვრობა პირველია, რომელიც ადამიანზე ზემოქმედებს. ეკლესიაში შესვლისას, გარდა იმისა, რომ სიტყვას ვისმენთ, გალობა გვესმის, ფრესკებს და ხატებს ვეზიარებით. ხელოვნების ეს ფენომენი, ალბათ, ადამიანზე, მის ფანტაზიაზე და წარმოსახვაზე განსაკუთრებით ზემოქმედებს. ღმერთს ფიზიკურად ვერ ვეხებით, მხოლოდ სულიერად ვუახლოვდებით. სწორედ მხატვრობაა ის ხიდი, რომელიც ღმერთთან მიგვაახლოვებს. დიდებული გამოფენაა."**

მაშ ასე, თუ გსურთ დიდებული გამოფენა დაათვალიეროთ, ნახოთ, რა კეთდებოდა გრაფიკაში გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ესტუმრეთ გალერეა "ჰობის" 20 თებერვლამდე.

გაეროს შტაბ-ბინა - გადასალები მოედანი

ნიკოლ კიდმანი და შონ პენი დიდი ნოვაციის მთავარი გმირები გახდნენ. ისინი ითამაშებენ ფილმში, რომლის გადაღებებიც გაეროს მთავარ შტაბ-ბინაში, ნიუ იორკში გაიმართება.

მსგავსი რამ კი ისტორიაში პირველად ხდება. გაეროს მიმდებარე ტერიტორია ხშირად ქცეულა გადასაღებ მოედნად, მაგრამ არც ერთ რეჟისორს არ მიუღია შენობის შიგნით ფილმზე მუშაობის უფლება. გაეროს წარმომადგენლის მერი ოკაბის თქმით, კოფი ანანმა მრჩევლებთან ერთად ყურადღებით განიხილა რეჟისორ სიდნეი პოლაკის თხოვნა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ მათ ინტერესებშიც შედის კინომაყურებლისთვის გაეროს საქმიანობის გაცნობა. ასე მოიპოვა პოლაკმა ნებართვა ფილმზე, რომელიც რამდენიმეწლიანი ინტერვალის შემდეგ მისთვის პირველი იქნება.

"მთარგმნელი" ტრილერია. ნიკოლ კიდმანი ასრულებს კენიაში დაბადებული თარჯიმნის როლს, რომელიც გაეროში მსახურობს. ერთხელაც ის შემთხვევით მოჰკრავს ყურს, რომ იგეგმება ერთ-ერთი აფრიკული ქვეყნის ლიდერის მოკვლა. ამის შემდეგ კიდმანის გმირი თვითონაც დევნის ობიექტი ხდება. თუმცა, არ შეშინდება და გადაწყეტს, სიკვდილისგან იხსნას მიზანში ამოღებული აფრიკელი. ჯერჯერობით, უცნობია, გამოჩნდება თუ არა ფილმში კოფი ანანი ან გაეროს რიგითი მუშაკები. "ჩვენი მიზანია, გაეროს შესახებ ადამიანებს მეტი ინფორმაცია მივაწვდინოთ. გვსურს, გავაქარწყლოთ ის იდუმალების მითი, რაც გაეროს შესახებ არსებობს და გავაგებინოთ საზოგადოებას, თუ რას ნიშნავს საერთოდ გაერო, როგორ მუშაობს ის და რა მნიშვნელობა აქვს", - აცხადებენ ანანის მრჩევლები.

ნიკოლ კიდმანი, როგორც თარჯიმანი

REUTERS

თუმცა, ასეთ დადებით დამოკიდებულებას კინემატოგრაფის – ამ პოპულარული მედიუმის მიმართ, გაერო პირველად ამჟღავნებს. პოლაკამდე თითქმის ყველა რეჟისორი გაეროს ხელმძღვანელობამ უარით გამოისტუმრა. 1959 წელს ალფრედ ჰიჩკოკსაც უცდია ბედი ფილმის North by Northwest გადაღებისას, მაგრამ არ გაუმართლა. 1997 წელს ნიკოლ კიდმანი და ჯორჯ კლუნი თამაშობდნენ ფილმში Peacemaker, რომელშიც გაეროზე მზადდებოდა ტერორისტული აქტი. თუმცა, გადაღებები მხოლოდ გაეროს შენობის გარეთ, მთავარ ავენიუზე წარიმართა.

ასე რომ, სიდნეი პოლაკი რეჟისორის პულტს უბრუნდება – მას ხომ 1999 წელს გამოსული Random Hearts-ის (ჰარისონ ფორდი, კრისტინ ტომას სკოტი) შემდეგ ფილმი არ გადაუღია. პოლაკი ასევე პირველი რეჟისორიც გახლავთ, რომელიც გაეროში პროფესიული მიზნებით შეაბიჯებს. გადაღებები მარტში იწყება.

ათეულები

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

დასახელება	ავტორი	გამომცემლობა	რეიტინგი
ჯ.კ. როულინგი	"ჰარი პოტერი და სიბრძნის ქვის საიდუმლო ოთახი"	"მაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	28
გაზეთი	24 საათი/წიგნები		18
ლაშა გაბარაია	"99 და ვრთი"	"ბიზნეს-კურიერი"	10
მაგონა	"ანგელოზის ეარდები"	"არეტე"	4.8
ლაშა ბუღაძე	"შესაშე სართული"	"არეტე"	3.6
ჟურნალი	"არილი"		2.8
მაგონა	"მისტერ პიბოდის ეაშლები"	"არეტე"	2.4
ჟურნალი	"პოროსკოპი"		2
გოგურძი ჩიხელი	მოთხრობები	"მარმი"	1.6
ამები გრომები	ზღაპრები	"ნაკადული"	1.6

საუკეთესო ალბომები ბრიტანული ჩარტების მიხედვით

შემსრულებელი	სათაური	ნინა კვირის პოზიცია
ჭეთ მელუა	Call Off The Search	4
დაიდო	Life For Rent	1
"ბლექ აიდ ფრ"	Elephunk	3
უიდ იანგი	Friday's Child	2
Evanescence	Fallen	5
Tears For Fears	Tears Roll Down - Greatest Hits 82-92	6
"ნოუ დაუთ"	The Singles 1992-2003	11
"აუთქასთი"	Speakerboxxx/The Love Below	8
მაიდლ ჯექსონი	Number Ones	7
"რედ ჰოტ ჩილი პეპერსი"	Greatest Hits	13

ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

ფილმი	რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
"პეპლის ეფექტი"	ერიკ ბრესი, მაქკი გრუბერი	ეშტონ კუჩერი, ემი სმარტი	17,865,227	17,865,227
"ბრუს პოლი გამოწვდა"	ჯიმ აბრაჰამსი	ბენ სტილერი, ჯენიფერ ანისტონი, ედვარდ ბოლდერი	16,352,625	53,263,615
"მოიპოვე პაემანი ტედ პიჩლტონის!"	რობერტ ლუკეტიჯ	კეით ჰოსუორტი, ჯიმ გუპარელი	7,320,066	7,320,066
"დიდი თევზი"	ტიმ ბარტონი	ევან მაკგრეგორი, ალბერტ ფინი, ჯესიკა ლანგი, დენი დე ვიტო	7,110,138	48,934,111
"მეძუძუის მბრძანებელი მეფის დაბრუნება"	პიტერ ჯექსონი	ელაია ვუდი, სერიან მაკკელენი, ორლანდო ბლუმი, ვიგო მორტენსენი, დენე ტაილერი, კეით ბლანშეტი	6,785,756	337,817,998
"დენიელ იფი"	მოს ლეიჯი	სტუ ბარტონი, ბონი პიენტი	6,381,508	122,533,720
"ციკი მოს"	ეშტონი მიჩელი	ნიკოლ კიდმანი, ჯენე ლოუ, რენე ზელვეგერი	5,004,505	72,570,380
Torque	ჯოზეფ კანი	მარკუს პენდერსონი, ჯეიმი პრესლი, აის კუბი	4,492,005	17,278,318
Something's Gotta Give	ნენსი მეიერსი	დიანე კიტონი, ჯეკ ნიკოლსონი, კეშუ რივზი	4,017,673	107,854,377
"იდუმალი მდინარე"	კლინტ ისტვუდი	შონ პენი, კევინ ბეიკონი, ლორენს ფიშბერნი, კლინტ ისტვუდი	3,368,197	58,766,374

ფეხბურთი

ბურდული - კიევში, ნემსაძე თბილისში

"დინამო" დასუსტდა და გაძლიერდა

"დინამოში" ცვლილებაა - ბურდულის ნაცვლად ნემსაძე ითამაშებს.

მიხეილ აბაიშვილი

ალექსანდრე ამისულაშვილმა კიევის "დინამოსთან" უკვე გააფორმა 5-წლიანი კონტრაქტი და თავის ახალ გუნდში ძველი, 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ კიევში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი მიემგზავრება კონტრაქტის გასაფორმებლად. როგორც თბილისის "დინამოს" პრეს-ატაშე, ლევან სალუქვაძემ გვამცნო, მოსკოვში, თანამეგობრობის თასის ტურნირზე ბურდული კიეველებს ისე მოსწონებიათ, რომ ყოველგვარი სინჯების გარეშე კონტრაქტს უფორმებენ. ქართველი შემტევი ნახევარმცველი ხვალ მიემგზავრება უკრაინის დედაქალაქში, სადაც ტესტირებისა და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ კონტრაქტზე ხელს მოაწერს და ახალ გუნდთან ერთად გაემგზავრება ესპანეთში, სადაც კიეველები საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებენ. ჯერ უცნობია, თუ რა ვადით გაფორმდება ხელშეკრულება კიევის "დინამოსა" და ბურდულს შორის.

ამისულაშვილის, დარასელიასა და ბურდულის წასვლით საქართველოს ჩემპიონს, მართლაც, დიდი ძალა მოაკლდა. "დინამოს" გულშემატკივრებმა მხოლოდ იმით შეიძლება ინუგეშონ თავი, რომ გუნდში ბრუნდება თურქეთ-შვეიცარიაშოტლანდიამოვლილი გიორგი ნემსაძე. "დინამოსთან" მისი ახალი კონტრაქტის დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: საქართველოს ნაკრების კაპიტანი სეზონის ბოლომდე თბილისში ითამაშებს.

როდესაც ბურდული კიევში გაემგზავრება, არც დანარჩენი დინამოელები დარჩებიან თბილისში. 1 თებერვალს გუნდი საწვრთნელ შეკრებაზე წავა კვიპროსის ქალაქ აიანაპაში, სადაც 3 კვირით 4-ვარსკვლავიან სასტუმრო "მელისში" დაბინავდება. ივო შუშაკმა კვიპროსზე გასამგზავრებლად 21 ფეხბურთელი შეარჩია: გვარამაძე, ზოიძე, მამალაძე, კაშია, ხმალაძე, ექონია, შაშიაშვილი, კანდელაკი, წერეთელი, კარლოს და როჩა, კვირკველია, ნემსაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ჩიტაია, სახვაძე, მელქაძე, ახალაია, ალექსიძე, ბობოხიძე, იაშვილი.

TV-სპორტი

შაბათი. 31 იანვარი

НТВ+ ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" – "შალკე"
15:10 "ექსპერტიზა"
15:40 "FUTBOL MUNDIAL"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "საუთჰემპტონი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ლაციო" – "ჩელსი"
22:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:10 "დარტყმა გოლისთვის"
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "ბრეშა" – "რომა". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები – ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "ინდეპენდენტე მედელინი" (კოლუმბია) – "გრემიო" (ბრაზილია)

НТВ+СПОРТ
11:00, 13:45, 17:15, 21:00 პრესცენტრი
11:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში
14:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ვაჟები
16:30 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
17:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
18:00 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
18:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "MEMPHIS GRIZZLIES" - "UTAH JAZZ"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ვაჟები. სწრაფდაშვება
22:30 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ქალები. სწრაფდაშვება
23:30 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. პირველი ნაწილი
01:00 ახალი ამბები
01:15 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
01:45 "ყინულის ხანა". გადაცემა ჰოკეიზე
02:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
02:55 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
09:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
11:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი იტალიაში
12:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
13:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი იტალიაში
14:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
15:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
17:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
19:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
20:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
21:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
23:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი

სუპერმეკარის სიხარული და სუპერპიპოს დაბრუნება

ფრთხილად ფორვარდებო! ბუფონი საუკეთესოა.

ნინო პირველი

ეს ორი მოვლენა ერთმანეთს დაემთხვა - ტურინის "იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. "მილანის" თავკაცს, კარლო ანჩელოტის კი, როგორც იქნა, დაუბრუნდა თავისი საყვარელი ფორვარდი ფილიპო ინძაგი, რომელიც კარგა ხანს ტრავმირებული იყო. სხვათა შორის, მილანელები ელოდნენ, რომ გასული წლის საუკეთესო მეკარე მათი ბრაზილიელი გოლკიპერი გახდებოდა, მაგრამ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტმა, რომელიც წინა წლებში ამ წოდებას ულაპარაკოდ ანიჭებდა ხოლმე მიუნხენის "ბაიერნის" კაპიტანს, ოლივერ კანს, მილანელ დიდას ტურინელი ჯიჯი ბუფონი არჩია. არადა, კაცმა რომ თქვას, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დიდას კარგი თამაში რომ არა, იქნებ "მილანი" ვერც გამხდარიყო ჩემპიონთა თასის მფლობელი. იმ მატჩში ბრაზილიელმა მეკარემ პირადი დუელი დიდი ანგარიშით მოუგო "იუვეს" და "სკუადრა აძურას" გოლკიპერს, რომელმაც მხოლოდ ორი პენალტის აღება შეძლო. დიდა საუკეთესო მეკარეების სიაში მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა 99 ხმით. ბუფონმა 186 ხმა მიიღო, მადრიდის "რეალის" გოლკიპერს, იკერ კასილასს 112 ხმა ერგო, 2002 წლის გამარჯვებულმა ოლივერ კანმა კი 106 ხმით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ეს გამარჯვება ჯანლუიჯი ბუფონისთვის ორმაგად სასიხარული გახლდათ, რადგან 28 იანვარს "იუვეს" მეკარეს დაბადების დღე ჰქონდა - 26 წლის გახდა. ამაზე უკეთეს საჩუქარს, ალბათ, ვერც ინატრებდა. კაცმა რომ თქვას, ცოტა უცნაურიც კია, რა ნიშნით გამოარჩია ბუფონი ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტმა. გასულ სეზონში "იუვეს" კარის დარაჯის ანგარიშზე 23 გაშვებული გოლია სერია ა-ში. 1996-97 წლებში, როცა სრულიად ახალგაზრდა ჯიჯი "პარმაში" თამაშობდა, კლუბის ხელმძღვანელობამ ის ოცდაშვიდჯერ დააყენა ძირითად შემადგენლობაში და ბუფონი მხოლოდ ჩვიდმეტჯერ შეცდა. მიმდინარე სეზონში "იუვეს" მეკარეს უკვე ოცდაერთი ბურთი გაუტანეს სერია ა-ში და ოთხი ჩემპიონთა ლიგაში. როგორც ხედავთ, ბუფონი, კანისგან განსხვავებით, გოლის გაუშვებლობის რეკორდებს ვერ ამყარებს, მაგრამ სამაგიეროდ, სახიფათო მომენტების განეიტრალებაში ბადალი არ ჰყავს. გავიხსენოთ თუნდაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი, როცა ბუფონმა ლუიშ ფიგუს დარტყმული თერთმეტმეტრიანი მოიგერია და "იუვემ" "რეალი" უცერემონიოდ მიაბრძანა ლიგიდან, ანდა დრამატული მატჩი ბარსელონას "კამპ ნოუზე", რომელიც "იუვემ" ათი კაცით მოიგო. ბუფონი 1999 წლიდან იბრძოდა ამ წოდებისთვის. მაშინ მას მეხუთე ადგილი მიაკუთვნეს, 2000 წელს მეათე იყო, 2001 წელს - მესამე, 2002-ში ისევ მეხუთე გახდა, 2003-ში კი, როგორც იქნა, მისი დროც დადგა. ბუფონის წარმატებამ იტალიელები ძალიან გაახარა. უკვე თორმეტი წელია, იტალიას მსოფლიოს საუკეთესო მეკარე აღარ ჰყოლია. უკანასკნელად ამ ტიტულს ვალტერ ძენგა ფლობდა 1991 წელს. მოკლედ, "იუვენტუსს" შეუძლია იამაყოს, რომ მის სიმშვიდეს მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერი იცავს...

"იუვესგან" განსხვავებით, "მილანს" არ გაუმართლა. როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდა ვერ გახდა საუკეთესო, მაგრამ სამაგიეროდ, კარლო ანჩელოტის სულ სხვა რამით შეუძლია თავის მოწონება ტიფოზებისა და ჟურნალისტების წინაშე: მისი გუნდი ხომ უკვე პირველ ადგილზეა იტალიის ჩემპიონატში. მას შემდეგ, რაც "მილანმა" "სიენასთან" გადადებული მატჩი წარმატებით დაასრულა და სერია ა-ს ლიდერი გახდა, ბერლუსკონის კლუბისთვის თითოეულ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა მიეცა. ბოლოს და ბოლოს, "მილანი" ხომ მხოლოდ ორი ქულით უსწრებს "რომას". ასეთ სიტუაციაში ფილიპო ინძაგის დაბრუნება სასიხარულოც არის და, ამავე დროს, პრობლემურიც. "მილანს" ოთხი შესანიშნავი ფორვარდი ჰყავს და კარლო ანჩელოტის აუცილებლად მოუწევს, რომელიმე მათგანს გული დაწყვიტოს. მიმდინარე სეზონში "სუპერპიპო" მაინცდამაინც ვერ ბრწყინავს. გასულ წელს მან 17 გოლი გაიტანა სერია ა-ში, ამ სეზონში კი მხოლოდ ორი. ეს მაშინ, როცა ანდრეი შევჩენკომ უკვე თხუთმეტჯერ მოასწრო მეტოქე გუნდების მცველებისა და მეკარეების გამწარება და სერია ა-ს საუკეთესო ბომბარდირად იქცა., ბრაზილიელმა კაკამ შვიდჯერ გამოიჩინა თავი, დანიელმა იონ დალ ტომასონმა კი - ხუთჯერ. ინძაგი ამ სიაში ბოლო ადგილზეა. ვინც ამბიციურ პიპოს იცნობს, ყველა მიიჩნევს, რომ ის ამ ამბავს ასე იოლად არ შეურიგდება. შევჩენკოს ვერავინ წაართმევს ადგილს ძირითად შემადგენლობაში - ეს დღესავით ნათელია. პოპულარობისა და ფორმის შესანარჩუნებლად "სუპერპიპოს" კაკას და ტომასონის კონკურენციის დაძლევა სჭირდება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინძაგიმ კარლო ანჩელოტი უნდა დაარწმუნოს, რომ კვლავაც იმსახურებს ნდობას...

ეგზოტიკა

როგორ ვითამაშოთ ბოულინგი?

ბოულინგცენტრი სტუმრებს ელოდება.

გიორგი ბაბიაშვილის ფოტო

ბოლო ასწლეულის მანძილზე ბოულინგის სათამაშო მოწყობილობას პრაქტიკული ცვლილება აღარ განუცდია და მისი ტექნიკური მახასიათებლები ასეთი სტანდარტებით ჩამოყალიბდა:

ბოულინგის ბილიკების სიგრძეა: 18, 3 მ

სიგანე: 1,7მ

კეგლის სიმაღლე: 38,1 მ და წონა: 1,53კგ-1,64კგ

კეგლების წყობა - პირამიდისებრი განლაგება

ბურთები დანომრილია წონის მიხედვით. ყველაზე მსუბუქი ბურთი, N8 იწონის 3,6კგ-ს, ხოლო მაქსიმალური ზომაა N16, წონით 7,2კგ.

მსუბუქი ბურთებით თამაში, ანუ N8-9 რეკომენდებულია ქალებისა და ბავშვებისთვის, ხოლო მძიმე ბურთები N10-ს ზევით – მამაკაცებისთვის. ბურთის წონა უნდა შეესაბამებოდეს სხეულის წონას, რადგან სხვაგვარად კარგი შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც მძიმეწონიანი ბურთის გაგორებას ცდილობს გამხდარი მოთამაშე, მას ბურთი ხელიდან უვარდება, ის კარგავს ტრაექტორიას და გაურკვეველი მიმართულებით გორდება ბილიკზე. შედეგიც, შესაბამისად, არაადეკვატურია. ასევეა, როცა ჯანღონიანი მამაკაცი გადაწყვეტს მსუბუქი ბურთის სროლას. იდეალურ შემთხვევაში მოთამაშის წონის შესაფერისი ბურთი უნდა გასრიალდეს ბილიკზე მონიშნული ისრის მიმართულებით. ასეთ ისრებს სამიზნეებს უწოდებენ. მოთამაშემ სწორედ ის უნდა მიიჩნიოს ორიენტირად და წააქციოს ბილიკის ბოლოში სამკუთხა ფორმით დაწყობილი 10 კეგლი. წაქცეული კეგლების რიცხვი აღირიცხება როგორც ქულა. ერთი გაგორებით 10-ვე კეგლის წაქცევა არის ე.წ. "სთრაიქი" ანუ წარმატებული შედეგი. ქულების დათვლის სისტემა მცირეოდენ განმარტებას მოითხოვს. სახელდობრ, ერთი თამაში ანუ გეიმი შედგება 10 ფრეიმისგან (ჩარჩო). ყოველი ფრეიმი კი დაყოფილია ორად, რაც ნიშნავს 2 მცდელობას მიზნის მისაღწევად ანუ 10 კეგლის წასაქცევად. ვთქვათ, ერთი გაგორებით წაიქცა 7 კეგლი და მეორე მცდელობაზე - დარჩენილი 3 კეგლი, ანუ ჯამში 10-ვე კეგლი წაქცეულია. ეს მოიხსენიება როგორც "სფერა" (რეზერვი). სთრაიქის შემთხვევაში 10 ქულას ემატება მომდევნო 2 გაგორების ჯამი და ეს რიცხვი ორმაგდება, რადგან უშუალოდ შემდგომ ფრეიმშიც იწერება, სფერის დროს კი წინა შედეგს ემატება მხოლოდ მომდევნო ფრეიმის პირველი გაგორების შედეგი. ერთ თამაშში დაგროვილი მაქსიმალური ქულაა 300. ჩვენი საკლუბო რეკორდი ქალებს შორის არის 256, ხოლო მამაკაცებს შორის 267. თამაშის დროს წარმატების მისაღწევად საჭიროა საწყისი პოზიციის შერჩევა და ბურთის მოხერხებულად დაკავება. ყველა ამ ნიუანსის დახვეწა შესაძლებელია ბოულინგცენტრში, ინსტრუქტორის მეთვალყურეობით.

ამიტომ, თუ თქვენ დამწყები მოთამაშე ხართ გახსოვდეთ, რომ აუცილებელია:

ბოულინგის სათამაშო ფეხსაცმლის ჩაცმა;

ბურთის შერჩევა სხეულის წონის შესაბამისად;

ბურთის დამაბრუნებელი მექანიზმიდან ზედმეტი ბურთების მოცილება;

ბურთის გაგორება ბილიკზე არსებული ისრის მიმართულებით;

საჭირო რჩევის მიღება ინსტრუქტორის ან ოპერატორისგან

ბოულინგცენტრი გაფრთხილებთ, რომ ამ წესების დაცვა მიზანშეწონილია სასურველი შედეგის მისაღწევად და თამაშით მიღებული ხალისიანი განწყობის შესანარჩუნებლად.

ბოულინგი ხომ, მართლაც, აზარტული თავშესაქცევი და, ამავდროულად, სპორტის სახეობაა.

ინფოთეკა

ფეხბურთი. იტალიური "მილანის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდის ქართველი მცველი, კახა კალაძე 2004-2005 წლების სეზონშიც "მილანის" ღირსებას დაიცავს. მიმდინარე სეზონი კალაძისთვის წარუმატებლად დაიწყო. შემოდგომაზე მიღებულ ტრავმას კიდევ ერთი დაემატა და ის ჯერაც ვერ ახერხებს მინდორზე დაბრუნებას. თანაგუნდელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კალაძეს. ჯუზეპე პანკაროთი, რომელიც ამჟამად სწორედ კახას პოზიციაზე თამაშობს, "ბრეშას" კარში გატანილი გოლი სწორედ ქართველ თანაგუნდელს მიუძღვნა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "ჩელსის" იტალიელმა მწვრთნელმა, კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ მას რვა ფეხბურთელი აკლია და რომ კლუბის მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს კვლავაც მოსთხოვს მაღალი დონის მოთამაშეების შეძენას. "აბრამოვიჩი ძალიან ამბიციურია. მას სურს, რომ "ჩელსი" მადრიდის "რეალის" დონის კლუბი გახადოს. ამისთვის კი უმაღლესი დონის 22 მოთამაშეა საჭირო. მე უკვე მყავს 14 ასეთი ფეხბურთელი, მაგრამ თითოეულ პოზიციაზე ორორი ვარსკვლავი მჭირდება", - ამბობს რანიერი.

■ ■ ■

ფეხბურთი. საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი, ჯიბრილ სისე, ალბათ, ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩება. პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ მატჩში ჩხუბისთვის ფიფა-მ მას ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. სისეს მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი კი ფიფა-მ არ განიხილა. ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში, ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით მატჩებამდე ვერ შეძლებს თამაშს. საეჭვოა, რომ ნაკრების ხელმძღვანელობა სისეს ერთი ან ორი მატჩის სათამაშოდ წაიყვანს პორტუგალიაში.

■ ■ ■

ფეხბურთი. პერუელი თავდამსხმელი ნორბერტო სოლანო "ნიუკასლიდან" ბირმინგემის "ასტონ ვილაში" გადავიდა. კონტრაქტის თანახმად, თავის ახალ კლუბში სოლანო 2,5 წელიწადს ითამაშებს. სოლანოს სანაცვლოდ "ასტონ ვილამ" 1,5 გირვანქა გადაუხადა "ნიუკასლს".

■ ■ ■

ფეხბურთი. პოლ გასკოინი ავტოავარიაში მოყვა. გასულ ხუთშაბათს ინგლისის ჩრდილოეთით, საკუთარ სახლთან ახლოს, გასკოინი სატვირთო მანქანას დაეჯახა. გასკოინის კუთვნილი "ბმვ" ნაკუწებად დაიშალა, თუმცა, თავად ფეხბურთელი საღ-სალამათი გადარჩა. როდესაც ექიმებმა მანქანა ნახეს, თქვეს, რომ გასკოინი სასწაულებრივად გადარჩა. ფეხბურთელს უკვე აუღეს ანალიზები სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზე, თუმცა, პასუხი ჯერ უცნობია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანური "მარკა" იუწყება, რომ მომავალ ზაფხულს "ბარსელონა" თავის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელებთან განშორებას გეგმავს. კატალონიელები გუნდიდან გაშვებას უპირებენ პატრიკ კლუივერტს, მარკ ოვერმარსს, გილიპ კოკუს, მიხაელ რაიციგერს, რუშთუ რეჩბერს, ლუის ენრიკეს, ჯოვანი ვან ბრონხორსტს და ჟერარდს. ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ "ბარსელონა" სილვიენ ვილტორდის, კევინ კურანეს, ილდირაი ბასთურქის, დიდიე დროგბასა და არიენ რობენის შეძენას გეგმავს.

■ ■ ■

ფორმულა 1. "უილიამსის" გერმანელი პილოტი, რალფ შუმახერი საავადმყოფოში მოხვდა. მუცლის არეში ტკივილის გამო ის არ გაემგზავრა ვალენსიაში, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო საცდელ რბოლებში. ზალცბურგის საავადმყოფოში მისული შუმახერი იმავე დღეს დააბრუნეს სახლში. მუცლის ტკივილი რაიმე სერიოზული მიზეზით არ ყოფილა გამოწვეული.

■ ■ ■

ფორმულა 1. მიხაელ შუმახერმა განაცხადა, რომ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში მისი ძირითადი კონკურენტი შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი იქნება. "წინა სეზონი მან წარუმატებლად ჩაატარა, თუმცა, მას მე ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. მიმაჩნია, რომ სწორედ ის იქნება ჩემი უპირველესი კონკურენტი", - ამბობს შუმახერი.

■ ■ ■

კრივი. მაიკ ტაისონმა ახალ პრომოუტერთან დაიჭირა საქმე. ამიერიდან მისი პარტნიორი სახელგანთქმული მურად მუჰამედი იქნება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება "რკინის მაიკისა" და ირლანდიელი კევინ მაკბრიჯის ბრძოლის ორგანიზებასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ეს მატჩი 8 მაისს, იტალიაში გაიმართება. 27 წლის ტაისონი, თითქმის უკვე წელიწადია, არ გასულა რინგზე.

რაგბი

მებრძოლი პრეზიდენტი

პაატა თოთაძე

ბიძინა გეგიძემ ქართული სარაგბო საზოგადოების ერთ ნაწილს იმედი გაუცრუა – გუშინ მედიასთან შეხვედრისას რაგბის კავშირის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს და ბრძოლას აგრძელებს.

"ბევრი რამ მაქვს მოსაფიქრებელი. დღეს დავჯდები ჩემს მეგობრებთან ერთად, ყველაფერს გადავწვეტ და ორ-სამ დღეში სახალხოდ მოგახსენებთ, თუ რას ვაპირებ", - ასე დაშორდა გეგიძე რამდენიმე დღის წინათ ყრილობის მონაწილეებს. ბევრმა ეს განცხადება ისე აღიქვა, თითქოს გეგიძე თანამდებობის დატოვებას აპირებდა, თუმცა, გაუგებარია, რატომ უნდა მოსვლოდა პრეზიდენტს თავში ასეთი გადაწყვეტილების მიღება. თანაბრად გაიყო ხმები თუ კიდევ სხვა რამეებიც მოხდა, პრეზიდენტად ბიძინა გეგიძე დარჩა. პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი ის იყო, რომ გეგიძის მმართველობის პერიოდში ეროვნული ჩემპიონატის დონე დაეცა, თანაც, პრეზიდენტი სუფთად არ მუშაობდაო. ზოგმა ისიც კი თქვა, ყველაფერი ვიცით, მაგრამ ხმამაღლა არ ვიტყვითო. თუ ის იციან, რომ ეს კაცი ქართული რაგბის, მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და მის ხელში რაგბის მომავალი არ ექნება, რატომ არ ამბობენ? რაგბის სამყარო ერთი ოჯახია და ოჯახში გავარჩევთ საქმეებსო, ამტკიცებენ. გუშინაც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ: ვინ დააკანონა, რომ რაგბი მხოლოდ მათი ან, საერთოდ, კონკრეტულად ვინმესია? ქართული რაგბი ქართველი ხალხისაა და თუ რამ კარგი ან ცუდი ხდება, ყველას აქვს უფლება, იცოდეს. ასე რომ, თუ ვინმეს რამის თქმა უნდოდა, ეთქვა, ხელს არავინ უშლიდა, ან ახლა თქვას. თუ არადა, ამოუდგეს გვერდში გეგიძეს და საერთო საქმე აკეთოს. რაც არ უნდა ითქვას გეგიძეზე, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ფაქტია, რომ ქართული რაგბი მსოფლიომ მისი მმართველობის დროს გაიგო და ამას ვერავინ გაექცევა.

ბიძინა გეგიძე რჩება და ბრძოლას აპირებს.

ბერიძის პირადი ფოტო

"მე გავაგრძელებ ბრძოლას, რათა სახელმწიფოს დამოკიდებულება შევაცვლევინო რაგბის მიმართ, რათა ეს დამოკიდებულება და მხარდაჭერა სხვა რანგში ავიდეს...

მე გავაგრძელებ ბრძოლას, რათა რაგბის საერთაშორისო საბჭოს დამოკიდებულება ჩვენდამი სხვა რანგში ავიდეს...

მე გავაგრძელებ ბრძოლას, რათა საროგბო საზოგადოებამ გაერთიანებული ძალით დაძლიოს არსებული პრობლემები", - განაცხადა გეგიძემ.

მისი თქმით, რაგბისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება უახლოეს მომავალშია შესაცვლელი, რათა სპორტის ეს სახეობა განვითარდეს. ბევრი რამ სწორედ ამ დამოკიდებულების შეცვლაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტის განცხადებით, საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ როგორ, რა თანამდებობაზე გააგრძელებს ქართული რაგბის დახმარებას, სახელმწიფოზეა დამოკიდებული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რაგბისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების არშეცვლის შემთხვევაში პრეზიდენტი თანამდებობას დატოვებს? გეგიძემ ამ კითხვას პირდაპირ არ უპასუხა. მისი თქმით, დღეს იმაზე გაციებით დიდი პრობლემებია გადასაჭრელი, ვიდრე მისი წასვლა-არწასვლაა.

რაც შეეხება რაგბის საერთაშორისო საბჭოს, გეგიძის თქმით, ეს ორგანიზაცია დღეს ქართულ რაგბის თავისი შეხედულებისამებრ ეხმარება - თავად რამდენსაც თვლიან საჭიროდ, იმდენს გვაძლევენ. სწორედ ეს ყოფილა შესაცვლელი, ანუ საბჭოს ხელმძღვანელები უფრო სოლიდური დახმარების აუცილებლობაში უნდა დარწმუნდნენ.

ბუნებრივია, საუბარი შეეხო მაისში დაგეგმილ ყრილობას და იქ მედიის წარმომადგენელთა დასწრების საკითხს. როგორც ჩანს, ბოლოდროინდელმა საუბრებმა შედეგი გამოიღო – გეგიძის თქმით, არგუმენტი, რომ რაგბი მხოლოდ მათი არ არის, ის ქართველი ხალხისაა, სავსებით მისაღებია, თუმცა, ყრილობაზე ჟურნალისტთა დასწრების საკითხს მარტო თვითონ არ წყვეტს. თავად ყრილობის მაისში გამართვა კი ეჭვქვეშ დადგა. "ყრილობას ნიშნავს პრეზიდენტი და როცა ამის წინაპირობა შეიქმნება, ყრილობასაც მაშინ დავნიშნავ", - განაცხადა გეგიძემ. მან ასევე არ გამორიცხა თანამშრომლობა მერაბ ანთაძესთანაც. გეგიძის თქმით, ის ხალხი, ვინც ადრე მისი კონკურენტი იყო პრეზიდენტის არჩევნებზე, დღეს რაგბის კავშირში მუშაობენ. ასე რომ, არაა გამორიცხული, იმავე როლში მერაბ ანთაძეც ვიხილოთ. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის კანდიდატის მოსაზრებები ძირითად საკითხებში ერთმანეთს დაემთხვევა. თუ არადა, დაველოდოთ მომავალ არჩევნებს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ისე კი, ადვილი შესაძლებელია, სიტუაცია მალევე დაიძაბოს. როგორც გაირკვა, ანთაძის მხარდამჭერები ბრძოლას აპირებენ.

ჩოგბურთი

ფედერერმა ჩოგანი დააწინაურა

გიგა გურასაშვილი

2004 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის საკვალიფიკაციოები, მერვე, მეოთხე და ნახევარფინალები ისტორიის საკუთრება გახდა. ახლა მთელი ყურადღება დასკვნით ფაზაზეა გადატანილი. წინ დიდი ფინალებია - ჯერ ქალთა, შემდეგ ვაჟთა. ქალები უმთავრეს ჯილდოს დღეს გაითამაშებენ, ვაჟები - ხვალ.

ქალთა ნახევარფინალებზე უკვე ვიუწყებოდით. ახლა ვისაუბროთ ვაჟთა ნახევარფინალზე, რომელიც გუშინ გაიმართა. ფინალში გასასვლელად "როლან გაროსის" გამარჯვებული, ესპანელი ხუანკარლოს ფერერო და უიმბლდონის ჩემპიონი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი იბრძოდნენ.

შარშან ჰიუსტონში, მასტერსის თასზე, ფედერერი ერთმანეთის მიყოლებით ანდრე აგასის, დავიდ ნალბანდიანსა და ხუანკარლოს ფერეროს შეხვდა. შვეიცარიელმა ერთიმეორის მიყოლებით ყველა გზიდან ჩამოიშორა და მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე საფეხურზე აღზევდა. მეორე ჩოგნად ყოფნა შვეიცარიელისთვის კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა.

მასტერსის თასისგან განსხვავებით, როჟე ფედერერს ამჯერადაც მოუხდა ძველ მეტოქეებთან – დავიდ ნალბანდიანთან და ხუან-კარლოს ფერეროსთან შებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ მასპინძელთა აწ უკვე ჩამქრალ იმედზე ლეიტონ ჰიუიტზე. ახლა თითოეული დაპირისპირების პერიპეტიებს ნუ გავიხსენებთ და შევეხოთ გუშინდელ ნახევარფინალურ მატჩს, სადაც შვეიცარიელს ესპანელი ელოდა. მათი დაპირისპირება წინდაწინვე იმით იყო საინტერესო, რომ მოგების შემთხვევაში ფედერერი, კარიერაში პირველად, ამერიკელი ენდი როდიკის მიერ "პრივატიზებულ" პირველი ჩოგნის სტატუსს დაისაკუთრებდა. როდიკმა კი, მოგეხსენებათ, მეოთხედფინალში მარატ საფინთან იწვნია მარცხი. რაკი კლასიფიკაციაში ჩამოვარდა სიტყვა, აქვე შეგახსენებთ, რომ კლასიფიკაციაში პირველობა ამერიკელმა შარშან "როლან გაროსის" ჩემპიონისგან ჩაიბარა. ვიდრე შვეიცარიელი და ესპანელი ნახევარფინალში გავიდოდნენ, მეოთხედფინალში, შესაბამისად, არგენტინელი ნალბანდიანისა და მაროკოელი არაზის ბარიერი გადალახეს. გარდა ამისა, გასარკვევი იყო ისიც, თუ რომელი მათგანი დაწინაურდებოდა პირად შეხვედრათა სერიაში. საქმე ისაა, რომ მათ შორის თანაფარდობა 3-3-ია.

ამაღამ, ფინალში ფედერერი საფინს შეებრძოლება.

REUTERS

ერთი სიტყვით, გუშინდელ ნახევარფინალში მარატ საფინის მეტოქე გამოვლინდა. ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც შვეიცარიელმა ესპანელს დამაჯერებლად სძლია (6:4, 6:1, 6:4). ფედერერისა და ფერეროს დაპირისპირება განსაკუთრებული დაძაბულობით არც გამოირჩეოდა. მატჩის ყველაზე დრამატული მონაკვეთი გამოდგა პირველი პარტიის დასაწყისი, როდესაც მეტოქეები საკუთარ მოწოდებას იგებდნენ. თუმცა, მაშინ, როდესაც ანგარიში უიმბლდონის ჩემპიონს მიყავდა (5:4), ფერერომ საკუთარი მოწოდება ვერ შეინარჩუნა, რამაც საწყისი სეტი შვეიცარიელის მოგებით – 6:4 დაასრულა კიდეც.

ამის შემდეგ ფედერერს, ფაქტობრივად, პრობლემები აღარ ჰქონია. სულ რაღაც 24 წუთში შვეიცარიელმა მეორე სეტიც მოიგო. მესამე სეტის დასაწყისში ამას მოყვა ბრეიკი, რაც გამარჯვების საწინდარიც გამოდგა. საათნახევარში შვეიცარიელმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა.

"კარგია პირველობა, - განაცხადა ფედერერმა. – ამგვარი შანსი მონრეალში, როდიკის წინააღმდეგ თამაშისასაც მქონდა, მაგრამ ძალიან ვნერვიულობდი. ახლა საფინთან შეხვედრაზე ვფიქრობ. იგი ერთ-ერთი ფავორიტია, რომლის წინააღმდეგ თამაშიც მთელი სიამოვნებაა. არა მხოლოდ ჩვენი შეჯეგების გათვალისწინებით, არამედ იმიტომაც, რომ ბრწყინვალე ადამიანია.

ახლა თავდაჯერებული ვარ. თუმცა, გინახავთ პირველი ჩოგანი, თავდაჯერებული არ იყოს?"

ერთი სიტყვით, წინაა ვაჟთა ფინალი და უმთავრესი ჯილდოს მაძიებელთა დაპირისპირება. მატჩი კვირას, თბილისის დროით, დილის 7 საათზე დაიწყება და, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ომი იქნება.

მარატ საფინი: "მე ვიბრძოდი"

"მელბურნ პარკის" კორტებზე რუსმა მარატ საფინმა სასწაულები მოახდინა. ტურნირს ერთიმეორის მიყოლებით გამოთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ენდი როდიკი და ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შარშანდელი ტრიუმფატორი ანდრე აგასი, ამაღამ კი შვეიცარიელ როჟე ფედერერთან ჭიდილში შეეცდება, "დიდი სლემის" რიგით მეორე ტიტული მოიგოს.

საფინის თამაში იმდენად შთამბეჭდავია, რომ ჩოგბურთის სპეციალისტებმა აღარ იციან, ვინ დაასახელონ ფინალის ფავორიტად. თუმცა, ისიც სიმართლეა, რომ პროგნოზირება უმადური საქმეა. ფინალში პროგნოზირება კი, მით უფრო. ნახევარფინალში ანდრე აგასის დამარცხების შემდეგ მარატ საფინი ბედნიერი და ოდნავ გაოგნებული ჩანდა. მან ბოლო სამი დღის განმავლობაში ისეთი ფურორი მოახდინა, რომლისთვისაც ზოგიერთ ჩოგბურთელს მთელი კარიერა სჭირდება. "აგასის რომ მოუგო, ბრწყინვალედ უნდა ითამაშო", - თქვა მატჩის შემდეგ მარატ საფინმა.

- თამაში ძალიან მძიმე იყო. აგასი დიდი ჩოგბურთელია. ასეთის დამარცხება უაღრესად სასიამოვნოა და, ამასთან, ძალიან ძნელი. მატჩის ბოლოს არც ერთს ძალა აღარ გვქონდა, მაგრამ უნდა გვეთამაშა. ყველამ იცის, რომ აგასის წინააღმდეგ მისივე თამაშის სტილს ვერ გამოიყენებ. ძნელია, უკანა ხაზზე ისეთი მონოტონური ჩოგბურთი ითამაშო, როგორიც მას ახასიათებს. მუდმივად მისი გამოცოცხლება მიხდებოდა. ანდრე ძალიან კარგად მოძრაობს, მაგრამ ერთ ტემპში. მე ვცდილობდი, მისთვის ტემპის მომატებისკენ მებიძგებინა. ვაიძულებდი, შეეტია. გარღვევა გაეკეთებინა. სხვაგვარად, უკანა ხაზზე ბალიბულის თამაშს აზრი არ ჰქონდა.

- რა შეიგრძენით მატჩის შემდეგ?

- თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. უკეთესი შეგრძნება, უბრალოდ, შეუძლებელია. ჩემი აზრით, ეს ორივესთვის დიდი მატჩი იყო. ანდრეს შანსი ჰქონდა, მეორე სეტი მოეგო. მე კი მეხუთე მოვიგე. ჩემთვის ეს საერთოდ დიდი სკოლა იყო: მოიგო პირველი და მეორე სეტები, წააგო მესამე და მეოთხე და დაბრუნდე მეხუთეში. მე ვიბრძოდი. დაღლილმაც კი მოვახერხე, ჩემი შანსი გამომეყენებინა. უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, იმაზე უკეთ ვიგრძნო თავი, ვიდრე ახლა ვგრძნობ. მართლაც, შესანიშნავად უნდა ითამაშო, ანდრეს რომ მოუგო. განსაკუთრებით მაშინ, როცა თვითონაც კარგად თამაშობს.

- როცა მეოთხე სეტში წინააღმდეგობა შეწყვიტეთ, უკვე მეხუთე სეტისთვის ემზადებოდით?

- დიახ! ჩემთვის შესვენება მოვიწყვე. ვგრძნობდი, რომ მეოთხე სეტს ვერ მოვიგებდი, რადგან ანდრე შესანიშნავად თამაშობდა, მე კი კონცენტრაცია არ მყოფნიდა. მაშინ გადავწყვიტე, მეოთხე სეტი უბრალოდ დამემთავრებინა და მეხუთეში ყველაფერი თავიდან დამეწყო. ჩანაფიქრი გამომივიდა. კონცენტრაციის მოხდენა შევძელი. მე თამაშის სადავეების ჩაგდების ერთადერთი შანსი მქონდა და ის გამოვიყენე.

- რამდენად განსხვავდება თქვენი დღევანდელი თამაში საუკეთესოსგან?

- ვფიქრობ, არ შეიძლება, სხვადასხვა თამაში შეადარო. სხვადასხვა მატჩია სხვადასხვა მოთამაშეებით. გესმით? დღეს დიდი მატჩი იყო. პიტ სამპრასის წინააღმდეგ შეიძლებოდა დიდი ჩოგბურთის ჩვენება, მაგრამ მხოლოდ დაცვითი. აგასის კი აბსოლუტურად განსხვავებული სტილი აქვს. აქ საჭიროა, უკეთესად იმოძრაო, უკეთ მოაწოდო, რადგან ანდრე მსოფლიოში საუკეთესო მიღებით გამოირჩევა და საუკეთესოდ თამაშობს უკანა ხაზზე. ამიტომ სხვადასხვა თამაშის შედარება არ შეიძლება. ვფიქრობ, დღეს ჩემი საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშე. მას არც უკანა ხაზზე დავუდე ტოლი. მე შევძელი, 33 ეისი მომეწოდებინა. ეს კი ძალიან ბევრია. განსაკუთრებით აგასის წინააღმდეგ შეხვედრაში.

- რა უფრო გესიამოვნებათ: სამპრასი კორტზე სამ სეტში შეავიწროოთ თუ აგასის ხუთ სეტში აჯობოთ?

- უკეთესი იქნებოდა, აგასი სამ სეტში დამემარცხებინა. თუმცა, პირადად ჩემთვის სწორედ ამ მატჩში გამარჯვება იყო უმთავრესი. განსაკუთრებით ასეთი მეტოქის წინააღმდეგ. ხუთი სეტი მაინც ხუთი სეტია. ეს უფრო მეტ რწმენას გმატებს, ვიდრე სამ სეტში სამპრასის დამარცხება.

- თუ გახსოვთ, უკანასკნელად როდის დაუშვით ხუთ სეტში ერთადერთი ორმაგი შეცდომა?

- დღეს ორმაგი შეცდომა საერთოდ არ დამიშვია.

- წინა ფინალის შემდეგ გასული ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ ისწავლეთ?

- წლევანდელი ფინალი აბსოლუტურად სხვა იქნება. მაშინ საუკეთესო ჩოგბურთს არ ვთამაშობდი. მე საკუთარ თავთან მქონდა პრობლემა და არ შემეძლო, ჩემი თავისთვის თამაში დამეძალებინა. ძალიან ვღელავდი. ამიტომ ვერ გამოვიყენე იმ ფინალში ჩემი საუკეთესო იარაღი. ახლა უკეთ ვთამაშობ. იმდენი კარი ჩოგბურთელი დავამარცხე, რომ საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებული ვარ. ეს სულ სხვა ფინალი იქნება. უნდა იყოს. იმედი მაქვს.

- თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუან კარლოს ფერეროსთან დადებითი ბალანსი გაქვთ, ფინალში მასთან თამაშს ხომ არ ამჯობინებდით?

- ვფიქრობ, აზრი არა აქვს. ვინც მოიგებს, ესე იგი, ის უკეთესი მოთამაშეა. ესე იგი, მის წინააღმდეგ უფრო რთული იქნება. ფედერერი დიდი ტალანტია... ფერერო. ნებისმიერ მათგანთან სიფრთხილე მმართებს.

- ახლა ლუდის დალევას აპირებთ?

- რა თქმა უნდა. მე ეს დავიმსახურე. არა?

- ხვალ რას გააკეთებთ?

- დავისვენებ.

- მთელ დღეს ტელევიზორთან გაატარებთ? მასაჟზე წახვალთ?

- რამეს მოვიფიქრებ. გამოვიძინებ. ერთხელ ან ორჯერ მასაჟზე წავალ. გავისეირნებ. ორი დღის წინათ ზოოპარკში ვიყავი. უზარმაზარი სიამოვნება მივიღე.

- დაგრჩათ თუ არა ფინალისთვის ძალ-ღონე?

- დასვენებისთვის ორი დღე მაქვს. ჯერჯერობით ჩემი ორგანიზმი ახალგაზრდაა. ძალა უნდა მეყოს.

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

დღე სასწაული

არ ვიცი, თეთრი თუ შავი შურით, მაგრამ ყოველთვის მშურდა იმ ქვეყნის მოქალაქეების, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ჰიმნზე ხალისით დგებიან ფეხზე, მონდომებით მღერიან და დროშის აწევისას ცრემლებით ევსებათ თვალები.

ამგვარი პატრიოტიზმი ჩემში პირველად ეროვნულმა მოძრაობამ გააღვიძა და საკუთარ თავში სრულიად ახალი ემოციები აღმომაჩენინა. ბედნიერი ვიყავი, რომ ვარ ქართველი, ვესწრები ასეთი საძულველი საბჭოთა რეჟიმის ნგრევას, ვდგავარ მიტინგზე და ვუსმენ მერაბ კოსტავას. მაგრამ, რამდენადაც ამაღლებული იყო ჩემი გამოღვიძება, იმდენად მტკივნეული იყო შემდგომი გულაცრუება, გაწნილი სილა, რომელიც ჩემი რომანტიკული პატრიოტიზმისთვის მივიღე. ამიტომაც, ბოლო წლებში, სრულ ემოციურ დეფიციტს განვიცდიდი ყველაფრის მიმართ, რაც ჩემი სამშობლოს სიმბოლიკას ეხებოდა.

ამ წერილის სათაურად გამოვიყენე ბატონი გელა ჩარკვიანის მიერ მახვილად ინტერპრეტირებული სიტყვა - "დღესასწაული". იმიტომ, რომ 25 იანვრის ინაუგურაციის დღე ნამდვილად სასწაული და ჩემი პატრიოტული გამოღვიძების დღე იყო. ვერ დავეთანხმები ვერც ერთ ოპოზიციურ პოლიტიკოსს, რომ დღე სასწაულმა ზედმეტი პომპეზურობით ჩაიარა. ძალიან მონატრებულები ვართ პომპეზურობასაც, ამაღლებულობასაც და ემოციურობასაც, სიხარულის ცრემლსაც და მომავლის რწმენასაც.

თუ გახსოვთ ბატონ ლევან ბერძენიშვილის ტელეგადაცემა - "მე მჯერა"? არ ვიცი, რისი სჯეროდა ბატონ ლევანს მაშინ, მაგრამ დღეს მე მჯერა, რომ მიშა სააკაშვილის ყოველი სიტყვა გულწრფელია. მე მჯერა, რომ გელათში, აღმაშენებლის საფლავთან მყოფი პრეზიდენტის სახის გამომეტყველება პასუხისმგებლობის, ტვირთის რეალურად აღქმით იყო გამოწვეული. მე მჯერა, რომ პრეზიდენტი ხელს ადებს საქართველოს კონსტიტუციას არა ფორმალური რიტუალის გამო. მე მჯერა, რომ დროშის აწევამ არა მარტო მე მომრია ცრემლი, არამედ პრეზიდენტშიც გამოიწვია ემოცია. მე მჯერა, რომ ჰიმნის მოსმენისას სააკაშვილი თავის ქვეყანაზე და არა საკუთარ წარმატებაზე ფიქრობს. მე მჯერა მისი ოჯახის არა მხოლოდ ვიზუალური მომხიბვლელობის. შეიძლება გაგეღიმოთ ჩემს ამგვარ რწმენაზე, მაგრამ ხომ არსებობს რუსული ანდაზა - "блажен, кто верует".

დიახ, მე მჯერა და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს რწმენა უახლოეს მომავალში არ დაიკარგება.

ითქვა, თითქოს, ინაუგურაციას ბევრი, უხეშად რომ ვთქვათ, მედროვე ესწრებოდა. მერე რა? ყველა ადამიანმა შეიძლება გადააფასოს, მოინანიოს და გულწრფელად მოვიდეს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე - ერთხელ მაინც ინატროს საკუთარი ქვეყნის ბედნიერება. ყველა ადამიანს უნდა მიეცეს შანსი, რაღაცა იწამოს. ჩვენ ხომ ამ რწმენის ფუფუნებას მოკლებული ვიყავით. ამიტომაც სრულებით არ გამაღიზიანა ასეთი ნაცნობი სახეების დანახვამ. ის სულგანაბულობა, რომელიც რუსთაველზე სუფევდა, ნაწილობრივ, ჩემს თეორიას ადასტურებს - მომენტის მნიშვნელობას ყველა გრძნობდა. ყველას ეამაყებოდა საკუთარი ქვეყნის, თუნდაც მცირერიცხოვანი ჯარის აღლუმი. შეიძლება სხვადასხვა დოზით, მაგრამ ყველას აქვს სიახლის, მომავლის იმედი. ახალგაზრდა პრეზიდენტი, მშვენიერი პირველი ლედი, ლამაზი საზოგადოება, მზიანი ამინდი და გულწრფელობა. რა შეიძლება ამაზე მეტი ინატროს ქვეყნის მოქალაქემ ინაუგურაციის დღეს?

რა და ისეთი კონცერტი, როგორიც ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ოპერის თეატრში გაიმართა. თურმე, კონცერტების მოწყობაც შეგვძლებია! დარწმუნებული ვარ, არც ისე ბევრი ქვეყანა შეძლებს საკუთარი ძალებით ასეთი ხარისხის, გემოვნებისა და დონის კონცერტის მოწყობას. კონცერტში ქართული კულტურის ჭეშმარიტმა ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებმაც დაარღვიეს გადატვირთული სამუშაო გრაფიკები, გადადეს კონცერტები, შეაჩერეს გასტროლები და უსასყიდლოდ ჩამოვიდნენ, რათა თავის ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს კიდევ უფრო საზეიმო და ამაღლებული ხასიათი შემატონ. რიგითი მაყურებლისთვის კი ასეთი კონცერტი სიამაყის მწვერვალის ტოლფასია. თუ შენი ერი ასეთი მდიდარია ტალანტებით, ე.ი. შეიძლება, არც შენ იყო მთლად უვარგისი. თუ შენმა დაქცეულმა ქვეყანამ ამდენ სასიკეთოს მიაღწია, ე.ი. შენც მიაღწევ. თუ შენი პრეზიდენტი ასეთი ახალგაზრდა, ენერგიული, უშუალო და გულწრფელია, ე.ი. შენც შეიძლება მომავლის იმედი გქონდეს. თუ ინაუგურაციის რიტუალმა თქვენშიც ჩემნაირი, ამაღლებულ-სენტიმენტალურ-პატრიოტული სიამაყე გამოიწვია, ე.ი. ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა და ჩვენს ქვეყანას მომავალი აქვს, რაც, სიმბოლურად, 25 იანვარს განსაკუთრებულად აკაშკაშებულმა მზემ და სითბომაც დაამტკიცა.

ერთი წლის იუბილარი

ამბობენ, ერთი წლის დაბადების დღეს არ აღნიშნავენო, მაგრამ "ასსას" ავტორებმა ამაშიც ნოვატორობა გამოიჩინეს და 27 იანვარს "აჭარა მიუზიკ-ჰოლში" "ასსას" გრანდიოზული ერთი წლის იუბილე გადაუხადეს, რომელზეც, პარალელურად, ახალი კომპაქტდისკის პრეზენტაცია შედგა.

"აჭარაში" ნამდვილი საგიჟეთი იყო. ამდენი ხალხი ჯერ არსად მინახავს. უმეტესობა, რა თქმა უნდა, თინეიჯერები იყვნენ, მაგრამ "ასსას" დაბადების დღეზე საშუალო და უფროსი თაობაც მოვიდა. ცეკვავდა, ფაქტობრივად, ყველა - 40-50 წლის ქალიც და 17-18 წლის ბიჭიც. თუმცა, ეს ბუნებრივია. ვისაც "ასსა" ნანახი აქვს, დამეთანხმება, რომ ულამაზესი სანახაობა, ცეცხლოვანი ცეკვა, ამგვარი ჭეშმარიტი ხელოვანია, რომელიც სცენაზეც, ტილოზეც და ცხოვრებაშიც ქმნის. ნიჭიერი ადამიანი კი ყველგან ინდივიდუალური, შთამბეჭდავი და დაუვიწყარია. არავის შეიძლება დაავიწყდეს ერთხელ ნანახი ჟანრი ლოლაშვილის მხატვრობა, რომელიც მისი მღელვარე, მშფოთვარე მსახიობობიდან განსხვავებით, მშვიდი, ესთეტიკური და, უბრალოდ, ლამაზია.

ვინ არის ჟანრი ლოლაშვილი - მსახიობი თუ მხატვარი?

არ ვიცი, რას უპასუხებდა თვითონ ბატონი ჟანრი ამ შეკითხვაზე, მაგრამ ჩემს დასმულ შეკითხვას თვითონვე გავცემ პასუხს.

ჟანრი ლოლაშვილი შემოქმედი ნატურაა, რომლის შემოქმედება სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ამპლუაში ჰპოვებს გამოსავალს.

ვინც მოიცლის და გალერეა "კოპალაში" გამოფენილ ჟანრი ლოლაშვილის ნახატებს ნახავს, იმედი მაქვს, დამეთანხმება, რომ ნიჭიერი კაცი ამდენ ახალგაზრდას, აცეკვებს, ასიამოვნებს, აყვარებს საკუთარ კულტურას და საკუთარი ქართველობით ამაყს ხდის.

დღეს თინეიჯერები ქორწილებში, დაბადების დღეებზე, კლუბებში თუ ქუჩაში ცეკვავენ ქართულ ცეკვებს, რომლებიც მათ სუხიშვილების ამოუწურავმა ნიჭმა და პროფესიონალიზმმა ასეთი სწორი ფორმით და შესაბამის დროს შესთავაზა.

დღეს ჩვენს შვილებს, ახალი დისკის სახით საშუალება მიეცათ, სახლში თუ მანქანაში მოუსმინონ არა აჩი მეფარიძეს, ჯაბა ქარსელაძეს ან სტეფანეს, არამედ ქართული ხალხური მუსიკის ისეთ გარემოცულ ვარიანტს, რომელიც ზუსტად შეესაბამება მათ ასაკს, გემოვნებას, ტემპერამენტს, დროს და ქვეყნის ინტერესს.

უბრალოდ, ნიჭიერი კაცი

ქართველები ისეთ განებივრებულ ერს მივეკუთვნებით, რომელშიც ყოველი მეორე, შეიძლება პატარა, მაგრამ რაიმე ნიჭით არის დაჯილდოებული. ძნელად მოიძებნება ერთი ქართული ოჯახი, სადაც არავინ მღერის, ხატავს ან ცეკვავს. განსაკუთრებული ტალანტით კი ღმერთი ბევრს არ აჯილდოებს და მათ უკვე ხელოვანის მაღალი წოდება ენიჭებათ.

ჟანრი ლოლაშვილი სწორედ ასეთი ჭეშმარიტი ხელოვანია, რომელიც





მერლინ მონროს უცნობი ფოტოსურათები

ახალი ფოტოალბომის პრეზენტაციასთან ერთად ბერლინში მერლინ მონროს უცნობი ფოტოსურათების გამოფენაც გაიმართა. ეს 60 სურათი 1999 წელს გარდაცვლილი ნიუ იორკელი ფოტოგრაფის, სემ შოუს მემკვიდრეობაა. მათზე მსახიობი იმხანადაა აღბეჭდილი, როცა "ჰოლივუდს ჯერ კიდევ შეჭმული არ ჰყავდა".

ალბომ "მერლინი – ნიუ იორკის წლების" გამომცემელი, თომას ლერსე მოჰყვა, რომ შოუმ მომავალი სექს-სიმბოლო მაშინ გაიცნო, როცა ის ნორჩი, უმუშევარი მსახიობი იყო. ისინი დამეგობრდნენ, და ამ მეგობრობამ მერლინის გარდაცვალებამდე გასტანა. შოუმ მას უამრავი სურათი გადაუღო, მართალია, ბოლო წლებში მის ფოტოგრაფირებას ერიდებოდა. ახალ ალბომში 160 ფოტოსურათია შესული.

მერლინ მონრო აღნიშნავდა ხოლმე, რომ 1954-1958, ნიუ იორკში გატარებული წლები მისი ცხოვრების უბედნიერესი ხანა იყო. მართლაც, ფოტოსურათებზე ახალგაზრდა ქალი თავდაჯერებული და ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს. ნიუ იორკში მერლინი თავის დიდ სიყვარულს, დრამატურგ არტურ მილერს შეხვდა და შოუმ ეს წყვილი თავის სურათებზე აღბეჭდა. ფოტოებზე მერლინი, ძირითადად, თეთრ ტანისამოსშია გამოწყობილი და სახეზე ღიმილი დასთამაშებს.

გამომცემელმა ფოტოსურათების გამოქვეყნების უფლებები სემ შოუს გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟისგან შეისყიდა. ალბომში სურათებს თავად მსახიობისა და მისი ფოტოგრაფის ორიგინალური გამონათქვამები ახლავს. "სურათები თავიანთ ამბავს ჰყვებიან," აღნიშნავს გამომცემელი.

მერლინ მონრო დღემდე უცნობ ფოტოებზე

აგნეტას დაბრუნება

აგნეტა ფალტსკოგი

ყოფილმა "აბბას" მომღერალმა, აგნეტა ფალტსკოგმა, ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი ალბომი გაზაფხულზე უნდა გამოვიდეს. მანამდე შვედი მომღერალი 17 წლის განმავლობაში "გაჩუმებული" იყო.

ხმის ჩამწერმა ფირმამ Warner Bros-მა განაცხადა, რომ 53 წლის მომღერლის ახალი ალბომის სახელწოდება My Colouring Book იქნება.

ყოფილი ვარსკვლავის მუსიკალურ სამყაროში დაბრუნება ერთგვარი სენსაციაა. აგნეტა ფალტსკოგი მრავალი წლის განმავლობაში სტოკჰოლმის ერთ კუნძულზე განმარტოებით ცხოვრობდა. ქერათმიანი "აბბას გოგონას" უკანასკნელი სოლო-ალბომი 1987 წელს გამოვიდა, მას I Stand Alone ერქვა.

ჯეიმს ბრაუნი ირყყმევინება

სოულის შემსრულებელი ჯეიმს ბრაუნი დროებით გაათავისუფლეს. მისი დაპატიმრების მიზეზი ცოლის გალახვა გახლდათ – 70 წლის "სოულის ნათლიმამამ" მეუღლე სცემა და საწოლი ოთახის იატაკზე დააგდო. ქალი სისხლისჩაქცევებითა და ნაკაწრებით საავადმყოფოში მიიყვანეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯეიმსს მუშტის ქნევა საერთოდ ჰყვარებია: 1988 წელს მან ნარკოტიკების მოხმარებისა და სხეულის დაზიანებისთვის მოიხადა სასჯელი.

წელს მაინც დაქორწინდება!

ვერონა ფელდბუშმა ბრძანა, რომ მრავალჯერ გადადებულ ქორწილს წელს მაინც იზეიმებს. მას დიდი წვეულება აქვს დაგეგმილი, რომელიც "ნებისმიერ შემთხვევაში, გერმანიაში გაიმართება, შესაძლოა, ბუნების წიაღშიც კი". ეს 35 წლის ვარსკვლავმა მიუნხენის "აბენდცაიტუნგსა" და კიოლნის "ექსპრესს" გაუზიარა.

"ჩვენ აქამდეც გვინდოდა დაქორწინება," თქვა ფელდბუშმა, "მაგრამ მამაჩემი ძალიან ავადაა, მე კი მინდოდა, რომ ქორწილს ისიც დასწრებოდა". მაგრამ მამა ქორწილს ვერ მოესწრო – ის შარშან გარდაიცვალა.

გასული წლის 10 სექტემბერს ვერონა ფელდბუშს ვაჟი, სან დიეგო შეეძინა. ბავშვის მამას, ფრანკო პუტს საქორწილოდ უზარმაზარი წვეულების გამართვა უნდა: "სამი დღე ყველა მეგობართან ერთად; მეც ამის მომხრე ვარ," თქვა ფელდბუშმა.

2002 წლის 1 მაისს ვერონამ და ფარკომ ნიშნობა ისეთი ზარზეიმით აღნიშნეს, რომ სამომავლო გეგმებიც ძალიან სარწმუნოდ ჟღერს.

სკანვორდი

TV პროგრამა

31 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** დოკ. ფილმი "ველური სამყაროს ამბები" **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი **18.45** სერიალი "განდგომილი" **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი "მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ბალღები". რეჟ. ლარი კლარკი . **02.20** მხ. ფილმი "ლარა კროფტი სამარხების მცველი-2". მთ. რ-ში: ანჯელინა ჯოლი.

პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ფრედის ანგელოზები" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** დოკ. ფილმი "მინორკის ცხენები" 1-ლი ს. **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "ჰოლდენის კვალდაკვალ" **16.55** საწინდარი **17.25** სატ. ფილმი "ჩვენ მშვიდობა" **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.30** პროფათეული **23.05** ამბობენ **23.40** მოამბე **23.50** დოკ. ფილმი "თ. აბულაძე -ნატვრის ხე", მხ. ფილმი "ვედრება" **01.50** ღამის ჯაზი

პირველი სტერეო

07.30 მუსიკა **10.00** ტროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "ტკბილი და საძაგელი" მთ. რ-ში შონ პენი, უმა თურმანი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "უცნაური ბაღები" მთ. რ-ში ტერი ლერმიტი, ანდრე დუსოლიე. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

მზე

09.00 მულტფილმი "მელია და მონადირე ძაღლი" **10.15** საბ. სერიალი "მეათე სამეფო" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.15, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.30** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი"-"საუთჰემპტონი" **19.00** დეტექტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" **20.30** მხ. ფილმი "ბაზა" (ჯონ ტრავოლტა) **22.30** მხ. ფილმი "თოჯინები" (მიჰო კანო)

მეორე არხი

19.00 მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.30** ჟურნალის ისტორია **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი "ზეცის დესპანი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი" **13.30** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი" **15.00** მხ.ფილმი "სამი სურვილი" **17.00** მხ.ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბში" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "სახიფათო ჩაძირვა" **22.30** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი 2" **00.20** მხ. ფილმი "25-ე საათი"

იბერია

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "გაზაფხულის ზღაპარი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 02.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "ზაფხულის ზღაპარი"

მეცხრე არხი

08.30 მხ. ფილმი "101 დალმატინელი" **09.50** მოკლ. მხ. ფილმი **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "შოუ იწყება" **13.50, 16.25, 17.50, 22.00** მუსიკა **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-5ნ. **21.15** მხ. სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** ცხელი ცხრიანი **00.30** მხ. ფილმი "პიანისტი" (ედრიან ბროუდი)

იმედი

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** ანიმაც. ფილმი "ფიფქია" 1-ლი ნ. **10.30** მხ. ფილმი "ნატვრის ხე" **12.10, 01.15** იმედის მელოდიები **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია - ლეიკერსი-მინესოტა **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" მე-14ს. **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

არხი

08.00 მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგ. ფილმი "ოთხფეხა პატარა" **10.55** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "რვა ქალი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "რვა ქალი" (გაგრძ.) **14.10** მუსიკა **14.20** ბოევიკი "მემკვიდრეობა" **16.20** მულტფილმი "ყველა ძაღლი სამოთხეში ხვდება" **17.40** მუსიკა **18.05** დოკუმენტური ფილმი **19.30** ბოევიკი "მოკვდი, ოღონდ ახლა არა!" **21.40, 00.40, 02.35** მუსიკა **23.00** Слово **01.00** კომედია "თევზაობის ნაციონალური თავისებურებანი" **03.00** დრამა "ტელევიქტორინა" **05.05** დოკუმენტური ფილმი

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10** "Ералаш" **07.20 Худ. фильм "Ищи ветра..." 09.00** Сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Возвращение домой. Илья Глазунов. Ленинград" **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Дьяволы глубин" **14.10** "Программа передач на вчера" **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.30** Умницы и умники **16.10** "Поговорим о странностях любви..." **17.10 Комедия "Семь стариков и одна девушка" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** Юбилейный концерт группы "Секрет" в Кремле **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.25** "Золотой Граммофон" **23.25 Жан-Клод Ван Дамм в боевике "Двойной удар" 01.30 Анджелина Джоли в триллере "Хакеры" 03.20 Мистический триллер "Демон песков" 05.10 Сериал "Шпионка"**

РТР

06.45 Татьяна Доронина в фильме "СТАРШАЯ СЕСТРА" 08.25 "АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА" **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** Большая перемена. **10.10** "Том и Джерри". Мультсериал **10.45** Утренняя почта **11.20** "Не скуЧАЙ!" **12.15** Сам себе режиссер. **13.15** В поисках приключений. **14.15** Клуб сенаторов. **15.00, 21.00** Вести. **15.20 Юрий Никулин в комедии "СТАРИКИ-РАЗБОЙНИКИ" 17.00** К годовщине сталинградской битвы. "Непобежденные". **19.00** Юбилейный вечер Аркадия Инина **20.45** В Городке **21.25** Зеркало **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг **23.20 Ричард Гир и Дайан Лэйн в фильме "НЕВЕРНАЯ" 01.45 Уэйн Кроуфорд в триллере "ЗМЕИНЫЙ ОСТРОВ" 03.50 Ричард Гир в фильме "ВДАЛЕКЕ ОТ ДОМА"**

НТВ

07.10 Худ. фильм "ДОКТОР НО" 09.00, 13.00, 17.00 Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок. **12.00** Квартирный вопрос: шелковая кухня. **13.20** "Дикий мир". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10 Татьяна Пилявская в фильме "РАЗНЫЕ СУДЬБЫ". 16.15** Вкусные истории. **16.25** Рекламная фишка. **17.20** "Женский взгляд". Николай Басков. **18.00 Сериал "КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ: ЗВЕЗДА". 1 с. 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00 Александра Захарова в фильме "ТОНКАЯ ШТУЧКА" 22.50** Обыкновенный концерт. **00.05 Кифер Сазерленд, Джулия Робертс в фильме "КОМАТОЗНИКИ" 02.15 Фильм-катастрофа "ЩУПАЛЬЦА"**

სარეკლამო კამპანია ბიონს ნოულზის მონაწილეობით

მოდელიორი ტომი ჰილფიგერი, მომღერალ ბიონს ნოულზით აღფრთოვანებულია. "მას საკუთარი სტილი აქვს, ლამაზია და გონიერი," ამბობს ტომი და ამით ასაბუთებს, რომ სარეკლამო კამპანიისთვის უკეთესს ვერავის იპოვნიდა.

ამრიგად, ჯგუფ Destiny's Child-ის წევრი სუნამოს სახე გახდება. ჩანაფიქრის თანახად, სარეკლამო კამპანიაში ტრადიციული ფოტოსურათებისა და ვიდეორგოლების გარდა, სიმღერაც იქნება გამოყენებული. Women's Wear Daily იუწყება, რომ ამ სიმღერას თავად მომღერალი დაწერს.

რამდენად აფასებს ბიონსი თავის სამსახურს? ამას დიზაინერი ჰილფინგერი არ ამხელს. ამერიკული მედია ვარაუდობს, რომ ვარსკვლავის ჰონორარი სამი მილიონი დოლარი იქნება.

ბიონსი, ფინქი და ბრიტნი სპირსი სარეკლამო პროექტის ლონდონურ პრეზენტაციაზე

REUTERS

კორტნი ლავი სასამართლოს წინაშე წარდგება

როგორც ჩანს, ამერიკელ მომღერალს, კორტნი ლავს, კიდევ კარგა ხანს მოუწევს სასამართლოსთან ურთიერთობა. Abc News იუწყება, რომ მოსამართლემ დამატებითი გამოძიება დანიშნა. ჯერჯერობით უცნობია, რა დამატებით ბრალს მიაგნეს სამართალდამცავებმა.

მათთვის, ვისაც შარშანდელი ამბავი არ ახსოვთ: ოქტომბერში "ნირვანას" წევრის, კურტ კობეინის 39 წლის ქვრივი მისი ყოფილი მეგობრის სახლში აღმოჩინეს, სადაც ის აშკარად დაუკითხავად იყო შესული. კორტნის თან ისეთი მედიკამენტები აღმოაჩნდა, რომლებიც მისი ჯანმრთელობის მქონე ადამიანისთვის სრულიად ზედმეტი იყო და შესაბამისად, ნარკოტიკების როლს ასრულებდა. მოგვიანებით ქალი ნარკოტიკების ზედმეტი დოზის მიღების გამო საავადმყოფოშიც აღმოჩნდა. კორტნი ლავი კი გამწარებით ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა.

სასამართლო მოსმენა 11 თებერვლისთვისაა დანიშნული. ასევე, თებერვალში მისი ახალი ალბომი Sweetheart გამოვა. ამჟამად კი კორტნი ნარკომანიისგან მკურნალობის კურსს გადის.

კიმბერლი ნარკომანი ყოფილა

ამერიკელი რეპერის, ემინემის ყოფილი მეუღლის, კიმბერლი მეთერსის მანქანაში პოლიციამ 25 გრამი კოკაინი აღმოაჩინა. ნარკოტიკების გამო 28 წლის კიმბერლის ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს.

ამ დროის განმავლობაში მსჯავრდებულს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება ეკრძალება და მან ნარკოტიკებზე შემოწმება სისტემატურად უნდა გაიაროს.

მეთერსი ორი წლის განმავლობაში იყო ემინემთან დაქორწინებული. ისინი 2001 წელს დაშორდნენ. წყვილს ერთი ქალიშვილი ჰყავს, ჰაილი ჯეიდი.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

ბავშვთა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი

"ჯანმრთელი ოჯახი"

გთავაზობთ

პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), აცრებს (მათ შორის გრიპის საწინააღმდეგო), სრულ ექოსკოპიურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის წამყვანი კლინიკებიდან.

მისამართი: ლ. ქიაჩელის ქ. 18.
ტელ: 98 23 37.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

ნამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.